ეროვნული ბიბლიოთეკა

# ლელო

№020 (12 090)
26 იანვარი პარასკევი 2007
გამოდის 1934 წლიდან
ფასი 50 თეთრი

ყაზბეგი

● ფეხბურთი

**ორი ტრანსფერის ამბავი**

გოგუას საკითხი მხოლოდ რეინჯერსთან თამაშის შემდეგ თუ გადაწყდება

აშვეთია სამუშაო ვიზის ასაღებად თბილისში დაბრუნდა, ლომაიაზე ახალი არაფერია 3

● კრივი

**ნაკრების მთავარი მწვრთნელი შეიცვალა** 11

● კალათბურთი

**დღეს საქართველოს თასის გათამაშება იწყება** 12



**რითი სჯობს ლორენცენ რაიტი ზაზა ფაჩულიას?**

ქართველები NBA-ში 13

ჩვენი პარტნიორია
CDN კავკასიის ციფრული ქსელი CAUCASUS DIGITAL NETWORK




# მზად ხართ? ელენე დღეს იწყებს!

## ფიგურული ციგურაობა. ევროპის ჩემპიონატი

დავით ბუხრიკიძის წინათქმა მე-16 გვერდზე

დღეს, ვარშავაში, ფიგურული ციგურაობის ევროპის ჩემპიონატზე 38 მონაწილე ქალს შორის 17 წლის ელენე გედევანიშვილიც ისრიალებს. მოკლე პროგრამა საქართველოს დროით 15 საათზე იწყება, თუმცა ელენეს გამოსვლას "ევროსპორტის" ეთერში საკმაო ხანს, საღამომდე უნდა ველოდოთ, რადგან გედევანიშვილი ბოლო ჯგუფში მოხვდა - 38 მონაწილეს შორის რიგით 34-ე გავა ყინულზე.

გედევანიშვილთან ერთად მერვე ჯგუფში იქნებიან უნგრელი ვიქტორია პავუკი, იტალიელი კაროლინა კოსტნერი, უნგრელი იულია შებეშტენი და ხორვატი იდორა ჰეგელი. ამ ჯგუფს სწორედ ელენე გახსნის.

ტურნირის უმთავრესი ფავორიტი, შვეიცარიელი სარა მაიერი წინა, მეშვიდე ჯგუფს დახურავს. მაეირს მართლაც კარგი სეზონი აქვს, მან კარიერაში პირველი გრან-პრი მოიგო (რუსეთში) და ფინალურ ეტაპზეც ბრინჯაოს მედალი მოიპოვა. შარშან ევროპის პირველობაზე მაიერი მეოთხე ადგილზე გავიდა და ელენეს ერთი ადგილით აჯობა. გამარჯვების სერიოზული კანდიდატები არიან 2004 წლის ევროპის ჩემპიონი იულია შებეშტენი და რუსი ელენა სოკოლოვა. ძნელია კაროლინა კოსტნერის შანსებზე საუბარი, რადგან მას ტრავმის გამო სეზონის დასაწყისი გაუცდა და არავინ იცის, როგორ ფორმაშია იტალიელი. მიმომხილველები გედევანიშვილსაც მიიჩნევენ გამარჯვების სავარაუდო კანდიდატად, თუმცა, კოსტნერისა არ იყოს, ჩვენს თანამემამულესაც მთლიანად ჩაუვარდა სეზონის დასაწყისი, თუმცა, ამ შემთხვევაში, ტრავმა არაფერ შუაშია - ელენე რუსეთის ემბარგომ დააზარალა და არცერთ ტურნირში არ უსრიალია.

გედევანიშვილი სახელმწიფოს დახმარებით ამერიკაში გადავიდა მოსამზადებლად, სადაც მას უკრაინელი მწვრთნელი გალინა ზმიევსკაია ამეცადინებს. მწვრთნელსა და მონაფეს ევროპის ჩემპიონატისთვის მოსამზადებლად სულ ოციოდე დღე ჰქონდათ. შეგახსენებთ, რომ შარშან ევროპის ჩემპიონატზე, რომელიც საფრანგეთის ქალაქ ლიონში გაიმართა, 16 წლის ელენემ ფურორი მოახდინა და მეხუთე ადგილი დაიკავა.

"ევროსპორტის" პროგრამაში ქალთა მოკლე პროგრამა 14:15-დან 20:00-მდეა დაგეგმილი. ქალთა ტურნირი ხვალ, თავისუფალი პროგრამით დასრულდება.

ნიკოლოზ ნეფარიძე

# რონალდო მილანშია

**რონალდო** მილანელია. გუშინ ბრაზილიელი იტალიაში ჩაფრინდა. საღამოს კი „მილანის" ვიცე-პრეზიდენტ **ადრიანო გალიანისთან** ერთად „სან სიროზე" „მილანი"–„რომას" სათასო შეხვედრასაც დაესწრო. ესპანელ მიმომხილველთა ცნობით, „მილანი" „რეალს" 6 მილიონ ევროს გადაუხდის. ბრაზილიელი ვარსკვლავი 18-თვიან კონტრაქტზე მოაწერს ხელს, რომელიც სურვილის შემთხვევაში ავტომატურად გაგრძელდება.

ამგვარად, რონალდო იმ ქალაქში ბრუნდება, სადაც ის 1997–2002 წლებში თამაშობდა, ოღონდ მოსისხლე „ინტერის" შემადგენლობაში. ტრანსფერის სრულყოფის შემდეგ, **პატრიკ ვიეირას, ედგარ დავიდსის, ერნან კრესპოს, ტომას ჰელვეგის, დარიო შიმიჩის, კლარენს ზეედორფის, ანდრეას გულიელმინპიეტროს, ტარიბო ვესტისა და ვიქტორ ბენიტესის** შემდეგ ის მეათე უცხოელი ფეხბურთელი გახდება, რომელსაც ორივე მილანურ გრანდში უთამაშია.




გუშინ სან-სიროზე. რონალდო და ადრიანო გალიანი მილანი-რომას მატჩზე

ესპანურმა „ელ მუნდო დეპორტივომ" გალიანის მცირე კომენტარი ჩამოართვა: **„პარასკევს, რონალდო მილანელოში სამედიცინო შემოწმებას გაივლის, ხოლო ორშაბათს „რეალის" წარმომადგენლებს უნდა შევხვდე. თუ ყველაფერი გეგმის მიხედვით წარიმართება, იმავე დღეს რონალდო „მილანის" ფეხბურთელი გახდება."**

გახსენი...
ყაზბეგი
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი
www.kazbegi.com
www.pfl.ge
ეროვნული ბიბლიოთეკა



# სტუმარი გოლებით გაუშვეს

**დინამო-შაადაგი 2:0**

1:0 ალი ბაბაევი (13 საკ. კარში), 2:0 ფეიქრიშვილი (19).

დინამო: ლორია, ნოზაძე, გ. კაშია, გიგაური, გარკუშა, ჯანაშია, დილმელაშვილი, მერებაშვილი, კობახიძე (18. ჩირიკაშვილი), იაშვილი, ფეიქრიშილი.

მეორე ტაიმში შევიდნენ: ხუციშვილი, ოდიკაძე, დვალი, შ. კაშია, ხმალაძე, აკობია, გრიშიკაშვილი, კაკალაძე, გუგავა.

ანთალიაში, მორიგ მოსამზადებელ შეკრებაზე გამგზავრების წინ თბილისის "დინამომ" საქართველოში მყოფ აზერბაიჯანულ "შაჰდაგთან" ამხანაგური მატჩი გამართა. უშუალოდ კლუბების ხელმძღვანელთა გარდა, შეხვედრა უბრალო გულშემატკივრისთვისაც იყო საინტერესო. ბაკურიანსა და ანთალიაში შეკრებაგავლილი "დინამოს" საქმეში ხილვა არაერთს სურდა. ასევე საინტერესო იყო "დინამოს" ახალწვეულთა თამაში. **დავით დილმელაშვილსა** (რომელიც გუშინ გუნდს კაპიტნობდა) და **გიორგი ფეიქრიშვილს** საქართველოში კი იცნობენ, მაგრამ ბელარუს მცველ **რომან გარკუშას** - არა.

მატჩი "დინამოს" უპირატესობით დაიწყო და ასევე გაგრძელდა. **უგრინის** ბიჭები სწრაფი გოლებით დაწინაურდნენ. სტუმართათვის დანავსული მე-13 და მე-19 წუთები აღმოჩნდა. პირველ შემთხვევაში **სანდრო იაშვილის** მიერ საჯარიმოში ჩაკიდებული ბურთი მცველმა **ალი ბაბაევმა** საკუთარ კარში ჩაჭრა. 6 წუთში კი გიორგი ფეიქრიშვილმა გაიტანა, რომლის ტრანსფერი ჯერ არ შემდგარა, მაგრამ გუშინ "დინამოში" არაოფიციალური ნათლობა ჰქონდა. მან


მეორე გოლი გიორგი ფეიქრიშვილმა (ბურთით) გაიტანა
ნუგზარ სუარიძის ფოტო

ინდივიდუალური ოსტატობის ხარჯზე ეფექტური გოლით გაზარდა ანგარიში.

პირველი ტაიმის დარჩენილი დრო და მეორე ნახევარიც დინამოელთა კარნახით წარიმართა. მასპინძლებს ანგარიშის გაზრდაც არაერთხელ შეეძლოთ, მაგრამ არაფერი შეცვლილა.

რაც შეეხება ფეხბურთელებს. მარჯვენა მცველად **ლაშა ნოზაძე** საკმაოდ კარგად გამოიყურებოდა. **სანდრო კობახიძეს** ნაადრევად მოუწია მოედნის დატოება, რადგან დაშავდა, თუმცა, ითქვა, საგანგაშო არაფერიაო. მოედნის ცენტრში როგორც სჩვევია დამაჯერებელი იყო დილმელაშილი. მარჯვნიდან კი სახიფათო გარღვევებისა და ჩაწოდებების ავტორად ხშირად გვევლინებოდა ფეიქრიშვილი. ბოლოსთვის რომან გარკუშაზეც თქვათ. ის ამპლუით მარცხენა მცველია და **გიორგი ნავალოვსკის** "დინამოსთან" განშორების შემდეგ, დუშან უგრინს სწორედ ამ ადგილზე სჭირდება საიმედო ფეხბურთელი. მართალია, ერთი მატჩით ძნელია ფეხბურთელის შეფასება, მაგრამ თამამად შეიძლება ითქვას, პირველადი შთაბეჭდილება დადებითია. რომან გარკუშა პოზიციურად კარგად თამაშობს, არც ბრძოლას ერიდება და პასიც იცის.

დაბოლოს, "დინამო" დღესაც ბაზაზე ივარჯიშებს. ხვალ კი სტამბოლის გავლით ანტალიას გაფრინდება მორიგ შეკრებაზე. არაა გამორიცხული, გუნდთან ერთად გაემგზავროს **ირაკლი სირბილაძე**, რომელიც ზამთრის პაუზისას „ტორპედოში ვარჯიშობდა"

**დავით ცაბაძე**

ამერი

# გამარჯვება და გზა ანთალიისკენ

**ამერი-მერანი 4:0**

1:0 დოლიძე (42), 2:0 გაბისკირია (61), 3:0 დოლიძე (72), 4:0 დოლიძე (80)

ამერი: ქვაჩახია - დიდავა, დავითნიძე, კაკაშვილი, ელბაქიძე - დოლიძე, მესხი, დეკანოსიძე, მჭედლიშვილი - დავითაშვილი, ჩიმაკაძე

შეცვლაზე შევიდნენ: ნადირაშვილი - ფირანიშვილი, გვაძაბია, ხვადაგიანი, ჩიკვილაძე - ჯელაძე (64. დოლიძე), დობროვოლსკი, ბოლქვაძე, ნიკოლაიშვილი, გაბისკირია - წინამძღვრიშვილი

მერანი: სეფიაშვილი - მჭედლიშვილი, გრიგალაშვილი, თურქია, ოსიტაშვილი - ბესარაშვილი, ფურთუხია, ჩაჩიბაია, ბურჯანაძე, გაგუა - სიხარულიძე

შეცვლაზე შევიდნენ: გლუნჩაძე, ტომარაძე, უსენაშვილი, კობერიძე, ნეფარიძე, დევიძე, დეისაძე, ქემაშვილი, ზირაქიშვილი

გაფრთხილება: ელბაქიძე (25), გაბისკირია (68), ტომარაძე (85)

მსაჯი: ა. კრიჭაშვილი

"ამერის" საგურამოს ბაზაზე გამართული საკონტროლო მატჩი გლდანელთათვის ბოლო იყო თურქეთში გამგზავრების წინ - "ამერმა" მეორე ანთალიური შეკრება უნდა გაიაროს. საქართველოს თასის მფლობელები თბილისიდან დღეს დაიძვრებიან ავტობუსით, ღამეს გრიგოლეთში გაათევენ და მგზავრობას ხვალ დილით გააგრძელებენ. ავტობუსითვე "ამერი" ტრაბზონამდე ჩავა, საიდანაც ანთალიისკენ თვითმფრინავით გაემართება. გუნდი უკან 10 თებერვალს დაბრუნდება.

შეკრებაზე **დიმიტრი ტატანაშვილი** და ის 22 ფეხბურთელი გაემგზავრება, რომლებმაც გუშინდელ შეხვედრაში მიიღეს მონაწილეობა. ტატანაშვილს "მერანთან" იმიტომ არ უთამაშია, რომ ტრავმას იშუშებს. გუშინ იგი მსუბუქი ვარჯიშით შემოიფარგლა და სრულ მზადყოფნაში უახლოეს დღეებში იქნება.

ძირითადი გუნდის წევრთაგან, ანთალიაში **დავით სევასტოპულო** არ მიჰყავთ, რომელიც ბოლო დროს არასახარბიელო ფორმაშია. იგი "ამერი 2-ის" რიგებში ვარჯიშობს და თუ ფორმა ვერ აღიდგინა, სეზონს იქვე ჩაამთავრებს. შეკრებაზე მიჰყავთ მეორე გუნდიდან გადმოყვანილი ახალგაზრდა, პერსპექტიული მცველი **ირაკლი ფირანიშვილი**. ცხადია, თურქულ კურორტზე გუნდის ახალწვეული **მიხეილ მესხიც** გაემგზავრება. საბოლოოდ ჯერ არ გადაწყვეტილა გასინჯვაზე მყოფი **ლადო კაკაშვილის** საკითხი, რომელსაც ანთალიაშიც დააკვირდებიან. თუმცა საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ თბილისში დაბრუნების შემდეგ, კლუბის ხელმძღვანელობა მას კონტრაქტს გაუფორმებს. გუშინდელმა თამაშმა იმგვარი შთაბეჭდილება შექმნა, რომ კაკაშვილს "ამერის" სტილთან შეგუება არ გასჭირვებია. იგი დაცვის ცენტრში გუნდის კაპიტან **გიორგი დავითნიძეს** შეუწყვილდა.

როგორც უკვე იცით, "ამერს" დაუბრუნდა გამოცდილი მეკარე **რევაზ ნაჭყეპია**, რომელიც მეორე გუნდში მოთამაშე-მწვრთნელის ფუნქციებს შეასრულებს. გუნდი დატოვა ვეტერანმა მცველმა **ამირან კედელაშვილმა**.

რაც შეეხება "მერანს", მის შემადგენლობასა და თამაშში ბევრი სიახლე ვერ აღმოვაჩინეთ. როგორც ჩანს, გუნდის ახალი მთავარი მწვრთნელი **სერგო კუტივაძე** გასასინჯი ფეხბურთელების დონემ ვერ დააკმაყოფილა და თუ უახლოეს პერიოდში არავინ დაიმატეს, უმაღლესი ლიგის დებიუტანტები სეზონის მეორე ნახევარს თითქმის უცვლელი კადრებით ჩაატარებენ.

გუნდის ახალწვეულთაგან გულშემატკივარი მხოლოდ ერთ მოთამაშეს იცნობს. **ზაზა ზირაქიშვილი** ოპტიმალური ფორმისგან შორსაა, მაგრამ წესით, მალე უფრო შედეგიანად უნდა ათამაშდეს. კუტივაძეს სელექცია ჯერ არ დაუსრულებია და არაა გამორიცხული, "მერანი" ზირაქიშვილზე არანაკლებ კვალიფიციური ფეხბურთელებით გაძლიერდეს.

უშუალოდ მატჩს რაც შეეხება, როგორც განაცხადიდან ხედავთ, ორივე მწვრთნელმა მრავლად გააკეთა შეცვლები. **გიორგი ჩიხრაძემ** პირველი ტაიმის შემდეგ, თერთმეტივე ფეხბურთელი შეცვალა, მაგრამ მალე **გიზო ჯელაძის** დაშავების გამო, **გრიგოლ დოლიძეს** მოედანზე დაბრუნება მოუწია.

"მერანი" მეტოქეს მხოლოდ პირველ ნახევარში გაუძალიანდა, ძირითადი შემადგენლობის წევრთა მოედნიდან გასვლის შემდეგ კი უკვე უშანსოდ იყო. მოწინააღმდეგისგან განსხვავებით, ჩიხრაძემ 22 კაცი ორ თანაბარძალოვან შემადგენლობად გაყო და ორივე თერთმეტეულმა დაკისრებულ მოვალეობას თავი პირნათლად გაართვა.

90 წუთის განმავლობაში "მერანს" მეტოქის კართან ერთი რეალური ხიფათიც კი არ შეუქმნია, მაშინ როცა "ამერმა" არაერთი საგოლე შანსი გაუშვა ხელიდან. დოლიძეს, **ჩიმაკაძეს**, **მჭედლიშვილსა** და **წინამძღვრიშვილს** გატანა მართებდათ, მაგრამ იმ ეპიზოდებში "მერანის" კარი ერთი შეხედვით გარდაუვალ გოლებს გადაურჩა.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს ჩემპიონატის პირველ წრეში ამ გუნდებს შორის გამართული შეხვედრა ამერელებმა ანალოგიური ანგარიშით მოიგეს.

**იური გაბისკირიამ** პირველი ამერული გოლი გაიტანა, მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი კი უდავოდ ჰეთთრიქოსანი გრიგოლ დოლიძე იყო.

**ლევან ჯანეზაშვილი**


რომან გარკუშა

ინტერვიუ რომან გარკუშასთან

# ბელარუსი დინამოს შენატრის

**აზერბაიჯანულ "შაჰდაგთან" ამხანაგურ მატჩში "დინამოში" ახლახან გამოჩენილმა ბელარუსმა მცველმა რომან გარკუშამ ითამაშა. თამაშზე უკვე გიამბეთ, ბელარუსზე კი დაწვრილებით მისი ინტერვიუდან შეიტყობთ.**

**- "დინამოზე" რას გვეტყოდით?**

- თბილისის "დინამო" სწორედ ისეთი გუნდია, როგორსაც ველოდი. კარგად ორგანიზებული, ტექნიკური ფეხბურთელებით დაკომპლექტებული და დუშან უგრინის სახით ჩინებული მწვრთნელიც ჰყავს.

**- ბოლოს სად თამაშობდით?**

- „ბატეს" შემდეგ ნესმაჩნის "ვეროში" გამოვდიოდი.

**- ახალ გუნდში თავს როგორ გრძნობთ?**

- ჩინებულად. ბიჭები საკმაოდ თბილად დამხვდნენ. საერთოდ ყველანი თბილები და კონტაქტურები არიან. ასე რომ, თავს უცხოდ ნამდვილად არ ვგრძნობ.

**- ქართულ ფეხბურთზე რა წარმოდგენა გაქვს?**

- საკმაოდ ნორმალური. ტექნიკურ ფეხბურთს თამაშობთ. თბილისში 2005 წელსაც ვიყავი. მაშინ "ბატეში" ვთამაშობდი და ქუთაისის "ტორპედოს" აქ 1:0 მოვუგეთ. საპასუხო შეხვედრაში კი ბორისოვში 5:0 გავიმარჯვეთ.

**- აქ უკეთესი მდგომარეობაა თუ ბელარუსულ ფეხბურთში?**

- თითქმის ერთი და იგივეა. ორივეს უჭირს, განსაკუთრებით ფინანსურად.

**- ბუნებრივია, მთავარ მწვრთნელთან უკვე გქონდათ საუბარი. რა გითხრათ უგრინმა?**

- გამორჩეული არაფერი. როგორც ვატყობ ჩემით უკმაყოფილო ნამდვილად არაა და ვნახოთ საბოლოოდ რა გამოვა. ჯერჯერობით ტესტირებაზე ვარ. ძალიან მინდა ისეთ დიდი ტრადიციებისა და წარსულის მქონე გუნდში ვითამაშო, როგორიც თბილისის "დინამოა". იმედია, ნატვრა ამიხდება და ჩავირიცხები.

**- გუნდს ანთალიაში მიჰყვები?**

- ეს გადაჭრით ჯერ კიდევ არ ვიცი. ხვალ მეცოდინება.

**- თუკი "დინამოსგან" თანხმობას მიიღებ, რა ხანგრძლივობის კონტრაქტს გააფორმებთ?**

- არც ეგ ვიცი. დადებითი პასუხი მივიღო და ამაზეც შევთანხმდებით.

**- თავისუფალი აგენტი ხარ?**

- შეიძლება ითქვას, რომ ასეა.

**- ეს როგორ გავიგოთ?**

- მალე სწორედ ეს სტატუსი მექნება.

**- რომელიმე ასაკის ნაკრებში თუ გითამაშია?**

- 21 წლამდელებში ვითამაშე ორჯერ პოლონელებთან.

**- დაბოლოს, შენი ასაკი ვერაფრით დავადგინეთ. ვებგვერდებზე შენი ასაკის სამი ვარიანტია მოცემული, 21 წლის ხარ, 22-ის თუ 25-ის?**

- მოკლედ გეტყვით, 1984 წლის 2 ივნისს დავიბადე.

**დავით ცაბაძე**

გახსენი... ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.kazbegi.com

www.pfl.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლეგიონერები

# კონტრაქტი რეინჯერსთან თამაშის შემდეგ

"ედინბურგ ნიუსი" იუწყება, რომ **ვალდას ივანაუსკასს** საშველი დაადგა და შეუძლია მშვიდად იყოს, რადგან რუსეთიდან **ლარი კინგსტონის** შემდეგ, **გოგიტა გოგუაც** შეიძინა.

გაზეთის ინფორმაციით - და ეს არ გახლავთ ყვითელი გაზეთი - ორივე ნახევარმცველმა კონტრაქტი გააფორმა.

*"ახლა ისინი სამუშაო ვიზას ელიან. მართალია, ჯერ მხოლოდ 6-თვიანი კონტრაქტი გაფორმდა, მაგრამ ივანაუსკასი მათთან ხანმოკლე თანამშრომლობას არ აპირებს. ზაფხულის შემდეგ კინგსტონს სამწლიან ხელშეკრულებაზე დაელაპარაკება. ასეთივე ჩანაფიქრი გააჩნია გოგუას მიმართაც".*

ივანაუსკასის თქმით, ორივე მათგანი მზადაა შაბათს, "რეინჯერსთან" სათამაშოდ. თუმცა მანამდე ფეხბურთელებმა შრომითი ვიზა უნდა მიიღონ *"თუ შაბათს ვერ დაგვეხმარებიან, ეს არაფერია. შემდეგში მათ იმედად ვართ"*, - ამბობს ივანაუსკასი." თუმცა გუშინ თავად გოგიტას დავუკავშირდით ედინბურგში და მან კონტრაქტის გაფორმება უარყო.

- არ დავმალავ, კონტრაქტი დამიდეს, მაგრამ ჩერვიჩენკოსთან შეუთანხმებლად ამის უფლება არ გამაჩნია. მეც მის საბოლოო პასუხს ველი.

**- კიდევ გაურკვევლობაში ხარ?**

- დიახ, დღემდე ასეა.

**- როდის უნდა გაირკვეს საკითხი?**

- როგორც მითხრეს, "რეინჯერსთან" შაბათის მატჩის შემდეგ. ან დადებითად გადაწყდება და დავრჩები, ან კიდევ რუსეთში დავბრუნდები. იქაც რამდენიმე ვარიანტია.

**გოჩა თამაზაშვილი,** რომელიც მოლაპარაკებებშია ჩართული, განსხვავებულ პოზიციას აფიქსირებს: *"ახლა "ჰართსი" ელოდება ჩერვიჩენკოსგან სატრანსფერო შეთანხმებაზე ხელის მოწერას. ეტყობა, ამხელა თავგადასავლების შემდეგ გოგიტა ნერვიულობს და ჩერვიჩენკოს თანხმობის გარეშე არ სურს კონტრაქტის გაფორმება, თორემ "ჰართსმა" შოტლანდიის ფეხბურთის ასოციაციაში უკვე შეიტანა განაცხადი და გოგუაზე შრომის ვიზა უნდა გასცენ. მე როგორც ვიცი, დღეს ყველა საჭირო დეტალი უნდა შეთანხმდეს და კონტრაქტიც გაფორმდება".*

ჩვენ მიერ მოპოვებული ბოლო ინფორმაციით ჩერვიჩენკო შოტლანდიელებისგან კუთვნილი თანხის მიღებამდე გოგუას კონტრაქტზე ხელის მოწერის უფლებას არ აძლევს. ჯერ ფული დადეთ და ხელმოწერასაც ამის მერე მიიღებთო, უთქვამს რუსს.

**მერაბ მამულაშვილი**



გოგიტა გოგუა

## თურქეთთან ქალი იმსაჯებს

7 თებერვალს საქართველოს B და თურქეთის ახალგაზრდული ნაკრებების მატჩს ქალი არბიტრი მოემსახურება. პირველი კატეგორიის არბიტრ **ლალი გახოკიას** მატჩზე მეოთხე მსაჯობა აქვს დავალებული. შეხვედრის მთავარი არბიტრი კი **ლევან ფანიაშვილი** იქნება, რომელსაც **გიორგი ყრუაშვილი** და **გიორგი დოგრაშვილი** დაეხმარებიან. იმავე დღეს ეროვნული ნაკრებების შეხვედრას კი ლატვიელი არბიტრები მოემსახურებიან. მთავარი **რომან ლაიუქსია**, თანამსაჯები **სერგეის ბრაგა** და **იანის პუკინიასი**. მეოთხე მსაჯი **დავით ხარიტონაშვილი** იქნება.

## ხოჯავა თეთრაძესთან

რუსეთის პირველი დივიზიონის კლუბ "ანჟიში", რომელიც შეკრებაზე თურქეთში იმყოფება, სინჯებზე საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების ყოფილი ნახევარმცველი **გოჩა ხოჯავა** იმყოფება. შეგახსენებთ, რომ კლუბს ჩვენი ყოფილი თანამემამულე **ომარ თეთრაძე** წვრთნის, რომელიც ხოჯავას კარგად იცნობს - შარშან ხოჯავა და თეთრაძე "კრილია სოვეტოვში" ირიცხებოდნენ, თეთრაძე მოთამაშე-მწვრთნელი იყო, ხოლო ხოჯავა უშედეგოდ ცდილობდა მთავარ გუნდში დამკვიდრებას. ამის შემდეგ გოჩა რუსთავის "ოლიმპში" გამოდიოდა, თუმცა პირველი წრის ბოლოს ნახევარმცველი იქიდანაც გაუშვეს. 29 იანვარს "ანჟი" ლუგანსკის "ზარიას" შეხვდება და სწორედ ამ თამაშში შეეცდება ქართველი კლუბის ხელმძღვანელობისთვის თავის მოწონებას.

## კანკავა მეშვიდე წუთზე გააძევეს

არაბეთის გაერთიანებულ საემიროებში პირველი საკონტროლო მატჩი გამართა დნეპროპეტროვსკის "დნეპრმა". **ოლეგ პროტასოვის** გუნდმა 4:0 გაანადგურა ყარაგანდის "შახტიორი". უცნაური დებიუტი გამოუვიდა "დნეპრის" მაისურით პირველად მოთამაშე **ჯაბა კანკავას**, რომელიც საკონტროლო მატჩის მეშვიდე წუთზე გააძევეს. საყრდენ ნახევარმცველად მოთამაშე ქართველმა ახალწვეულმა წითელი ბარათი მსაჯთან კამათისთვის დაიმსახურა, თუმცა არბიტრმა მის მაგივრად ფეხბურთელის შეყვანის უფლება მისცა პროტასოვს. შეგახსენებთ, რომ ყაზახურ კლუბში სინჯებზე "ზესტაფონის" ყოფილი ფორვარდი **გრიგოლ იმედაძე** იმყოფება.

უკრაინაში დარჩენილი "დნეპრის" დუბლი "კრივბასის" დუბლებს შეხვდა და 1:1 ეთამაშა. ამ მატჩში მონაწილეობა არ მიუღია **რევაზ ბარაბაძეს**, რადგან მან მწვრთნელის განცხადებით ვარჯიშისას მცირე ტრავმა მიიღო. "კრივბასის" რიგებში კი ვინმე **არაკაშვილმა** ითამაშა.

# იენიდან თბილისში და უკან

## აშვეთია უკან ბრუნდება, ლომაიას კი არავინ ახსენებს

იმის მაგივრად, რომ ბრაუნშვაიგში წასულიყო და "კარლ ცაისის" რიგებში "აინტრახტის" წინააღმდეგ ეთამაშა, **მიხეილ აშვეთიას** თბილისში მოუწია ჩამოსვლა. ამის მიზეზი გერმანელების მიერ ქართველისთვის სამუშაო ვიზის გაუცემლობა გახდა. როგორც აშვეთიას აუხსნეს, თბილისში სამუშაო ვიზას გაცილებით ადვილად აიღებო და ისიც უმალ სამშობლოში გამოემართა. პრობლემის მოგვარებას ქართველი დღესვე აპირებს, რადგან კვირას **გიორგი ლომაიასთან** ერთად იენაში ჩასვლა აქვს დანიშნული. ერთი სიტყვით აშვეთიას დებიუტი მომავალი კვირისთვის გადაიდო. არადა კლუბის ხელმძღვანელობა მასზე უკვე ამ ტურში ამყარებდა იმედებს. საერთოდაც მწვრთნელი **ჰაიკო ვებერი** ქართველი ფორვარდის გადაბირებით ერთობ კმაყოფილია. მან ეს კლუბის საიტზეც დააფიქსირა და "ოსტთიურინგენ ცაითუნგთან" საუბარშიც: *"ვფიქრობ, რომ აშვეთია ჩვენს გუნდს დიდ სარგებლობას მოუტანს. ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, მას გამარჯვებულის მენტალიტეტი აქვს და უფრო მაღალ დონეზე არაერთ მატჩში უთამაშია, ვიდრე ჩემს სხვა ფეხბურთელებს".*

რაც შეეხება გიორგი ლომაიას, "კარლ ცაისის" ოფიციალურ ვებგვერდზე ქართველი მეკარის იენაში ჩასვლის და კლუბში სავარაუდო ჩარიცხვის თაობაზე არანაირი ცნობა არ მოიპოვება.

"კარლ ცაისის" ლომაიათი დაინტერესების ამბავი მიხეილ აშვეთიამაც დაადასტურა ჩვენთან გუშინდელ საუბარში და თავად მეკარემაც, თუმცა დღეს "ოსტთიურინგენ ცაითუნგმა" გამოაქვეყნა იმ მეკარეების სია, რომლის გადაბირებასაც ცდილობს გერმანული კლუბი - **კასპერ იენსენი, იაროსლავ დრობნი, ალექსანდერ ბადე.** როგორც ხედავთ მათ რიცხვში არ სახელდება ლომაია. არაა გამორიცხული გერმანელ ჟურნალისტებს არ ჰქონდეთ ზუსტი ინფორმაცია ქართველის ჩასვლასთან დაკავშირებით, ოფიციალური ვებგვერდი კი ამაზე საუბარს ნაადრევად მიიჩნევს. საქმე ისაა, რომ კლუბის ხელმძღვანელობას ეს მეკარეები ადრევე ჰყავდა შერჩეული, ლომაიას კანდიდატურა კი ბოლო მომენტში ამოტივტივდა.

**დავით ცაბაძე**

ინტერვიუ გიორგი ლომაიასთან

# ჩავალ და კონტრაქტს გავაფორმებ

**მიხეილ აშვეთიას შემდეგ მეორე ბუნდესლიგის "კარლ ცაისთან" კონტრაქტს, სავარაუდოდ, გიორგი ლომაიაც გააფორმებს. საქართველოს ნაკრების მეკარე კვირას ჩაფრინდება გერმანიაში და მოლაპარაკებებიც იქ დასრულდება. მანამდე კი მხარეები მომავალი კონტრაქტის გარკვეულ პირობებზე შეთანხმდნენ.**

- დამირეკეს და კვირას გერმანიაში გავემგზავრები. 31 იანვარს ევროპაში სატრანსფერო პერიოდი დასრულდება, დრო არ ითმენს და იმედი მაქვს, ყველაფერი კარგად დასრულდება. მით უმეტეს, "კარლ ცაისთან" დაკავშირებით, ამ ბოლო ხანს საქმე ჩემს სასარგებლოდ შემობრუნდა.

**- ეს როგორ გავიგოთ?**

- იენელებს თავდაპირველად "ვერდერის" ასაკოვანი მეკარე ანდრეას რაინკეს აყვანა უნდოდათ. მასთან მოლაპარაკებებიც წამოიწყეს, მაგრამ მან უარი უთხრა. ეს კი ჩემს წისქვილზე ასხამს წყალს.

**- რაინკეს შემდეგ "კარლ ცაისმა", 24 წლის დანიელ მეკარე კასპერ იენსენთან წამოიწყო მოლაპარაკებები. იენელებს მანაც უარი უთხრა?**

- ამის შესახებ არაფერი ვიცი. ალბათ მანაც უარი უთხრა, თორემ მე აღარ დამირეკავდნენ, ჩამოდიო. კონტრაქტის გარკვეულ დეტალებზე შევთანხმდით. 26 იანვარს "კარლ ცაისს" გასვლითი მატჩი აქვს და იქიდან რომ დაბრუნდებიან ჩემი საკითხიც მერე მოგვარდება.

**- რა ხანგრძლივობის ხელშეკრულებაზეა საუბარი?**

- როგორც აშვეთია, მეც სეზონის ბოლომდე დავრჩები "კარლ ცაისში". თუკი გუნდი მეორე ბუნდესლიგაში დარჩება, მაშინ შესაძლოა ხელშეკრულებაც გავაგრძელო.

**- მიხეილ აშვეთიას კლაუს ტოპმიოლერმა და რალფ მინგემ გაუწიეს რეკომენდაცია. მათ შენს შესახებ თუ დაეკითხნენ?**

- არ ვიცი. შესაძლოა, "კარლ ცაისის" ხელმძღვანელობა ნაკრების მწვრთნელებსაც დაეკითხა ჩემს შესახებ, მაგრამ ამის თაობაზე არაფერი ვიცი.

**- როგორ ფორმაში ხარ?**

- უქმად არ ვყოფილვარ, 2-3 კვირაა რაც ვვარჯიშობ. ცუდ ფორმაში არ ვარ, მაგრამ იდეალურად გამოვიყურებითქო ნამვილად ვერ ვიტყოდი.

**- ინდივიდუალურად ვარჯიშობდი?**

- არა, ჩემს ძმასთან, დათოსთან ერთად "ვიტ ჯორჯიაში" ვვარჯიშობ. კლუბის ხელმძღვანელობას ვთხოვე და მადლიერი ვარ რომ გამიგეს.

**- საკუთარი შესაძლებლობები უკეთ იცი, შეძლებ "კარლ ცაისში" დამკვიდრებას?**

- ფეხბურთელისთვის და მით უმეტეს, მეკარისთვის მთავარი ნდობაა. თუკი მენდობიან, ყველაფერს გავაკეთებ საიმისოდ, რომ "კარლ ცაისის" მთავარ მეკარედ ვიქცე.

**- მეორე ბუნდესლიგაში თამაში ნაკრებშიც წაგადგება...**

- რა თქმა უნდა, ასეა. გული მწყდება, რომ კლუბში უთამაშებლობის გამო ნაკრებში თამაშები გამიცდა. იტალიასთან იმ ერთ გაშვებულ გოლზეც გული მწყდება...

**- გასული წელს ნაკრებისთვის როგორ შეაფასებდი?**

- მიუხედავად იმისა, რომ ჯგუფში მხოლოდ 4 ქულა ავიღეთ, გასული წელი ცუდი მაინც არ იყო. კლაუს ტოპმიოლერმა ახალი გუნდის ჩამოყალიბების პროცესი დაიწყო და იმედი მაქვს, წელს ბევრად უკეთ ვიასპარეზებთ.

**- საკლუბო კარიერის მხრივ როგორ შეაფასებ განვლილ წელს?**

- სეზონის პირველ ნახევარს მეორე სჯობდა. მეორე წრეში უფრო მომიწია თამაში. "ლუჩში" ბოლომდე მაინც არ მენდობოდნენ, თორემ უფრო მეტს ვითამაშებდი და საკუთარ შესაძლებლობებსაც მეტად წარმოვაჩენდი.

**- დაბოლოს, ისევ "კარლ ცაისზე" გკითხავ. ისევე როგორც გოგიტა გოგუა, შენც ანდრეი ჩერვიჩენკოსთან გაკავშირებს კონტრაქტი. გერმანელები მისგან გამოგისყიდიან თუ იჯარის წესით ითამაშებ მეორე ბუნდესლიგაში?**

- დამირეკეს და მითხრეს, რომ კვირას იენაში უნდა იყო. ისიც მითხრეს, რომ ჩერვიჩენკოსთან შევთანხმდითო და მეტს ვერაფერს გეტყვით. დანარჩენს გერმანიაში ჩასვლის შემდეგ გავიგებ.

**დავით ცაბაძე**

CDN კავკასიის ციფრული ქსელი
CAUCASUS DIGITAL NETWORK
გთავაზობთ სატელეკომუნიკაციო მომსახურების სრულ პაკეტს:
CDN DSL ყველაზე სტაბილური ინტერნეტი;
CDN 55 ტელეფონის დადგმა;
CDN 8-66 კავშირი ყველგან და ყოველთვის;
GIGACARD ისაუბრე მეტი, გადაიხადე ნაკლები;
CDN ქსელების მონტაჟი და მომსახურება;
24 საათის განმავლობაში
უწყვეტი მომსახურება
ტექნიკური მხარდაჭერა
სატელეფონო საუბრების წამობრივი აღრიცხვა!
მხოლოდ ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტექნოლოგიები!
ტელ.: 350 055, 259 555
cdn@cdn.ge; www.cdn.ge



ყაზბეგი
www.kazbegi.com
გახსენი...
ყაზბეგი
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი
ეროვნული ბიბლიოთეკა
www.pfl.ge

მეორე წრის წინ. ბათუმი

# თუ გუნდი არ უნდათ, პირდაპირ გვითხრან

ცოტაც და საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატი განახლდება, მაგრამ ჯერ კიდევ გაურკვეველია, თუ სად ითამაშებს ბათუმის "დინამო". ცენტრალური სტადიონის გაყიდვის შემდეგ, კლუბის მესვეურები აცხადებდნენ, რომ ორ წელიწადში ზღვისპირულ გუნდს ახალი, ევროსტანდარტების დონის საფეხბურთო არენა ექნებოდა, მანამდე კი საშინაო მატჩებს "ადელზე" გამართავდნენ. თუმცა, პროფლიგა გუნდს "ადელზე" თამაშის ნებას არ აძლევს.

დავიწყოთ იმით, რომ "ადელის" სტადიონი სტანდარტულზე პატარაა, არ აქვს ტრიბუნა და პრესლოჟა და რაც ყველაზე მთავარია, გვერდითი ხაზიდან ერთ მეტრში, ღობე აქვს შემოვლებული და სისწრაფეაკრეფილმა ფეხბურთელმა თავი თუ ვერ შეიკავა, იმ თავით ბურთის გატანა კი არა, ღობის გარღვევა მოუწევს. ძველ სტადიონზე მინდვრის მწვანე საფარის ნახევარი უკვე აღებულია და ამჟამად იქ გეოლოგიური სამუშაოები მიმდინარეობს. ახალი მეპატრონეები არც იმას თანხმდებიან, რომ "დინამომ" დროებით მაინც ითამაშოს იქ.

**ალექსანდრე ახვლედიანი** (აჭარის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი): *"სტადიონის პრობლემა კვლავ მოუგვარებელია. "ადელზე" თამაშის ნება არ დაგვრთეს, ცენტრალურზე კი მისი ამჟამინდელი მეპატრონეები არ გვიშვებენ. არც კი ვიცით, თამაშებს სად გავმართავთ. ბოლო ვარიანტი ქობულეთია, თუმცა, არც ისაა გამორიცხული, რომ პრობლემამ აქაც იჩინოს თავი."*

ყველაფერ ამას ისიც ემატება, რომ გუნდი კარგა ხანია, ფინანსების გარეშეა დარჩენილი. კლუბის წევრები აცხადებენ, რომ სამი თვეა ხელფასი არ აუღიათ. მოკლედ, აჭარაში ფეხბურთი კარგა ხანია, თავდაღმა მიექანება და არც მშველელი ჩანს ვინმე. არადა, შარშან თითქოს მაშველიც გამოჩნდა ირანული წარმოშობის ბრიტანელი ბიზნესმენის **ალი გიფტარის** სახით. იგი აჭარაში მთავრობას ბიზნესის დაწყების ნებას სთხოვდა, სანაცვლოდ კი კლუბის პატრონაჟს კისრულობდა. გარიგება არ შედგა და გიფტარი თავის მილიონებს ახლა სხვაგან აბანდებს. თუ ასე გაგრძელდა, "დინამოს" უკეთეს შემთხვევაში, პირველ დივიზიონში გავარდნა გარანტირებული აქვს. უარესი კი გუნდის დაშლაა.

**თამაზ ცინარიძე** (დინამოს ტექნიკური დირექტორი): *"ოქტომბრის შემდეგ ხელფასი არავის აგვიღია, რომ არაფერი ვთქვათ თასის შემდეგ ეტაპზე გასვლისთვის შეპირებულ პრემიებზე. სამწუხაროა, მაგრამ ისიც კი არ ვიცით, ამ დღეში როდემდე ვიქნებით."*

"დინამოს" ბათუმის ნავთობტერმინალი აფინანსებდა და კლუბის მესვეურებმა ურთიერთობის გარკვევა სწორედ მის ხელმძღვანელობასთან გადაწყვიტეს. იქ მისულმა თამაზ ცინარიძემ გუნდს სანუგეშო ვერაფერი უთხრა და მხოლოდ და


ბათუმელები ტერმინალთან

მხოლოდ ტერმინალის ერთ-ერთი ხელმძღვანელი პირის (მამუკა ბოჭორიშვილის — ი.დ.) სიტყვების ციტირება მოახდინა. *"ჩვენ გუნდის სპონსორობაზე არც კონტრაქტი გაგვიფორმებია და არც ვალდებულება აგვიღია. უბრალოდ, კეთილი ნება გამოვიჩინეთ და კლუბს დავეხმარეთ. ამჟამად დავილაპარაკებთ და გადავწყვეტთ, გავაგრძელოთ დაფინანსება თუ არა".*

ამ სიტყვების მოსმენის შემდეგ დინამოელთა შორის უკმაყოფილებამ იმატა, ზოგი აქციებითაც დაიმუქრა. მწვრთნელმა **ამირან გოგიტიძემ** ასეთი კომენტარი გააკეთა: *"აჭარისთვის ფეხბურთის დაკარგვა იგივეა, რაც საქართველოსთვის აფხაზეთისა და სამაჩაბლოს დაკარგვა. ყველაფერი მათია და რა მოხდება, თუ დაგვეხმარებიან? არაა აუცილებელი ყველაფერი ვიღაც-ვიღაცების ჯიბეში წავიდეს. ჩვენ ხომ მარტო საკუთარი თავისთვის არ ვზრუნავთ. ჩემთვის უმუშევრობა არ წარმოადგენს პრობლემას, როგორმე თავს გავიტან, მაგრამ ამ ბიჭებმა რა ქნან? თუ ფეხბურთი მოკვდა, მაშინ ის პატარა ბიჭები, რომლებიც სხვადასხვა ასაკობრივ გუნდში თამაშობენ, ქუჩაში დარჩებიან და მაგ დროს რაც ემართება მოზარდთა უმრავლესობას, კარგად მოგეხსენებათ. ან უნდა მოიპარონ, ან მაპატიეთ და უნდა „გაიჩხირონ". კი ბატონო, გამოიჩინეს კეთილი ნება და დაგვეხმარნენ – მადლობას მოვახსენებთ, მაგრამ თუ აღარ აპირებდნენ ჩვენს დაფინანსებას, დროზე ეთქვათ. ამ ბიჭებს რა ვუთხრა? დაიწყება მეორე წრე და დარჩებიან უკლუბოდ. სირცხვილია, ამხელა რეგიონს ერთი ნორმალური გუნდი რომ არ ჰყავს."*

**ირაკლი დარცმელიძე**
ბათუმიდან
ავტორის ფოტო

თანამეგობრობის თასის შემდეგ

# ჩასემით მოსკოვის დინამო დაინტერესდაო...

საბედნიეროდ, მოსკოვიდან თბილისისკენ მომავალ "სიონი" დაბრკოლებებს არ გადაჰყრია და საქართველოს დედაქალაქში დათქმულ დროს, ანუ გუშინ დილას ჩამოაღწია. ჩვენი ქვეყნის ჩემპიონები მოსკოვიდან ერევანში ღამით ჩაფრინდნენ, საიდანაც თბილისში ავტობუსით გამოემგზავრნენ.

რუსეთში დარჩნენ **ვიტალი დარასელია** და **ლევან სილაგაძე**. დსთ-ის თასზე მათ მაღალ დონეზე იასპარეზეს და რამდენიმე კლუბი დააინტერესეს. ახლა ისინი კონკრეტულ მსურველებთან გამართავენ მოლაპარაკებებს და გადაწყვეტილებას უახლოეს დღეებში მიიღებენ. ხელსაყრელი ვარიანტის პოვნაში მათ **ახრიკ ცვეიბა, მიხეილ ძოძუაშვილი** და **მამუკა ჯუღელი** ეხმარებიან.

სკაუტთა ყურადღება იმ ფეხბურთელებმაც მიიქციეს, რომლებსაც "სიონთან" აკავშირებთ კონტრაქტი. როგორც კლუბის გენერალურმა მენეჯერმა **ჯემალ ქიპაშვილმა** გვითხრა, **ერიკ რომეო ჩასემი** მოსკოვის "დინამოს" ყურადღების არეალშია მოქცეული, **ბოიომო ფრიდოლინის** თაობაზე კი "სიონს" მოსკოვში მავანი ბულგარელი აგენტი შეეხმიანა და თავისი ქვეყნის ერთ-ერთი კლუბის დაინტერესების შესახებ ამცნო. ეს საკითხებიც სატრანსფერო ფანჯრის დახურვამდე უნდა გადაწყდეს, არაა გამორიცხული, მოთხოვნა სხვა სიონელებზეც გაჩნდეს.

*"რუსეთში ჩვენს გუნდს ძალიან კარგი პრესა ჰქონდა, ჩვენს თავდადებულ თამაშს ყველამ გაუსვა ხაზი, არც გულშემატკივრობა გვაკლდა და ისიც აღიარეს, რომ მეოთხედფინალში გასვლის ღირსნი ვიყავით. ოფკ-სთან მატჩს მე და ცნობილმა კომენტატორმა ვლადიმირ პერეტურინმა თვალი ერთად ვადევნეთ. იგი აღფრთოვანებული დარჩა, ტურნირზე ღირსეული გამოსვლა მოგვილოცა და იმედი გამოთქვა, რომ თანამეგობრობის თასზე საქართველო გაისადაც "სიონით" იქნება წარმოდგენილი"*, - გვითხრა ქიპაშვილმა.

მან იქვე დასძინა, რომ თანამეგობრობის თასზე ასპარეზობა "სიონისთვის" სპორტული და ფინანსური თვალსაზრისით, მომგებიანი აღმოჩნდა და კლუბის ხელმძღვანელობამ მოსკოვში წასვლით სწორი გადაწყვეტილება მიიღო.

საქართველოში დაბრუნებულ ფეხბურთელებს გუშინ დასვენების დღე ჰქონდათ, "სიონის" სამზადისი დღეს გაგრძელდება. 12 საათზე გუნდი სრული შემადგენლობით ბოლნისში იკრიბება სავარჯიშოდ. ბუნებრივია, "სიონს" ის მოთამაშეებიც შეუერთდებიან, რომლებსაც მოსკოვში არ უთამაშიათ. დღესვე კლუბის კრება გაიმართება, სადაც არაერთი მნიშვნელოვანი საკითხი გაირკვევა. საუბრის მთავარი თემა, სავარაუდოდ, სეზონის მეორე ნახევისთვის მოსამზადებელი პერიოდი იქნება. წესით, დღეისთვის უნდა გაირკვეს საზღვარგარეთული შეკრების დრო და ადგილი.

**ლევან ჯანეზაშვილი**

ინტერვიუ გიორგი სეთურიძესთან

# რუსებმა ტაში დაგვიკრეს!

**თანამეგობრობის ტურნირიდან ჩამოსული ოლიმპელები კლუბს დაუბრუნდნენ. ბოლნისის "სიონში" მცირეხნიანი გამოსვლა მოსკოვში დასრულდა. "სიონი" ტურნირს გამოეთიშა, თუმცა ერთადერთი გუნდი აღმოჩნდა, რომელმაც სერბეთის მესამეადგილოსანი ოფკ დაამარცხა.**

**მოსკოვურ შთაბეჭდილებებს გიორგი სეთურიძე გვიზიარებს:**

- გული დამწყდა, გამოვარდნას ჩვენნაირი პოტენციალის გუნდი არ იმსახურებდა. ამას ხალხიც აღიარებდა. უნდა გენახათ, ბოლო დღეს მთელი დარბაზი ჩვენ გვიჭერდა მხარს. ეს ჩემთვის დიდი მოულოდნელობა იყო.

**- რუსები თქვენ გქომაგობდნენ?!**

- აბა, რუსებიც და ყველა ის ადამიანი, რომლებიც აღიარებდნენ, რომ ჩვენგან ასეთ კარგ თამაშს არ ელოდნენ.

**- სერბებთან კი მოიგეთ, მაგრამ ლიტველებთან რა მოგივიდათ?**

- მგზავრობამ ძალიან დაგვღალა. როგორი საქმეა, მთელი ღამე აეროპორტში გაგვაჩერეს, მოსკოვში დროულად ვერ ჩავფრინდით. თამაშის წინა დღეს დარბაზში ველარ ვივარჯიშეთ და ამ ყოველივემ თავისი კვალი დაგვატყო. "კაუნასთან" დასვენებულებს რომ გვეთამაშა, ნაღდად არ წავაგებდით.

მერე მსაჯმა ხომ თავი გაიგიჟა. ჩვენი პრეტენზიები სამართლიანი რომ იყო, დამტკიცდა კიდეც - იგი ტურნირიდან მოკვეთეს. სხვათა შორის, თვითონ რუსები იყვნენ უკმაყოფილოები და იძახდნენ, ფული აიღო და შეგვარცხვინაო.

**- სერბებთან მატჩზე რას გვეტყვი?**

- თამაშამდე ბიჭებმა ვთქვით, რომ ბოლომდე დავხარჯულიყავით და მიხარია, რომ ასეთი საფეხბურთო ქვეყნის მესამეადგილოსანი დავამარცხეთ. კი, გამოვვარდით, მაგრამ ტურნირი უსახელოდ არ დაგვიტოვებია. სხვათა შორის, რუსები თამაშის შემდეგ ამბობდნენ, საცოდაობა იყო ქართველების გა-



გიორგი სეთურიძე

მოვარდნა, თავიდანვე რომ არ წაგეგოთ, კონკურენტი არ გეყოლებოდათო. ხალხი ტაშით გვაცილებდა, მაგარი სასიამოვნო გრძნობა იყო.

**- გამოდის, რუსებმა კარგად მიგიღეს.**

- ძალიან კარგად, თბილად, სიყვარულით, ასეთ მიღებას ნაღდად არ ველოდი. არანაირი აგრესია არ ყოფილა. ბოლოს სერბებთან ლატვიელმა ისე გვიმსაჯა, ქართველი გვეგონა. "კაუნასთან" უზბეკი იყო და აშკარა იყო, რომ რუსები მის გამო უხერხულობას გრძნობდნენ.

**- რამდენადაც ვიცით, ტურნირის შემდეგ შენით რუსული კლუბები დაინტერესდნენ...**

- პირადად მე არავინ დამლაპარაკებია და არც უთქვამს, ვინმეს მოეწონეო. თუმცა ბოლო მატჩი სერბებთან ცუდად არც მე ჩამიტარებია და არც დანარჩენებს. რაც შეგვეძლო, ვითამაშეთ.

**მერაბ მამულაშვილი**

ზესტაფონი

# თურქეთში წავიდნენ

დღეს დილის 6 საათზე "ზესტაფონი" თურქეთის საკურორტო ქალაქ ანთალიაში გაემგზავრა, სადაც თებერვლის შუა რიცხვებამდე გაჩერდება.

გუშინ გვიან ღამემდე ვცდილობდით გასამგზავრებთა სიის დაზუსტებას და შემდეგი დავადგინეთ. ანთალიაში ივარჯიშებენ:

მეკარეები: **ჭანტურია, ჯალალონია, როინ კვასხვაძე;**

მცველები: **საჯაია, თოდუა, ლონლაძე, ჩხეტიანი, სანტოსი;**

ნახევარმცველები: **ჭელიძე, პარამონოვი, გორგიაშვილი, ძარია, ვიეირა, ხუმარაშვილი, ნოზაძე, ნიკა კვასხვაძე, ჟონატასი, რ. ონიანი.**

თავდამსხმელები: **ფიფია, იონანიძე, ლეანდრო.**

ჯერჯერობით, ბრაზილიელ ახალწვეულებს, ჟონატასსა და ლეანდროს კონტრაქტები არ გაუფორმებიათ. წესით, ეს თურქული შეკრების შემდეგ უნდა მოხდეს. "ზესტაფონის" ნახევარმცველი ვიეირა ირწმუნება, რომ ჟონატასის დონის მოთამაშე საქართველოში არ არის, თუ იმედი არ გაგიმართლათ, მზად ვარ ჩემი კონტრაქტი დავარღვიოო.

იმერულ კლუბს სურდა "დინამოდან" წასული **ამბროზიოს** შეძენაც, თუმცა მან "გრემიოსთან" გააფორმა ხელშეკრულება.


თურმანიძემ ზესტაფონი დატოვა

თურქეთში შეკრებაზე საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრებში არიან "ზესტაფონის" მეკარე **როინ კვასხვაძე**, მცველები **გიორგი ხედეშელი, ამირან სანაია**, ნახევარმცველები **ალექსი ბენაშვილი, მირზა ბჟალავა, მურთაზ დაუშვილი** და **გიორგი განუგრავა**.

ალბათ, მათი ძირითადი ნაწილი "ზესტაფონს" შეუერთდება. თუმცა, საკითხავია, გიორგი განუგრავა გააგრძელებს კონტრაქტს თუ არა.

ეს თუ საკითხავია, **გიორგი თურმანიძის** ბედი გარკვეულია. გუნდის ხელმძღვანელებთან შეთანხმებით, გიორგიმ "ზესტაფონთან" კონტრაქტი გაწყვიტა. ინფორმაცია თავად ფეხბურთელმა დაგვიდასტურა.

*"მიჭირდა გუნდთან დაშორება, მაგრამ ორივესთვის ასე აჯობებდა. რაც მთავარია, ხელმძღვანელობამ გამიგო და ხელი არ შემიშალა. საქართველოში არ ვითამაშებ. შესაძლოა, ბელორუსში ან უზბეკეთში ვითამაშო"*, - გვითხრა 33 წლის ნახევარმცველმა, რომელიც "ზესტაფონში" 2004 წელს ჩაირიცხა და გუნდს დიდი სამსახურიც გაუწია.

თურქეთში, შესაძლოა, გუნდმა მეორე შემადგენლობის რამდენიმე მოთამაშეც წაიყვანოს. დაგეგმილია ოთხი საკონტროლო მატჩი, მათ შორის ერთი დნეპროპეტროვსკის "დნეპრთან".

**მერაბ მამულაშვილი**

# ქიქნაძე ტორპედოს ფილტრავს

ქუთაისის "ტორპედო" გუშინ "ნორჩ დინამოელს" ამავე სახელის საფეხბურთო სკოლის მოედანზე შეხვდა და 2:0 გაიმარჯვა. თავი გამოიჩინეს **ნადირაძემ** და **ჭედიამ**.

ამჟამად "ტორპედოს" მთავარი მწვრთნელი **გიორგი კიკნაძე** სასელექციო სამუშაოს ატარებს და ყოველ მატჩში ახალწვეულებს სინჯავს. ამჯერადაც ასე მოხდა. ბევრი სრულიად უცხო მოთამაშე იყო მოედანზე.

"ტორპედოში" რამდენიმე ცნობილი სახეც გამოჩნდა: მცველები **გია ჩხაიძე, თენგიზ უგრეხელიძე**, ნახევარმცველები **გეგა გარუჩავა** და **კახა მახარაძე**. ალბათ, დინამოელ მახარაძეს მეორე წრეში სწორედ ქუთაისელთა შორის ვიხილავთ. დანარჩენების საკითხი კი ჯერ გაურკვევლადაა.

ჯერ ისევ გაურკვეველია, "ვისოლი" დააფინანსებს თუ არა "ტორპედოს". საერთოდაც, გუნდის მეპატრონის ვინაობა დღემდე ლიადაა და როდის გადაწყდება, არავინ იცის.

**მერაბ მამულაშვილი**




კობი პენალტებს ალარ დაარტყამს, მას რაფინია შეცვლის

შალკე

# კობიაშვილს პენალტის დარტყმა აუკრძალეს

## ბოხუმს რატომ ვერ გაუტანეო...

„შალკე" მეორე წრეს ფრანკფურტში, მე-10 ადგილზე მყოფ „აინტრახტთან" მატჩით იწყებს. თუმცა გელზენკირხენული კლუბის ბოსები მხოლოდ ამ თამაშზე არ ფიქრობენ. გენერალური მენეჯერი **ანდრეას მიულერი** გეგმებს აწყობს, რა უთხრას **ჰაიკო ვეშტერმანს**, რათა ამ უკანასკნელმა „არმინიიდან" „შალკეში" გადასვლა გადაწყვიტოს. მოგეხსენებათ, „შალკე" უკვე რამდენიმე დღეა, ბილეფელდური კლუბის ამ მცველს ეპატიჟება. მიულერი არ მალავს, რომ ვეშტერმანის გადაბირება ძალიან უნდა. მეტიც, ის და მთავარი მწვრთნელი **მირკო სლომკა** არმინიელს ამ დღეებში პირადად შეხვდებიან შეეცდებიან გელზენკირხენში გადასვლაზე დაითანხმონ. ვეშტერმანი, სავარაუდოდ ძირითად შემადგენლობაში თამაშის გარანტიას მოითხოვს. ამის მიცემა კი, მიულერსა და სლომკას, ნამდვილად გაუჭირდებათ, რადგან „შალკეს" დაცვის ცენტრს **მარსელო ბორდონი** და **მლადენ კრსტაიჩი** შეადგენენ. აქედან ბორდონი ხელშეუხებელია და არც კრსტაიჩის ამოგდება იქნება იოლი.

*„ჩვენ ყველაფერი უნდა გავაკეთოთ იმისათვის, რომ ვეშტერმანმა ეს ნაბიჯი გადადგას. ასეთი მცველი „შალკეს" ძალიან სჭირდება. აი, ნახავთ, ჰაიკო სულ მალე გერმანიის ნაკრებსაც გაუშინაურდება. თამაშიდან თამაშამდე უმატებს და იმიტომ,"* – ამბობს სლომკა. აქვე გეტყვით, რომ ვეშტერმანს „არმინიასთან" კონტრაქტი 2008 წლამდე აკავშირებს. „შალკეს" გარდა, მას დორტმუნდის „ბორუსია" და „შტუტგარტი" ეპატიჟებიან.

შაბათის მატჩისთვის გელზენკირხენული გუნდის სასტარტო შემადგენლობაში 10 ადგილი დაკავებულია. ვაკანტურია მხოლოდ ერთი პოზიცია და ისიც იმის გამო, რომ უცნობია, რა ტაქტიკას აირჩევს სლომკა – 4-4-2-ს თუ 4-3-3-ს. პირველი სქემისთვის **გუსტავო ვარელაა** მზად, მეორისთვის კი **პეტერ ლოვენკრანდსი**. თუ სლომკა სამ ფორვარდს ათამაშებს, მაშინ **ჰალილ ალთინთოფთან** (მარჯვნივ) და **კევინ კურანისთან** (ცენტრში) ერთად, ლოვენკრანდსი გაირჯება. და თუკი მირკო 4-4-2-ს აირჩევს, ნახევარდაცვის მარჯვენა ფლანგზე ვარელას ვიხილავთ, რომელიც **ფაბიან ერნსტის** (საყრდენად), **ლინკოლნისა** (ფლეიმეიქერად) და **ლევან კობიაშვილის** (მარცხენა ნახევარმცველად) ტრიოს დაემატება.

ჰო, მართლა, ლინკოლნის სიტუაცია ასე თუ ისე გარკვეულია. მას მერე, რაც პირველი წრის ბოლოს, ორი ამაზრზენი თამაშის შემდეგ, სლომკამ ის სასტარტო შემადგენლობიდან ამოაგდო და სკამზე დასვა, ბრაზილიელმა მოუმატა. მწვრთნელის თქმით, ლინკოლნი ვარჯიშებზე ძალიან კარგად გამოიყურებოდა, რაც იმას ნიშნავს, რომ ის ისევ დაუბრუნდება მაღაროელთა სასტარტო თერთმეტეულს. ერთი სიტყვით, 28 წლის ბრაზილიელი 21 ოქტომბრის შემდეგ პირველად ითამაშებს ძირითადში. მაგრამ ლინკოლნს ერთი რამ კატეგორიულად ეკრძალება: ეს არის თერთმეტმეტრიანების შესრულება!

*„თუ ის კიდევ ერთხელ დაარტყამს პენალტს, გუნდიდან გავაგდებთ."* – ნახევრად ხუმრობით ამბობს სლომკა. მიზეზი ის გახლავთ, რომ პირველ წრეში ლინკოლნმა ორჯერ ვერ გაიტანა პენალტი, აქედან, მეორე შემთხვევაში, თერთმეტმეტრიანი მას არც უნდა შეესრულებინა, არამედ კობიაშვილს უნდა დაერტყა, რომელიც „შალკეს" პენალტისტად ითვლებოდა.

დიახ, სამწუხაროდ ითვლებოდა! რადგან პენალტების შესრულება ჩვენებურსაც აეკრძალა! მიზეზი ის გახლავთ, რომ ნოემბერში, „ბოხუმთან" შეხვედრაში კობიმაც ვერ გაიტანა თერთმეტმეტრიანი. ვინ არის დღეს „შალკეს" პირველი პენალტისტი? სლომკა: *„რაფინია ან სიორენ ლარსენი! გააჩნია, თუ ლარსენი მოედანზე იქნება, პენალტს ის დაარტყამს, თუ არა და რაფინია..."* **ლარსენს** თამაში იშვიათად უწევს ხოლმე, ამიტომ, შეგვიძლია ჩავთვალოთ, რომ პენალტისტი **რაფინია** იქნება...

**გოტფრიდ ლენცი**

მოსალოდნელი ტრანსფერები

# კრისტიანო რონალდო 50 მილიონად

## ბრაზილიელი რონალდო კი სულ რაღაც ექვსი მილიონი ღირს...

**კრისტიანო რონალდო** მადრიდის "რეალის" უპირველეს სამიზნედ გამოცხადდა. ამის შესახებ, ჯერ კიდევ გუშინ გესაუბრებოდით. დღეს კი ახალ დეტალებს გაგაცნობთ. ესპანური გრანდის ხელმძღვანელობა სერიოზული ბრძოლისთვის ემზადება. **რამონ კალდერონმა** და **პრედრაგ მიატოვიჩმა** კარგად იციან, რომ მანჩესტერელები მათ ინიციატივას ენთუზიაზმით არ შეხვდებიან. ინგლისური კლუბის ხელმძღვანელობა ყველაფერს გააკეთებს იმისთვის, რომ რონალდო ან არ გაასხვისოს, ან მაქსიმალურად დიდ ფასად გაყიდოს. მიატოვიჩმა გუშინ დაუფარავად განაცხადა, ეს ის შემთხვევაა, როცა აუქციონის დაბალი თანხით დაწყება დიდი სისულელე იქნებაო. სამეფო კლუბის ხელისუფლებამ 50 მილიონი ევროს გადახდის მზადყოფნა გამოთქვა. გენერალური დირექტორატი იმასაც ითვალისწინებს, რომ წარმატების გარანტიად ვერც ეს კოლოსალური ფული გამოდგება. სერბი საფეხბურთო ფუნქციონერი იმ გზებს ეძებს, რომელთა წყალობითაც ტრანსფერის გაჩარხვა გაუადვილდება.

"მანჩესტერის" ოფიციალურ პირებს საკუთარი პოზიცია ჯერჯერობით არ დაუფიქსირებიათ, თუმცა კლუბთან დაახლოებული წრეებიდან გამოჟონილი ინფორმაციით, დირექტორატი რონალდოს გაყიდვას 'კატეგორიულად ეწინააღმდეგება. **სერ ალექს ფერგიუსონმა** ხელმძღვანელობას სერიოზულად დაუყენა საკითხი, პორტუგალიელი არც ერთ შემთხვევაში არ გაეშვათო. როგორც გაირკვა, **დევიდ დინს** შოტლანდიელის დირექტივა არც სჭირდებოდა. "იუნაიტედის" აღმასრულებელმა დირექტორმა კოლეგებთან შეხვედრისას უთქვამს, კრისტიანო სპორტული და კომერციული თვალსაზრისით უაღრესად სასარგებლო ფიგურაა, ამიტომ "რეალის" აგრესიას კარგად მომზადებულები უნდა შევხვდეთო. ბატონი დინის განწყობა კიდევ ერთხელ გვარწმუნებს, რომ "მანჩესტერთან" დუელის მოგება იოლი არ იქნება...

მაგრამ მიატოვიჩს სირთულეები არ აშინებს. პედია გულშემატკივრებს პირობას აძლევს, რომ "მანჩესტერის" თავდაცვით სტრატეგიას გასაღებს მოუნახავს და ბრიტანელ კოლეგებს რონალდოს გაყიდვაზე დაითანხმებს: *"ვიცით, რომ ურთულესი მოლაპარაკებების გამართვა მოგვიწევს. არ გამოვრიცხავ, თავდაპირველად "იუნაიტედის" მესვეურებმა ჩვენთან ერთად მაგიდასთან დასხდომაც არ ისურვონ, მაგრამ სამეფო კლუბი უკან არც ერთ შემთხვევაში არ დაიხევს. თუ საჭირო გახდება, იქამდე ვიბრძოლებთ, მანამ ყველა შესაძლებლობა არ ამოიწურება. ჩვენ 50 მილიონი ევროს გადახდას ვაპირებთ. ისინი ვალდებულები არიან მოგვისმინონ და საკუთარი არგუმენტები წარმოგვიდგინონ. ამ საქმეში გადამწყვეტი როლი თავად ფეხბურთელის პოზიციას ენიჭება. რონალდოსთან ჯერ არ მისაუბრია, მაგრამ მისი მენეჯერისგან შევიტყვე, რომ "რეალის" დაინტერესებით ძალიან ამაყია. მოკლედ, წინ დიდი და რთული გზა გველის. მთავარია, შრომისუნარიანობა და იმედი არ დავკარგოთ. ჩვენი სტრატეგიის დეტალებს საჯაროდ არ გავახმაურებ. ეჭვი არ მეპარება, ხანგრძლივი მოლაპარაკებების შემდეგ კრისტიანო რონალდო თეთრ მაისურას მოირგებს."*

მოვლენები მართლაც ამგვარი სცენარით თუ განვითარდება, კრისტიანო რონალდო "რეალის" რიგით მესამე ყველაზე ძვირადღირებული ფეხბურთელი გახდება. შეგახსენებთ, **ფლორენტინო პერესმა ზინედინ ზიდანისა** და **ლუიშ ფიგუს** სანაცვლოდ 65 და 56 მილიონი დოლარი გადაიხადა.

თავისი დროზე ბრაზილიელი **რონალდოც** ათეულობით მილიონი ევრო ღირდა, მაგრამ წლებმა ის ძალიან გააიაფა... ესპანურმა სააგენტოებმა "მილანში" მის გადაბარგებასთან დაკავშირებით ახალი ინფორმაციები გაავრცელეს. **ადრიანო გალიანის** მადრიდში ჩასვლა არ გადაუფიქრია. პირიქით, "როსონერის" ხელმძღვანელი ესპანეთის დედაქალაქს საქმის დასაგვირგვინებლად ეწვევა. იტალიურ და ესპანურ გაზეთებს თუ დავუჯერებთ, მხარეებმა შეთანხმებას მიაღწიეს. "მილანი" სამხრეთამერიკელის სანაცვლოდ ექვს მილიონ ევროს გადაიხდის. აღნიშნულ ინფორმაციას **ერნესტო ბრონძეტიც** ადასტურებს. ეს ადამიანი პირენეულ ბაზარზე "როსონერის" წარმომადგენელია და რონალდოს საკითხზე აქტიურად მუშაობდა. მოკლედ, ბრონძეტი მიატოვიჩს ტელეფონით ესაუბრა და ხსენებულ თანხაზე შეუთანხმდა. გალიანის ისღა დარჩენია მადრიდში ჩეკი ჩაიტანოს და საჭირო დოკუმენტებს ხელი მოაწეროს. ამასობაში კი რონალდო უკვე მილანში ჩავიდა და დღეს სამედიცინო შემოწმებას გაივლის, თუ შემოწმებამ დადებითი პასუხი აჩვენა, იგი ნაცნობ "სან სიროზე" გულშემატკივრებსაც შეხვდება. ამჯერად ის ბურთს არა "ინტერის", არამედ "მილანის" ტიფოზებისთვის აკეწნლის.

**ილია ნიკოლაიშვილი**



კრისტიანო რონალდო შეიძლება მსოფლიოს ერთ-ერთი უძვირფასესი ფეხბურთელი გახდეს

### ახალი კონტრაქტი, მეტი ფული

2007 წლის ზაფხულში ამოქმედდება ახალი სატელევიზიო კონტრაქტი, რომელიც პრემიერლიგამ რამდენიმე სამაუწყებლო კომპანიასთან გასულ წელს გააფორმა. კონტრაქტი შემოსავლების არნახულ ზრდას გამოიწვევს. შემოსავლების ზრდა კი ავტომატურად აისახება წამყვანი ფეხბურთელების ხელფასებზე. ასე მაგალითად, "მირორი" ვარაუდობს, რომ **უეინ რუნი** მომდევნო 10 სეზონის განმავლობაში მინიმუმ 103 მილიონ გირვანქას გააკეთებს. **მაიკლ ოუენი** - 96 მილიონს, **ფრენკ ლემპარდი-74**, ხოლო **რიო ფერდინანდი-71** მილიონს. ფეხბურთელთა ამ თაობას ყველა პირობა აქვს იმისათვის, რომ ბრიტანეთის უმდიდრესი ადამიანების სიაში ჩაეწერონ. "მირორისავე" გამოანგარიშებით, კარიერის დასრულებისას რუნის პირადი ქონება 70 მილიონ გირვანქაზე მეტი იქნება. მას უკვე დღეს უხდიან ასტრონომიულად მაღალ ხელფასს - 5.9 მილიონ გირვანქას, მაგრამ ფორვარდის შემოსავლის უმთავრესი წყაროა სარეკლამო კონტრაქტები ექვს კომპანიასთან, რომელსაც მისთვის წლიურად 17 მილიონ გირვანქაზე მეტი მოაქვს.

### კლაუდიო რეინა ნიუ იორკში დაბრუნდა

"მანჩესტერ სიტიმ" კონტრაქტი გაუწყვიტა ამერიკელ ნახევარმცველ **კლაუდიო რეინას**. 33 წლის ფეხბურთელი სამშობლოში დაბრუნდა და ნიუ იორკის "რედ ბულსში" ჩაირიცხა. რეინა "სიტიში" 2003 წლიდან თამაშობდა. სამწლინახევრის წინ "სანდერლენდს" მის სანაცვლოდ 2.5 მილიონი გირვანქა გადაუხადეს. კლაუდიომ ლონდონელთა მაისურით 77 მატჩი ჩაატარა და 4 გოლი შეაგდო. მისი ევროპული კარიერა "ლევერკუზენსა" და "ვოლფსბურგში" გატარებულ წლებსაც მოიცავს. რეინას ნაკრებში სარეკორდო 112 მატჩი აქვს ჩატარებული.

ახალ კლუბში ის ამერიკის ნაკრების ყოფილ თავკაც **ბრუს არენასთან** ერთად იმუშავებს. არენა "რედ ბულსის" მთავარი მწვრთნელია. ის რეინას ვირჯინიის უნივერსიტეტის სამოყვარულო გუნდიდან იცნობს (1991-93), სადაც ასევე დამრიგებლის პოსტი ეკავა და ზედიზედ სამჯერ მოიგო ქვეყნის საუნივერსიტეტო ჩემპიონატი.

ეროვნული ბიბლიოთეკა




ბუნდესლიგა ბრუნდება

# დღეს გერმანია განახლდება

## მეორეწრისწინა მოთელვა: კითხვები, პასუხები, ფაქტები...

ევროპის წამყვანი საფეხბურთო ქვეყნებიდან, ზამთრის ძილი ყველაზე გვიან, რა თქმა უნდა, გერმანიამ უნდა დაასრულოს. სერია A-ს, პრიმერადივიზიონისა და პრემიერლიგის შემდეგ, დღეს ბუნდესლიგაც განახლდება.

განახლდება უაღრესად საინტერესო მატჩით: დორტმუნდის „ბორუსია" „ბაიერნს" უმასპინძლებს. გეხსომებათ, პირველ წრეში, პირველ ტურში, რეკორდმაისტერმა BVB 2:0 დაამარცხა, თანაც ისე, რომ ბავარიელებმა იმხანად **ბერტ ვან მარვიიკის** გუნდს ფეხიც არ გაანძრევინეს. დღეს სხვა ვითარებაა: ჯერ ერთი, „ბორუსია" შინ თამაშობს და ესეც არ იყოს, დორტმუნდელებს ახალი მწვრთნელი ჰყავთ – **იურგენ რიობერი**, რომელიც გულშემატკივრებს დაპირდა, საკუთარ კედლებში ყველას შიშის ზარს დავცემთო. დღეს რიობერს პირველად ეძლევა იმის შანსი, რომ ფანებს დანაპირები შეუსრულოს – ეს მისი ოფიციალური დებიუტია შავ-ყვითლების მთავარი მწვრთნელის რანგში. თან რა დებიუტი?! პირდაპირ „ბაიერნთან", რომელიც გაავებულია იმის გამო, რომ პირველი წრე მესამე ადგილზე დაასრულა.

ერთი სიტყვით, თამაში ძალიან საინტერესო უნდა გამოდგეს. აღსანიშნავია, რომ ბოლო 10 საშინაო მატჩიდან, „დორტმუნდმა" „ბაიერნს" მხოლოდ და მხოლოდ 2-ჯერ მოუგო (2002/03 წლების სეზონში 1:0 და 2003/04 წლების სეზონში 2:0). სულ კი, ამ ორ გუნდს შორის „ვესტფალენშტადიონზე" ჩატარებულ მატჩებში თანაფარდობაა: 11 თამაში BVB-მ მოიგო, 15 შეხვედრა ფრედ დასრულდა, 11-ჯერ მიუნხენელებმა იმარჯვეს. დორტმუნდელები ბავარიელებს მხოლოდ საერთო ბურთების შეფარდებით სჯობნიან: 57-51.

სერიოზული საკადრო პრობლემები არცერთ გუნდს არა აქვს, თუ არ ჩავთვლით იმას, რომ მიუნხენელი **ვალერიან ისმაელი** დიდი ხნის ტრავმირებულია, **სებასტიან დაისლერმა** კი, კარიერა დაასრულა. სხვათა შორის, ბასტი-ფანტასტის წასვლით **ჰასან სალიჰამიჯიჩი** იხეირებს – მას სასტარტო შემადგენლობაში თამაში უკვე გარანტირებული აქვს. „ბორუსიასაც" თითქმის არაფერი უჭირს: ლაზარეთში მხოლოდ **სებასტიან კელი** და **მარტინ ამედიკი** არიან.

ეს, რაც შეეხებოდა დღევანდელ თამაშს. დანარჩენი შეხვედრები ტრადიციულად, ხვალ და ზეგ გაიმართება და მთლიან ტურისწინა მიმოხილვას ხვალინდელ ნომერში შემოგთავაზებთ. ახლა კი, მოდით, მეორე წრისთვის მოვითელოთ. მაშ ასე, საინტერესო კითხვები საინტერესო პასუხებითა და საინტერესო ფაქტები...

**1. რომელი გუნდი ემზადებოდა მეორე წრისთვის ყველაზე დიდხანს?**

„ჰამბურგი". **თომას დოლმა** თავისი ფეხბურთელები 27 დეკემბერს შეკრიბა და HSV მას მერე ვარჯიშობს. საინტერესოა, როგორ გავლენას იქონიებს ეს გუნდზე, რომელსაც მეორე ბუნდესლიგაში დაქვეითება ემუქრება. შედარებისთვის, „ბაიერნმა" მეორე წრისთვის მზადება 5 იანვარს დაიწყო. რამდენიმე დღის წინათ ეს გუნდები ერთმანეთს შეხვდნენ (ამხანაგურად) და „ბაიერნმა" „ჰამბურგი" მისსავე მოედანზე 2:0 დაამარცხა.

**2. რომელი ფეხბურთელებისთვისაა ეს სეზონი უკანასკნელი, ანუ, ვინ ამთავრებს კარიერას?**

ბაიერნელები **მეჰმეთ შოლი** და **ბერნდ დრეერი**, შტუტგარტელები **მარკუს ბაბელი** და **ჰაიკო გერბერი**, ასევე ბოხუმელი **დარიუშ ვოში**.

**3. რომელი გუნდია ყველაზე ასაკოვანი?**

ყველაზე "მოხუცი" გუნდი „ბოხუმს" ჰყავს. რურის გუნდის მოთამაშეთა საშუალო ასაკი 28.4-ია. ყველაზე ახალგაზრდა გუნდი კი დორტმუნდის „ბორუსიას" ჰყავს – 24.7.

**4. დღევანდელი ფეხბურთელებიდან რომელია ყველაზე დიდხანს თავის კლუბში?**

„ჰერტას" მეკარე **კრისტიან ფიდლერი** ბერლინურ კლუბში 1990 წლიდან თამაშობს. ზუსტად იგივე მაჩვენებელი აქვს დორტმუნდელ **ლარს რიკენსაც**. სწორედ ეს ფეხბურთელები არიან „ყველაზე ერთგულნი".

**5. მინდვრის რომელი ფეხბურთელი უცდის თავის პირველ ბუნდესლიგურ გოლს ყველაზე დიდხანს?**

ეს არის ალბანელი **ალტინ ლალა**. მას ბუნდესლიგაში უკვე 111 თამაში აქვს ჩატარებული და ჯერ ერთი გოლიც არ გაუტანია. მასზე გრძელი მშრალი სერია არავის აქვს.

**6. რომელ ფეხბურთელს აქვს იმის შანსი, რომ სეზონის ბოლოს ე.წ. 400-იანთა კლუბში შევიდეს?**

400 მატჩთან ყველაზე ახლოს ბავარიელი მეჰმეთ შოლია, რომელიც, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, სეზონის ბოლოს კარიერას ასრულებს. მას ბუნდესლიგაში 384 მატჩი აქვს ჩატარებული და როგორც ხედავთ, 16 შეხვედრა აკლია. მაგრამ ძალიან ცოტაა იმის შანსი, რომ შოლმა ეს მოახერხოს, რადგან ის „ბაიერნის" სასტარტო შემადგენლობის წევრად აღარ ითვლება. **ფელიქს მაგათმა** 36 წლის ნახევარმცველი პირველ წრეში მხოლოდ 6-ჯერ ათამაშა და 6-ივე შემთხვევაში შეცვლაზე შეიყვანა. სხვათა შორის, მიონხენგლადბახის „ბორუსიის" თავკაცი **იუპ ჰაინკესი** შაბათს მე-500-ედ დაჯდება სკამზე.

**7. სულ რამდენი ფეხბურთელია ბუნდესლიგაში?**

480 ფეხბურთელი 60 ქვეყნიდან. აქედან 236 მოთამაშე გერმანელია. ყველაზე მეტი ლეგიონერი ბრაზილიიდანაა: 22. მერე მოდიან დანიელები (18), ჰოლანდიელები (14) და ჩეხები (14).

**8. ყოფილა თუ არა ისეთი შემთხვევა, რომ გუნდი, რომელმაც პირველი წრე მე-4 ადგილზე დაასრულა, საბოლოოდ ჩემპიონი გახდა?**

არა, ასეთი რამ არასდროს მომხდარა და ამ ლოგიკით „შტუტგარტს" შანსი არა აქვს. სამაგიეროდ, ოთხჯერ იყო შემთხვევა, როცა პირველ წრეში მესამე ადგილზე გასული გუნდი, საბოლოოდ გერმანიის ჩემპიონი გახდა: 1985/86 წლებში ეს „ბაიერნმა" მოახერხა, 1990/91-ში „კაიზერსლაუტერნმა", 1992/93-ში „ვერდერმა" და 2000/01-ში ისევ „ბაიერნმა". ამრიგად, „ბაიერნს" ასეთი რამ უკვე ორჯერ აქვს გაკეთებული. შეგახსენებთ, რომ რეკორდმაისტერი მეორე წრეს ახლაც მესამეადგილოსნის რანგში იწყებს.

**9. ვინ არის ზამთრის სატრანსფერო პერიოდის ყველაზე ძვირადღირებული ფეხბურთელი გერმანიაში?**

ჯერჯერობით, ეს არის **მოჰამედ ზიდანი**, რომელიც „ვერდერიდან" „მაინცში" 2.8 მილიონ ევროდ გაიყიდა. სხვათა შორის, ჯერჯერობით რვა გუნდს არცერთი მოთამაშე არ შეუძენია. ესენია: „ბაიერნი", „შალკე", „ლევერკუზენი", „ჰერტა", „დორტმუნდი", „ჰანოვერი", „არმინია", „ალემანია".

**10. საუკეთესო ოთხეულიდან რომელი გუნდია ყველაზე მეტად დატვირთული?**

„ვერდერსა" და „ბაიერნს" ევროთასებზე მინიმუმ ორი თამაშის ჩატარება მოუწევთ. გერმანიის თასიდან ორივე მათგანი გავარდნილია. „შტუტგარტი" ევროთასებზე არაა, სამაგიეროდ, გერმანიის თასზე მოუწევს მინიმუმ ერთი შეხვედრის ჩატარება. ერთადერთი გუნდი, რომელსაც შეუძლია, მხოლოდ ბუნდესლიგაზე იყოს კონცენტრირებული, „შალკეა".

**11. რომელ გუნდს აკლია ყველაზე მეტი ფეხბურთელი?**

„ჰამბურგსა" და „ნიურნბერგს" 6-6 ფეხბურთელი აკლიათ - HSV-ს **ატუბა, გერერო, კომპანი, ფილინგერი, ტროხოვსკი** (ყველა დაშავებულია) და **ვან დერ ვაარტი** (დისკვალიფიცირებულია); „ნიურნბერგს" კი **ბეშამი, გლაუბერი, კენედი, ენგელჰარდტი, მინტალი** და **ჰეფერნანი**.

**12. ლიდერსა და მეოთხეადგილოსანს შორის ასეთი მცირე სხვაობა ოდესმე თუ იყო და როდის?**

ამაზე მცირეც იყო. 2000/2001 წლების სეზონში ლიდერი „შალკე" მეოთხე ადგილზე მყოფ „დორტმუნდს", პირველი წრის შემდეგ, სულ რაღაც სამი ქულით უსწრებდა. ჩემპიონი კი „ბაიერნი" გახდა...

**13. გასავარდნ ზონაში მყოფ რომელ გუნდს აქვს ყველაზე ხელსაყრელი კალენდარი?**

ეს არის"ჰამბურგი". დოლის შეგირდები საკუთარ მოედანზე ხვდებიან 6 გუნდს ცხრილის ქვედა ნახევრიდან, ანუ, უშუალო კონკურენტების უმრავლესობას მასპინძლობენ. შედარებისთვის, „მაინცი", „ალემანია" და „ბოხუმი" ცხრილის ქვედა ნაწილიდან, მხოლოდ 3 გუნდს უმასპინძლებენ, დარანჩენებს კი ესტუმრებიან.

**გოტფრიდ ლენცი**

ბაიერნი

# დორტმუნდში სამი ქულისთვის

## მაგათის თქმით, რეკორდმაისტერი მეორე წრეს სრულ მზადყოფნაში ხვდება...




„ბაიერნი" მეორე წრისთვის ძალიან კარგად მოემზადა. ყოველ შემთხვევაში, ამას ამბობენ რეკორდმაისტერის ბოსები და მთავარი მწვრთნელი. **ფელიქს მაგათი** ოპტიმისტურადაა განწყობილი და გულშემატკივრებს მეორე წრეში ძალიან ბევრს ჰპირდება, პირველ რიგში კი, დიდ ეიფორიასა და ლამაზ ფეხბურთს, ასევე, წარმატებებსაც, რა თქმა უნდა. *„აი ნახავთ, „ბაიერნი" მეორე წრეში გაცილებით უკეთ ითამაშებს,"* – აცხადებს „დესპოტი ფელიქსი".

ვნახოთ. პირველი გამოცდა გერმანიის რეკორდსმენს დღეს, დორტმუნდში ელის. თუ ტესტმატჩებით ვიმსჯელებთ, განსაკუთრებით კი ბოლო ამხანაგური მატჩით, რომელშიც ბავარიელებმა „ჰამბურგს" 2:0 მოუგეს, მაგათს სანერვიულო მართლაც არაფერი აქვს, რადგან მისი გუნდი ძალიან კარგად გამოიყურებოდა. ფეხბურთელები, როგორც ყოველთვის, თავდაჯერებულები არიან და სჯერათ, რომ დორტმუნდიდან სამ ქულას წაიღებენ. *„ჩვენ იქ მოსაგებად მივდივართ. გვინდა, რომ „ვესტფალენშტადიონზე" ძალიან კარგად ვითამაშოთ და სანახაობრივი ფეხბურთი ვაჩვენოთ. ეს აუცილებელია იმისთვის, რომ ჩვენმა კონკურენტებმა ამთავითვე იგრძნონ, თუ როგორ მოძლიერდა „ბაიერნი",* – აცხადებს **ანდრეას ოტლი**.

მაგათი არ მალავს, რომ ამ არდადეგებზე საბოლოოდ დაადგინა გუნდის სასტარტო შემადგენლობა, რომელიც ასე გამოიყურება: კარში **ოლივერ კანი**, რა თქმა უნდა, შეუცვლელია. „ბაიერნის" კაპიტანმა პირველი წრე საკმაოდ კარგად, უფრო სწორად, სტაბილურად და უშეცდომოდ ჩაატარა. დაცვის ცენტრში ადგილი მხოლოდ **დანიელ ვან ბუიტენს** აქვს გარანტირებული. მისი მეწყვილეობისთვის კი **ლუსიო** და **მარტინ დემიკელისი** იბრძვიან. ამ ეტაპზე ბრაზილიელმა იმარჯვა და „დორტმუნდთან" ვან ბუიტენს მხარში სწორედ ის ამოუდგება. როცა **ვალერიან ისმაელი** გამოჯანმრთელდება, დაცვაში კონკურენცია, ცხადია, კიდევ უფრო გაიზრდება. ფლანგებზე მაგათი ისევ **ფილიპ ლამსა და ვილი სანიოლს** ენდობა – მიუხედავად იმისა, რომ პირველ წრეში არც ერთმა იბრწყინა და არც მეორემ. უფრო იმიტომ, რომ რეკორდმაისტერის მწვრთნელს სხვა გზა არც აქვს. *„ორივე დასვენებულია, ასე რომ, სანიოლისა და ლამისგან მეორე წრეში მხოლოდ საუკეთესო თამაშს ველი,"* – ამბობს მაგათი.



შეიძლება ითქვას, რომ მწვრთნელისთვის ყველაზე პრობლემატური ნახევარდაცვაა. არა მხოლოდ იმიტომ, რომ **სებასტიან დაისლერმა** კარიერა დაასრულა. მოგეხსენებათ, მიუნხენელებმა **ხულიო დოს სანტოსი** „ვოლფსბურგში" გაანათხოვრეს, თუმცა ამის გამო არც ნაღვლობენ, რადგან ამ ფეხბურთელს მაინც არაფერში იყენებდნენ. **ოუენ ჰარგრივსი** გამოჯანმრთელდა, მაგრამ ისევ პრობლემები აქვს. ინგლისელი სრული დატვირთვით კი ვარჯიშობს, მაგრამ გუნდის ექიმები ორთაბრძოლებში შესვლას ჯერ მაინც არ ურჩევენ. ტენდენცია იქითკენ მიდის, რომ ისევე, როგორც დღეს, ასევე კიდევ რამდენიმე შეხვედრაშიც, საყრდენი ნახევარმცველის პოზიციას ისევ ოტლი ჩაიბარებს, მოთამაშე, რომელიც „კიკერმა" „ბაიერნიდან" პირველი წრის გამარჯვებულ ფეხბურთელად დაასახელა. მის გვერდით ადგილი გარანტირებული აქვს **მარკ ვან ბომელს** და ასევე **ბასტიან შვაინშტაიგერსაც**. თუ ჩვენს გერმანელ კოლეგებს დავუჯერებთ, შვაინიმ მოსამზადებელ პერიოდში ძალიან მონდომა და საუკეთესო ფორმაშია. იგივეს ვერ ვიტყვით **ჰასან სალიჰამიჯიჩზე**, თუმცა მაგათს „ბრაცოს" იქით გზა არა აქვს. მარჯვენა ფლანგი სწორედ ბოსნიელმა უნდა ჩაიბაროს.

თავდასხმაში ყველაფერი ნათელია: **როი მაკაი** და **კლაუდიო პისარო**. ჰოლანდიელმა და პერუელმა მოსამზადებელ პერიოდში ყველაზე მეტჯერ იხეირეს და აშკარად სჯობნიან როგორც **როკე სანტა კრუსს**, ასევე **ლუკას პოდოლსკისაც**. გადაწყვეტილია, რომ ბავარიელები სატრანსფერო ბაზარზე არ გააქტიურდებიან და არავის შეიძენენ. „ბაიერნში" ახალწვეულებს ზაფხულში უნდა ველოდოთ.

*„დორტმუნდიდან აუცილებლად სამი ქულა უნდა წამოვიღოთ. ფრე ცუდი შედეგი იქნება, წაგება კი, ნამდვილი კატასტროფა. რომ წავაგოთ, ეს იმის მაუწყებელი იქნება, რომ „ბაიერნი" ჩემპიონი ველარ გახდება. ჩვენ წინ 17 ფინალი გველის,"* – ეს კაპიტან ოლის განცხადებაა, რომელიც ალბათ სამართლიანად შემოვინახეთ ბოლოსთვის...

**გოტფრიდ ლენცი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

უეფა. საპრეზიდენტო არჩევნები

# იუჰანსონს უკვე 36 ხმა აქვს?

## პრეზიდენტის მხარდამჭერებს გამარჯვებაში ეჭვი არ ეპარებათ, პლატინის ბანაკი დაძაბულ არჩევნებს წინასწარმეტყველებს...

დღეს უეფას პრეზიდენტის არჩევნებია. **ლენარტ იუჰანსონის** საარჩევნო შტაბი ირწმუნება, რომ მათ კანდიდატს გარანტირებული აქვს საკმარისი ხმები, რათა სავარძელი შეინარჩუნოს. იუჰანსონის მეტოქის, **მიშელ პლატინის** ადვოკატმა **მიშელ მარანდომ** ამ ინფორმაციას სასაცილო უწოდა.

უეფა 52 წევრს ითვლის. არჩევნების მოსაგებად ამ ხმების უმრავლესობაა საჭირო. იუჰანსონის წარმომადგენლები მინიმუმ 36 ხმას ელოდებიან. ნორვეგიის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი და ამავე დროს, უეფას ვიცე-პრეზიდენტი **პერ რავნ ომდალი**, რომელიც მოხუცი ლენარტის ძველისძველი მოკავშირეა, ამბობს: *"36-მა ასოციაციამ გარანტია მოგვცა, თანაც ერთხელ კი არა, ორჯერ და სამჯერ. მხარდაჭერის ასეთი ხარისხი იმაზე მეტყველებს, რომ იუჰანსონი წარმატებული ლიდერია."*



პლატინი და იოჰანსონი

უეფა ფიფაში საკუთარ წარმომადგენელსაც ირჩევს. ამ თანამდებობის დაკავება **ფრანც ბეკენბაუერს** სურს. კაიზერი საპრეზიდენტო მარათონსაც გამოეხმაურა და პლატინი გააკრიტიკა - უკეთესი იქნებოდა, მიშელს მომდევნო არჩევნებამდე მოეცადაო.

პლატინის ადვოკატი მანარდო დაძაბულ პაექრობას ელის: *"უკლებლივ ყველა დამკვირვებელმა იცის, რომ კანდიდატებს შორის გამოკვეთილი უპირატესობა არცერთს აქვს. ხოლო ის, ვინც ამბობს, რომ იუჰანსონს 36 ხმა გარანტირებული აქვს, ცრუობს. ეს საარჩევნო კამპანიის დესტაბილიზაციის მცდელობაა. ასეთივე წარმატებით ჩვენც შეგვიძლია დავიჩემოთ, რომ 37 ხმას ვაკონტროლებთ, რადგან ჩვენც ზუსტად ისევე ვართ დარწმუნებულნი საკუთარ წარმატებაში, როგორც მეორე მხარე და ჩვენს ოპტიმიზმსაც საკმაოდ მყარი საფუძველი აქვს."*

ფიფას პრეზიდენტმა **ზეპ ბლატერმა** პლატინის დაუჭირა მხარი. მოსიე მიშელი 2002 წლიდან ფიფას ალმასკომში მოღვაწეობს და პარალელურად, ბლატერის სპეციალური მრჩევლის მოვალეობას ითავსებს. ფიფას ბოსმა არჩევნებში მონაწილე კანდიდატებს სიმშვიდისკენ მოუწოდა. იუჰანსონმა კი ცდუნებას ვერ გაუძლო და ოპონენტს მაინც გაჰკრა კბილი: *"უეფას ყველაზე მეტად სტაბილურობა სჭირდება. მე კი სწორედ სტაბილურობის შემოთავაზება შემიძლია. მიშელ პლატინის საწინააღმდეგო არაფერი მაქვს, მაგრამ მას ამ პოსტზე სამუშაოდ გამოცდილება აკლია."* შედარებისთვის, პლატინი 51 წლისაა, იუჰანსონი კი 77 წლის, თანაც ის უეფას პრეზიდენტად 1990 წლიდან მუშაობს.

### ვან პერსი მხოლოდ ექვსი კვირით

**რობინ ვან პერსისთვის** სეზონი არ დასრულებულა. ის მხოლოდ 6 კვირას გამოტოვებს, თუმცა ამ ხნის განმავლობაში რამდენიმე მნიშვნელოვანი მატჩიც გაუცდება. ჰოლანდიელმა თავდამსხმელმა "მანჩესტერთან" საკვირაო მატჩში ტერფის ტრავმა მიიღო. მას უსიამოვნება გოლის გატანისას შეემთხვა. **არსენ ვენგერმა** აღიარა, რომ "იუნაიტედთან" ვან პერსის გაყვანას საერთოდ არ აპირებდა, მაგრამ მოედანზე განვითარებულმა მოვლენებმა სხვა არჩევანი არ დაუტოვა. ვან პერსიმ შეცვლაზე ითამაშა. ის იმ დროს შეუშვეს, როცა "არსენალი" 0:1-ს აგებდა და 83-ე წუთზე ანგარიში გაათანაბრა.

### ბალბერდე: ესპანიოლში 2009 წლამდე

**ერნესტო ბალბერდე** "ესპანიოლთან" ახალ კონტრაქტს გააფორმებს. მოლაპარაკებები გუშინ დასრულდა. ბასკი სპეციალისტი ბარსელონულ კლუბში 2009 წლის ივნისამდე დარჩება. 19 ტურის შემდეგ "ესპანიოლს" 26 ქულა აქვს და პრიმერა დივიზიონში მე-10 ადგილზე იმყოფება. მწვრთნელის საკითხის მოგვარების შემდეგ ხელმძღვანელობა წამყვან ფეხბურთელებთან მოლაპარაკებას დაიწყებს. **ივან დე ლა პენიასა** და **დავიდ გარსიას** ახალ კონტრაქტებს შესთავაზებენ.

### რასინგმა ნიუკასლში ლუკე მოიკითხა

"დიარიო ასის" ცნობით, "რასინგის" ხელმძღვანელობა **ალბერტ ლუკეს** გადაბირებისთვის ბრძოლის დაწყებას აპირებს. მას შემდეგ, რაც სანტანდერელებმა **ფერნანდო კავენაგის** ხელში ჩაგდება ვერ შეძლეს, მთელი ძალისხმევა სწორედ ლუკესკენ მიმართეს. "ნიუკასლის" ხელმძღვანელობა წინააღმდეგი არ არის ესპანელი ფორვარდი სამშობლოში გაუშვას, თუმცა საამისოდ "რასინგს" შვიდი მილიონი ფუნტის გადახდა მოუწევს.

ვარსკვლავი

# ძამბროტას ტურინული ნოსტალგია

## ბარსას იტალიელი მცველი იუვეში დაბრუნებას არ გამორიცხავს

**ჯანლუკა ძამბროტა** ერთ-ერთი პირველი იყო, ვინც იტალიურ ფეხბურთში მომხდარი სკანდალის შემდეგ "იუვენტუსიდან" წავიდა, მაგრამ "ბარსას" მცველი ახლა ამბობს, რომ ტურინულ გუნდში დაბრუნდებოდა. *"იუვე" ყოველთვის ჩემს გულში დარჩება* – უთხრა ძამბროტამ ტურინულ "ტუტოსპორტს" - *წარმოიდგინეთ, სახლში სატელიტური ანტენა დავამონტაჟებინე იმისთვის, რომ "იუვეს" თამაშებისთვის ბარსელონიდან მეყურებინა. ბოლო შეხვედრაც ვნახე "ბარისთან", რომელშიც "ბიანკონერიმ" 4:2 მოიგო. უცნაური იყო, როცა ჩემს ძველ თანაგუნდელებს სერია B-ში ვუყურებდი. კარგი იქნებოდა, ზაფხულის მოვლენები სხვა შედეგით რომ დასრულებულიყო, მაგრამ ჩემსა და მათ არჩევანს, ვინც "იუვე" დატოვა, პატივისცემა სჭირდება. მხოლოდ ჩვენ ვიცით ის, რაც მაშინ რეალურად ხდებოდა. ასეა თუ ისე, მე ყოველთვის ვიყავი და ვიქნები "იუვენტუსის" ტიფოზი".*

ბოლო შეხვედრაში **ფრანკ რიიკაარდმა** იტალიელი განაცხადს მიღმა დატოვა: *"ეს გადაწყვეტილება მწვრთნელთან და სამედიცინო შტაბთან ერთად მივიღე. კუნთის ტრავმა ბოლომდე არ მომირჩენია, ამიტომ მოედანზე გასვლა სარისკო იქნებოდა".* ესპანური პრესა ხშირად წერს ძამბროტას იტალიაში დაბრუნების შესაძლებლობაზე. *"ჯერჯერობით, მე არავინ დამკავშირებია* – ამბობს იტალიელი – *ფეხბურთში ყველაფერი დროებითია, გავიხსენოთ, რა შედეგები მოჰყვა ზაფხულის სკანდალს. ჩემი ესპანური პერიოდი ბოლომდე პოზიტიური არ ყოფილა. ძალიან შემიშალა ხელი ასევე თვენახევრიანმა ტრავმამ, მაგრამ სიტუაცია გამოსწორდა. ვაპირებ, რომ ივნისამდე აქ დავრჩე და იმედია, შემდეგაც. არ მინდა, რომ რომელიმე კლუბში ცუდი მოგონება დავტოვო, ჩემს ხასიათში არ არის, რომ დაწყებული საქმე შუა გზაზე მივატოვო. მინდა, შეძლებისდაგვარად მეტი მოვიგო "ბარსას" პრესტიჟული მაისურით, მერე კი... ვნახოთ, იქნებ... არასოდეს თქვა არასოდეს".*



ზინედინ ზიდანი

მოსალოდნელი ტრანსფერი

# ზიდანს ჩიკაგოში უხმეს

"ჩიკაგო ფაიერი" **ზინედინ ზიდანს** ფეხბურთში დაბრუნებას სთავაზობს. "ფაიერის" გენერალურმა მენეჯერმა, **ჯონ გუპიმ** "ჩიკაგო ტრიბიუნს" აუწყა, რომ MLS-ის რამდენიმე კლუბი უკვე შეეხმიანა ფრანგ ფლეიმეიქერს და სარფიანი კონტრაქტი შესთავაზა. ამ კლუბებს შორის არიან ჩიკაგოელებიც და მოუთმენლად ელიან პასუხს.

გუპიმ ამერიკის ნაკრების თავდამსხმელს, **ბრაიან მაკბრაიდსაც** შესთავაზა თანამშრომლობა. მაკბრაიდი "ფულჰემში" თამაშობს და სეზონის ბოლოს თავისუფალი აგენტი ხდება. ის ამერიკაში მხოლოდ იმ შემთხვევაში დაბრუნდება, თუ ევროპული კლუბებიდან არავინ მიიწვევს.

"ფაიერის" ხელმძღვანელობამ **ჰენრიკ ლარსონის** გადაბირებაც სცადა, მაგრამ შვედმა ვეტერანმა "მანჩესტერ იუნაიტედში" ექვსკვირიანი იჯარით წასვლა არჩია. ჩიკაგოელებს პოლონელი ან მექსიკელი ვარსკვლავის ტრანსფერიც სურთ, რადგან მათი ფანების უმრავლესობას ამ ორი თემის წარმომადგენლები შეადგენენ.

იუვენტუსი. სატრანსფერო გეგმები

# ბებერი ქალბატონი ინვესტიციას ელოდება

## საზაფხულო ტრანსფერებისთვის მეპატრონეები იუვეს 25 მილიონით დაეხმარებიან

"იუვენტუსი" კომპანია "იფილს", კლუბის აქციათა საკონტროლო პაკეტის მფლობელს, ინვესტიციებს სთხოვს. ოფიციალურ მოთხოვნას ხელმძღვანელობა 13 თებერვალს წარადგენს, მას შემდეგ "იუვეს" სამეთვალყურეო საბჭო საკითხს რიგგარეშე სხდომაზე განიხილავს. თუ რა ოდენობის იქნება ინვესტიცია, ამაზე კლუბის ხელმძღვანელობა საჯაროდ არ საუბრობს, მაგრამ იტალიური პრესის ცნობით, საუბარი 50 მილიონ ევროზეა, საიდანაც ნახევარი გუნდზე, ნახევარი კი სტადიონზე დაიხარჯება.

ვარსკვლავების მომავალი. *"ციფრებს არ დავასახელებ* – ამბობს "ბიანკონერის" პრეზიდენტი **ჯოვანი კობოლი ჯილი** – *მაგრამ თანხა იმდენია, რომ საშუალებას მოგვცემს, ივნისიდან მოყოლებული "იუვე" იტალიური ფეხბურთის ელიტაში დავაბრუნოთ. ჩვენ უკვე ვმუშაობთ საზაფხულო ბაზარზე, თავს მოვუყრით ისეთ შემადგენლობას, რომელიც მაღალი კონკურენტუნარიანობით იქნება გამორჩეული".* **პაველ ნედვედის** აზრით, "იუვეს" აღორძინების გეგმა ასეთი უნდა იყოს: *"გამარჯვებული "იუვეს" შექმნაზე მუშაობა ვარსკვლავების შენარჩუნებით უნდა დაიწყოს. პირველ რიგში, ბუფონს ვგულისხმობ, მისი დარჩენა ყველაზე მნიშვნელოვანია".*

პრეზიდენტის პასუხი ასეთია: *"დრო საკმარისად არის იმისთვის, რომ ჩვენს ვარსკვლავებთან კონტრაქტების თაობაზე ვილაპარაკოთ, მაგრამ გულახდილად გითხრათ, მათში წასვლის სურვილს ნამდვილად ვერ ვამჩნევ. მეტიც, დარწმუნებული ვარ, რომ ბევრი იქნება მზად ჩვენს პროექტში მონაწილეობის მისაღებად".* ბუფონის დარჩენის ალბათობა იზრდება, მაგრამ **კამორანეზისა** და **ტრეზეგეს** წასვლა-არწასვლის საკითხი თითქოს ერთ ადგილზეა გაყინული.

ნახევარდაცვა და თავდასხმა. პროექტი და ინვესტიციები იმაზეც არის გათვლილი, რომ გუნდის ახალი მოთამაშეებით გაძლიერებულ ლიდერებსაც გაუჩნდეთ დარჩენის სურვილი. თუმცა გაძლიერება ზაფხულიდან დაიწყება და არა იანვარში. *"იანვრის სატრანსფერო პერიოდში სიახლე არ გვექნება* – ამბობს კობოლი ჯილი – *ახალი ფეხბურთელების მოსვლა ივნისიდან დაიწყება".* ვინ იქნებიან ეს ფეხბურთელები? **ჰასან სალიჰამიჯიჩის** ტრანსფერი უკვე 100 პროცენტით გადაწყვეტილია, პრაქტიკულად, მოგვარებულია **გრიგერას** საკითხიც. ჩეხი მცველი "იუვეში" იანვარშივე გადავიდოდა, "აიაქსს" მოთხოვნა რომ გაენახევრებინა და ტურინელებისგან შეთავაზებულ მილიონ ევროს დათანხმებულიყო. ხსენებული ინვესტიციიდან დიდი ნაწილი ერთ მაღალი დონის ნახევარმცველისა და, ტრეზეგეს წასვლის შემთხვევაში, ერთი თავდამსხმელის შეძენას მოხმარდება. პირველს რაც შეეხება, **ემერსონის** უკან დაბრუნების ვარიანტი გამორიცხა. *"ერთმანეთს მეგობრულად და თბილად დავშორდით, მაგრამ დაბრუნებები ჩვენთან ძნელად არის შესაძლებელი,"* – აცხადებს კობოლი ჯილი. ნახევარდაცვასთან დაკავშირებით, ბოლო დროს საუბრები გახშირდა **ფრინგსსა** და **მავუბაზე**. ცენტრფორვადს რაც შეეხება, ისევ ძველი გვარები ისმის – **კლოზე** და **ჰუნტელაარი**. გამორიცხული არაა, რომ მომავალ სეზონში "ბიანკონერის" მაისურით ისევ ვიხილოთ "ბენფიკაში" განათხოვრებული **ფაბრიციო მიკოლი**, რომელსაც "ბებერ ქალბატონთან" კონტრაქტი კიდევ სამი სეზონით აკავშირებს. ამ კვირაში მიკოლის პორტუგალიური კლუბის დირექტორებისთვის უთქვამს, ჩემით კმაყოფილები თუ არ ხართ, შემიძლია, წავიდე კიდეცო.



ჯერჯერობით, მხოლოდ სალიჰამიჯიჩის ტრანსფერია გადაწყვეტილი

დაცვა. **დიდიე დეშამს** ერთი ცენტრალური მცველიც სჭირდება, რადგან უკვე გადაწყვეტილად ითვლება, რომ სეზონის ბოლოს გუნდიდან **ძებინა** (ფრანგს ინგლისიდან ეპატიჟებიან) და **კოვაჩი** წავლენ. "სინიორას" მთავარი სამიზნეები ბორუსიელი **კრისტოფ მეტცელდერი** და პალერმოელი **ანდრეა ბარძალი** არიან.

**გოგა ახალაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ ანდრეი შევჩენკოსთან

# მილანს რონალდო სჭირდება

## უკრაინელი თავის მომენტს მოთმინებით ელის და გაძეტა დელო სპორტს ინგლისსა და იტალიაზე უყვება

**ანდრეი შევჩენკოსთვის გოლები ძალიან ჩვეულებრივი და ნორმალური მოვლენაა, მაგრამ ბოლო დროს საქმე ისე აეწყო, რომ ამ ნორმალურ რეჟიმში დაბრუნებას თვეები დასჭირდა. მაგრამ სამშაბთს გაეხსნა... გაეხსნა და ლიგის თასზე "უიკომბს" ორჯერ გაუტანა. "ჩელსის" მწვრთნელმა ჟოზე მოურინიომ ამის შემდეგ თქვა: "ფეხბურთი ჩემთვის უბრალო რამეა: თუ კარგად თამაშობ, ძირითადში ხარ. და თუ ვინმე ისე თამაშობს, როგორც შევჩენკომ სამშაბათს ითამაშა, მაშინ ის პირველი წუთიდან მოედანზეა". შევამ დუბლი შეასრულაო და იტალიურმა "გაძეტა დელო სპორტმა" თავისი კორესპონდენტი სასწრაფოდ ლონდონს აფრინა. ინტერვიუ უკრაინელის სახლში შედგა, რომელიც პირდაპირ გოლფის მოედანს გადაჰყურებს. "აქვეა, მაგრამ თითქმის ველარ ვიცლი გოლფის სათამაშოდ. დრო არ მაქვს, როცა სახლში ორი პატარა ბავშვი გყავს, სხვა საქმეებით ხარ დაკავებული..."**

**- როგორ ცხოვრებას ეწევით ლონდონში?**

- ისეთს, როგორსაც უნდა ეწეოდეს ორი მცირეწლოვანი შვილის მამა. მე და ჩემი მეუღლე, კრისტენი სალამოობით ზოგჯერ სახლიდან გავდივართ, თანაგუნდელებთან ერთად რესტორანში ვვახშმობთ ხოლმე, მაგრამ დროის ძირითადი ნაწილი მაინც ოჯახსა და ბავშვებს, ჯორდანსა და კრისტიანს ეთმობათ. მათ უკავიათ ცენტრალური ადგილი ჩემს ცხოვრებაში. ხანდახან მეჩვენება, რომ თანამედროვე ადამიანმა პროპორციის გრძნობა დაკარგა.

**- გინდათ თქვათ, რომ ზომაზე მეტად ვართ დაკავებულები წვრილმანი და ნაკლებად მნიშვნელოვანი საკითხებით?**

- ზუსტად ამის თქმა მინდოდა. ცხოვრებაში არსებობს ძალიან დიდი და ძალიან პატარა პრობლემები, მაგრამ მათ შორის განსხვავებას მანამდე ვერ ამჩნევ, სანამ ტკივილი პირადად არ შეგეხება. ამ რამდენიმე კვირის წინათ ერთმა ჩემმა იტალიელმა მეგობარმა მოულოდნელად აღმოაჩინა, რომ მის შვილს ძალიან მძიმე პრობლემა აქვს: მინდა, რომ მის გვერდით ვიყო და ვუთხრა, რომ ყველაფერი კარგად იქნება. მაგრამ მთავარი მხოლოდ შენი ან მეგობრის შვილები არ არის და არც მათი ჯანმრთელობა, ვინც გიყვარს. მთავარი ისაა, რომ სამყარო იცვლება და იცვლება ცუდისკენ, რომ არის ომები, შიმშილი, ათასგვარი ავადმყოფობა და დაბინძურებული გარემო, და ამის მიუხედავად, მეჩვენება, რომ ადამიანებს ეს ყველაფერი ნაკლებად გვადარდებს და მთელი ინტერესი რალაც წვრილმანებზე გვაქვს გადატანილი. მე, რაც შემიძლია, ყველაფერს ვაკეთებ და ვფიქრობ, რომ ნებისმიერი ადამიანის ცხოვრების აზრი ასეთი უნდა იყოს – უნდა ვცდილობდეთ, რომ უკეთესები გავხდეთ და რაც მთავარია, რალაცის უნდა გვჯეროდეს. იტალია კათოლიციზმის ცენტრია, ვთვლი, რომ ეს თემა საყოველთაო განსჯის საგანი უნდა იყოს. ძალიან ბევრ უნაყოფო და უსაგნო დისკუსიას ვისმენ, ვერ ვამჩნევ სურვილს, რომ ვილაპარაკოთ იმაზე, რაც მართლა მნიშვნელოვანია.

**- პოლიტიკოსობის სურვილი ხომ არ გაქვთ? ასე უფრო მიაწვდენდით ხალხს თქვენს ხმას...**

- პროფესიად ფეხბურთი ავირჩიე და ნამითაც არ ვნანობ, ასეთი არჩევანი რომ გავაკეთე. დღეს განსაკუთრებულად ვარ კონცენტრირებული იმაზე, რასაც ბოლო წლებში ვაკეთებ: თამაში ჩემში ისევ დიდ ემოციებს იწვევს, ასევე დიდი ენთუზიამით ვარ ჩართული სოციალურ საქმეებში. ჩემი საქველმოქმედო ფონდის საშუალებით ვცდილობ, რომ უკრაინელი ბავშვებისთვის რალაც გავაკეთო და პარალელურად ვცდილობ, რომ როგორც "ჩელსის" ფეხბურთელმა, საუკეთესო ფორმა დავიბრუნო. ამაზე უფრო შორსმიმავალი გეგმები ნამდვილად არ მაქვს.

**- ამბობენ, კარიერის შემდეგ "ჩელსიში" დირექტორად იმუშავებსო.**

- ტყუილია. არასდროს მიფიქრია იმაზე, რასაც კარიერის შემდეგ გავაკეთებ. კონტრაქტი 2010 წლამდე მაქვს, მანამდე კი ძალიან დიდი დროა.

**- სილვიო ბერლუსკონი თავისი განცხადებებით სულ უფრო ულვივებს მილანისტებს იმის იმედს, რომ შევჩენკო ერთ დღესაც შეიძლება, უკან დაბრუნდეს.**

- პრეზიდენტი ბერლუსკონი ის ადამიანია, რომელიც ჩემს გულში სამუდამოდ დარჩება, ისე როგორც "მილანის" ყველა დირექტორი, ფეხბურთელი თუ ტიფოზები, და საერთოდ იტალია, რომელიც ძალიან მიყვარს. მაგრამ ჩემი ცხოვრება ახლა ინგლისშია.

**- რა მოგწონთ ინგლისელებში?**

- ფეხბურთზე თუ ვილაპარაკებთ, მომწონს მათი გულშემატკივრობის კულტურა, მათი ქცევა სტადიონებზე. აქ პუბლიკა ფეხბურთელებთან ერთად მონაწილეობს ერთი დიდი სანახაობის დადგმაში, იტალიაში კი სხვანაირადაა და არა მხოლოდ იმიტომ, რომ ტრიბუნებსა და მოედანს შორის გამყოფი ბარიერებია. ეს კულტურის საკითხია. ფეხბურთელებს აქ პატივს სცემენ თავიანთი ტალანტისთვის, მაგრამ მათაც ისე უყურებენ, როგორც საზოგადოების სხვა წევრებს. აქ ანალოგიურად ფასდება ექიმი, რომელიც ხალხის სიცოცხლესა და ჯანმრთელობაზე ზრუნავს, ან კიდევ ადამიანი, რომელიც ქუჩებს რეცხავს. ძალიან მომწონს ასეთი მალალი სამოქალაქო კულტურა, იმის განცდა, რომ ყველა ერთი მთლიანი საზოგადოების ნაწილია.

**- მაგრამ ალბათ, იტალიიდანაც გენატრებათ რალაც...**

- უამრავი რამ. მეგობრები, თავად ქვეყანა, სადაც პიროვნებად ჩამოვყალიბდი. მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ იტალიაში მხოლოდ ერთხელ დავბრუნდი, იქ დატოვებული ნივთების ლონდონში გადმოსატანად.

**- არ გაქვთ იმის სურვილი, რომ იტალიაში "ჩელსისთან" ერთად, ჩემპიონთალიგურ შეხვედრაში დაბრუნდეთ?**

- არა, ამაზე ფიქრიც არ მინდა. ძნელი იქნება, ემოციას ალბათ ვერ გავუძლებ. ჯობია, ამ თემაზე საერთოდ არ ვილაპარაკო.

**- რას ფიქრობთ იტალიურ ფეხბურთზე?**

- იტალიური ფეხბურთისთვის ეს გარდამავალი წელია, მაგრამ ერთი რამე უნდა ვალიარო: "ინტერი" უძლიერესია. თუმცა შესაფერისი დონის მეტოქე არ ჰყავს, რადგან "იუვენტუსი" სერია B-შია, "მილანმა" კი სეზონი უამრავი პრობლემით დაიწყო. "რომამ" ლამაზი ფეხბურთი აჩვენა, მაგრამ არა აქვს საკმარისად გრძელი სათადარიგოთა სკამი, ინტერისნაირ გუნდს ლირსეული წინააღმდეგობა რომ გაუწიოს. და ტოტი, როგორ არის, როგორ თამაშობს?

**- გარკვეული პრობლემები აქვს წითელ ბარათებთან დაკავშირებით.**

- დიდი ფეხბურთელია, ისე როგორც კაკა. რაკი კაკა ვახსენე, დარწმუნებული ვარ, რომ "მილანში" დარჩება: რიკის დარჩენა უნდა, მასთან ერთად "მილანში" ახალი წარმატებული ციკლი დაიწყება.

**- წარმატებულ ციკლებს რაც შეეხება, "ინტერს" დავუბრუნდეთ: შეუძლია ამ გუნდს, რომ ეპოქა შექმნას?**

- საამისოდ ყველაფერი აქვს: დიდი ფეხბურთელები, ნიჭიერი მწვრთნელი, რომელიც კარგად მუშაობს და გუნდში შესანიშნავი გარემო შექმნა. საჭირო იქნება წლევანდელი შედეგების მომავალ სეზონში გამეორება, მაგრამ მანჩინი მართლაც ძალიან დიდ სამუშაოს ატარებს.

**- ესე იგი, შეუძლია, რომ კვალი დატოვოს. როგორი იქნება მანჩინის "ინტერი" – ისეთი, როგორიც იყო საკის "მილანი" ან რიიკარდის "ბარსელონა"?**

- და ანჩელოტის "მილანთან" შედარება არ გამოვა? ჩვენს გუნდსაც ჰქონდა დიდების წლები, როცა წინააღმდეგობას ვერავინ გვიწევდა და ყველაფერს ვიგებდით.

**- ამიტომ ხომ არ იყო, აბრამოვიჩს ანჩელოტის "ჩელსიში" მიყვანა რომ ურჩიეთ?**



ანდრეი შევჩენკო

- ეს ცნობა ერთმა რუსულმა ვებ-საიტმა გაავრცელა, მაგრამ სრული სიცრუეა, მსგავსი არაფერი მითქვამს. ნამდვილად არ ვერევი კლუბის ხელმძღვანელების საქმეებში და ვინც მიცნობს, ეს კარგად იცის. ვილაცას შეიძლება, მართლა სიამოვნებს, როცა დირექტორებს რჩევებს აძლევს, მაგრამ მე - არა. მე მხოლოდ და მხოლოდ ფეხბურთელი ვარ.

**- თქვენი და მოურინიოს ურთიერთობა დაძაბული ჩანს. მწვრთნელი ხანდახან არცთუ სასიამოვნო განცხადებებით გამოდის...**

- არ მაინტერესებს ის, რასაც გაზეთები წერენ. მოურინიო მწვრთნელია, თავისი სტილი აქვს, მე ვარ ვალდებული, რომ გუნდს ავეწყო და არა პირიქით.

**- ისე, კაპელოს ხელში რონალდოს საქმე ბევრად უარესად აქვს. სწორად იქცევა ბრაზილიელი, "მილანს" რომ ირჩევს? და სწორია "მილანი", მისი აყვანა რომ უნდა?**

- რონალდო უდიდესი ფეხბურთელია, ყოველთვის იყო და მომავალშიც იქნება ფენომენი.

**- თუმცა უკვე 30 წლისაა...**

- 30 წელი არაფერია. თუ რონალდო ფიზიკურად მწყობრშია და თამაშის ხალისი აქვს, მაშინ ასაკი არაფერს ნიშნავს. მთავარი მოტივაციაა და დარწმუნებული ვარ, რომ რონალდოს მოტივაცია კვლავაც დიდი აქვს. მეც 30 წლის ვარ და სულაც არ ვთვლი, რომ ჩემი კარიერა დაღმასვლისკენ მიდის. რონალდოს ტალანტი ყოველგვარ ეჭვს მიღმაა და ისიც გახსოვდეთ, რომ თუ "მილანმა" მისი აყვანა გადაწყვიტა, ესე იგი დარწმუნებულია, რომ ბრაზილიელი კიდევ ბევრ სარგებელს მოუტანს.

**- ცდილობთ, იმედი გაუღვივოთ თქვენი წასვლით გაწბილებულ მილანისტებს?**

- ვამბობ იმას, რასაც ვფიქრობ: რონალდო ექსტრაკლასის ფეხბურთელია. "მილანის" ტიფოზებს კი ვეტყვი: ეს მძიმე სეზონია, მაგრამ ყველაფერი გაივლის. საჭიროა მოთმინება, ყველაფერში. ამას გეუბნებათ ის, ვინც დღესაც მოთმინებით ელის მომენტს, რომ თავისი სიტყვა ისევ თქვას.

**გოგა ახალაძე**



რობერტო ფაბიან აიალა

ვალენსია

# აიალა მესტალიას ტოვებს

## არგენტინელი მცველი და მისი მენეჯერი ამადეო კარბონიმ გადარიეს როცა აგენტი კონტრაქტზე ესაუბრებოდა, იტალიელი ფრჩხილებს იქლიბავდა

**რობერტო ფაბიან აიალას** მოთმინების ფიალა აევსო. არგენტინელი ლეგიონერი თვეების განმავლობაში გახსნილი ტექსტით საუბრობდა და "ვალენსიას" სიყვარულში უტყდებოდა. რა არ უთქვამს მას, ძალიან მინდა, კარიერა "მესტალიაზე" დავასრულოო, "ვალენსია" ჩემი სახლია და ბედნიერი ვიქნები, თუ კონტრაქტს გამხანგრძლივებენო, ხელმძღვანელობის შეთავაზებას მოუთმენლად ველიო... მოკლედ, საბრალო აიალამ გრძნობები არ დაიშურა, მაგრამ შემხვედრ ნაბიჯს ვერა და ვერ ელირსა. ამით გაწბილებულმა სამხრეთამერიკელმა გუნდიდან აბარგება გადაწყვიტა. პრინციპში მას სხვა გზა არ აქვს, რადგან მოქმედ კონტრაქტს მიმდინარე წლის 30 ივნისს ეწურება ვადა. ვეტერანმა მცველმა სამომავლო გეგმების შესახებ არგენტინული ტელევიზიისთვის მიცემულ ინტერვიუში ისაუბრა: *"როგორც ჩანს, "ვალენსიაში" არავის ვჭირდები. დარჩენის სურვილი რამდენად დიდიც არ უნდა იყოს, ვერაფერს გავაწყობ და წასვლა მომიწევს. ჩემი უამრავი განცხადების მიუხედავად, კლუბის ხელმძღვანელობას ხმაც არ დაუძრავს. ვერ გავიგე, რაშია საქმე. უბრალოდ მომატყუეს. ზაფხულში ოქროს კოშკებს დამპირდნენ, მაგრამ პირობას არავინ ასრულებს. ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ ყველაფერს ამადეო კარბონი მართავს. სანამ ფეხბურთს თამაშობდა, სასიამოვნო ადამიანის იმიჯს იქმნიდა, მაგრამ როგორც კი გენერალური დირექტორის სავარძელში მოკალათდა, გაუგებარი ქმედებების ჩადენა დაიწყო. თავი ისე უჭირავს, თითქოს ყველაზე ჭკვიანი და კომპეტენტურია. თითქოს, ფეხბურთელები სულელები ვართ და ჩვენ არაფერი გვეკითხება. არ ვიცი ვინ რას ფიქრობს, მაგრამ მე ამის მოთმენას ალარ ვაპირებ. არც მონა ვარ და არც უთავმოყვარეო ადამიანი. როცა უამრავ თხოვნასა თუ ინიციატივას წაგიყრუებენ, უბრალოდ უნდა ადგე და წახვიდე. ასეც მოვიქცევი. სეზონის დასრულების შემდეგ ვალენსიას დავტოვებ. 3ო ივნისს კონტრაქტი მეწურება. რაც იმას ნიშნავს, რომ ახალ გუნდში უფასოდ გადავალ."*

აიალას მენეჯერმა **გუსტავო მასკარდიმ** საკუთარი კლიენტის გადაწყვეტილებაზე სერიოზული გავლენა იქონია. მან რობერტო ფაბიანი დაარწმუნა, რომ "ვალენსიის" მესვეურები საკითხს ზერელედ და გულგრილად ეკიდებოდნენ. აი, რას ამბობს სენიორ მასკარდი: *"ჭკუიდან გადამიყვანეს. ეს კარბონი ვინ არის ვერაფრით გავიგე. კაბინეტში ზის და თითქოს სერიოზული ფუნქცია აკისრია. ერთხელ მივედი, რობერტოს ამბავზე უნდა მელაპარაკა. მეგონა მისმენდა. როცა საუბარს მოვრჩი, ქლიბი ამოილო და ფრჩხილების გაკეთება დაიწყო. პასუხი კი არ გამცა. წარმოგიდგენიათ, არაფერი მიპასუხა. ავდექი და გამოვედი. აიალა დავარწმუნე, რომ გადარეულ ხალხთან აქვს საქმე. უმჯობესია, სხვაგან წავიდეს. საინტერესო ვარიანტების მოძიებას საკუთარ თავზე ვილებ. ასეა თუ ისე, "მესტალიაზე" დარჩენას ალარანაირი აზრი არ აქვს."*

**ამადეო კარბონიმ** კომენტარისთვის მისული ჟურნალისტები უხეშად მოიცილა და ხმამალლა განუცხადა, ალარ შეეწუხებინათ... რაც შეეხება პრეზიდენტ **ხუან ბაუტისტა სოლერს**, ის არც მწვადს წვამს და არც შამფურს, რაც იმას ნიშნავს, რომ აიალა დიდად არც მას ანალვლებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გარიგების მოლოდინში

# რეალი ეძებს სპონსორს

## მადრიდელთა დღევანდელ პარტნიორს გაკოტრება ემუქრება

მადრიდის "რეალი" ახალ სპონსორთან გააფორმებს კონტრაქტს. ეს ინფორმაცია პრეზიდენტმა, **რამონ კალდერონმა** გაავრცელა. დღევანდელი პარტნიორი "ბენქ მობაილი" გაკოტრების ზღვარზეა. არადა, მან 2005 წლის ნოემბერში მადრიდელებთან ხუთწლიან ხელშეკრულებას მოაწერა ხელი და 100 მილიონი ევროს გადახდა იკისრა. კალდერონი დარწმუნებულია, რომ ახალ სპონსორთან თანამშრომლობა ფინანსურად არანაკლებ მიმზიდველი იქნება, მიუხედავად იმისა, რომ მომავალი სეზონიდან "რეალში" ერთი გალაქტიკოც კი აღარ ითამაშებს.

ტერმინი "გალაქტიკო" ყოფილი პრეზიდენტის, **ფლორენტინო პერესის** დროს დამკვიდრდა. მან კლუბის მარკეტინგი სახელგანთქმული ფეხბურთელების ტრანსფერებზე ააგო. **დევიდ ბექჰემის** შეძენის შემდეგ სამეფო კლუბის შემოსავლები საგრძნობლად გაიზარდა. ინგლისელი ვარსკვლავი 2003 წელს გადაიბირეს. მას მერე მადრიდელთა შემოსავლებმა 35 პროცენტით იმატა. კალდერონი ცდილობს, ამ ციფრებს განსაკუთრებული მნიშვნელობა არ მიანიჭოს. *"შემოსავლები, რომელიც "რეალს" გასულ წლებში ჰქონდა, არაფერია იმასთან შედარებით, რასაც სამეფო კლუბი მომავალში იშოვის,"* - ამაყად ამბობს ის.

ინტერი. ტრანსფერები

# რიკელმე 8 მილიონად

## სტანკოვიჩი კარიერას სან სიროზე დაასრულებს

"ინტერმა" "ვილიარეალს" **ხუან რომან რიკელმეს** სანაცვლოდ 8 მილიონი გირვანქა შესთავაზა. მილანურ გრანდს სურს, ნახევარმცველის ტრანსფერი უახლოეს დღეებში გაჩარხოს. იანვრის ფანჯრის დახურვამდე კვირაზე ნაკლები დრო რჩება. კლუბებს კი მოლაპარაკებები ჯერ არ დაუწყიათ. "ვილიარეალის" დელეგაცია იტალიაში დღეს ან ხვალ უნდა ჩავიდეს. ესპანელებმა "მილანთან" **რიკარდო ოლივეირას** საკითხი უნდა შეათანხმონ. "ინტერის" ემისრები სწორედ ამ შემთხვევით ისარგებლებენ. ცნობილია, რომ რიკელმეს "ვილიარეალის" თავკაც **მანუელ პელეგრინისთან** კონფლიქტი აქვს და ახალ სამსახურს ეძებს.

"ინტერიდან" მილებული მეორე ცნობა **დეიან სტანკოვიჩს** ეხება. სერბმა ნახევარმცველმა ახალი კონტრაქტის გასაფორმებლად უკვე მერამდენედ გამოთქვა მზადყოფნა. ახალი წლის შემდეგ იტალიურ გაზეთებში გაჩნდა ცნობები სტანკოვიჩით მოსკოვის "ლოკომოტივის" დაინტერესების შესახებ. რკინიგზელებს თითქოს 9 მილიონი ევრო ჰქონდათ გამზადებული და მზად იყვნენ, დეიანისთვის წელიწადში 2.5 მილიონი ევრო გადაეხადათ. შედარებისთვის, "ინტერი" ფეხბურთელს მხოლოდ 1.6 მილიონს უხდის. სტანკოვიჩის ხელშეკრულება 2008 წლის ზაფხულში იწურება. ფეხბურთელი თანახმაა, კარიერა "სან სიროზე" დაასრულოს.




ხუან რომან რიკელმე

ინგლისის ლიგის თასი

# ბაპტიშტა, ამჯერად მხოლოდ დუბლი

## მეორე ფინალისტის ვინაობას საპასუხო შეხვედრა გაარკვევს...




ჟულიო ბაპტიშტამ სამი გოლი გაიტანა, ერთი საკუთარ კარში

"ტოტენჰემი"-"არსენალის" ლიგის თასის ნახევარფინალში **ჟულიო ბაპტიშტამ** სამი გოლი გაიტანა, შეხვედრა კი ფრედ, 2:2 დასრულდა. ბრაზილიელმა თავდამსხმელმა წინა რაუნდში, "ლივერპულთან" გაკეთებულ პოკერს დუბლი დაუმატა, მაგრამ იქამდე საკუთარი კარი დალაშქრა და მეტოქეს 2:0 დაწინაურების საშუალება მისცა. მეთოფეებს პირველი გოლი **დიმიტარ ბერბატოვმა** გაუტანა. მან მოედანზე მხოლოდ 15 წუთი დაჰყო. ბულგარელი ლეგიონერი საზარდულის ტრავმის გამო შეცვალეს, მაგრამ მან გოლის გამოსაცხობად შეზღუდული დროც იკმარა. "მამლები" მე-12 წუთზე დაწინაურდნენ. ბერბატოვმა **ჯერმენ დეფოს** გრძელი გადაცემით ისარგებლა და "არსენალის" სარეზერვო მეკარე **მანუელ ალმუნიას** თავით გაუტანა. 21-ე წუთზე ის ეპიზოდი მოხდა, რომელსაც ბაპტიშტა სიამოვნებით ამოშლიდა მეხსიერებიდან. მცველების დასახმარებლად ჩასულმა, საჯარიმოში ჩაკიდებული ბურთი საკუთარ კარში გადაგზავნა.

მაგრამ ბაპტიშტამ დანაშაული თვითონვე გამოისყიდა, თანაც როგორ? მეორე ტაიმის 12-წუთიან მონაკვეთში ორივე გოლი გაქვითა და "არსენალი" უმალ ფავორიტად გადააქცია. საბრალო "ტოტენჰემი". "მამლები" თანაქალაქელთა დამარცხებას 1999 წლის შემდეგ ველარ ახერხებენ.

**არსენ ვენგერი**: *"გუნდმა გასაოცარი მენტალური სიძლიერე გამოიჩინა. ეს გამარჯვება უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე "ლივერპულთან" მოპოვებული 6:3. იმ თამაშში ყველაფერი გამოგვივიდა, დღეს კი პირველი ნახევარი პირწმინდად ჩავაგდეთ."* მარტინ იოლი: *"იმედგაცრუებული ვარ და მომხდარში მხოლოდ საკუთარი თავი უნდა დავადანაშაულოთ. თამაშის მიწურულს ძალიან დავიღალეთ."*

ჰოლანდიის ნაკრები

# ვან ბასტენის სარესერვო სია

7 თებერვალს ჰოლანდია რუსეთთან ამხანაგურ მატჩს გამართავს. **მარკო ვან ბასტენმა** შემადგენლობა დაასახელა. ფეხბურთელთა უარის გამო, მასში არც **რუუდ ვან ნისტელროოია** შეყვანილი და არც **მარკ ვან ბომელი**. ეს ვარსკვლავები ეროვნულ გუნდში იმ დრომდე არ აპირებენ თამაშს, სანამ მისი დამრიგებელი ვან ბასტენი იქნება.

**მეკარეები** - ედვინ ვან დერ სარი (მანჩესტერ იუნაიტედი), მაარტენ სტეკელენბურგი (აიაქსი), ჰენკ ტიმერი (ფეიენოორდი);

**მცველები** - ვილფრედ ბუმა (ასტონ ვილა), ჯოვანი ვან ბრონკჰორსტი (ბარსელონა), ტიმ დე კლერი (ალკმაარი), კიუ იალიენსი (ალკმაარი), ურბი ემანუელსონი (აიაქსი), ჯონ ჰეიტინგა (აიაქსი), იან კრომკამპი (ეინდჰოვენი), იორის მატიისენი (ჰამბურგი);

**ნახევარმცველები** - ნაიჯელ დე იონგი (ჰამბურგი), რაფაელ ვან დერ ვაარტი (ჰამბურგი), დენი ლანდზაატი (ვიგანი), დავიდ მენდეს და სილვა (ალკმაარი), კლარენს ზეედორფი (მილანი), ვესლი სნეიდერი (აიაქსი);

**თავდამსხმელები** - რაიან ბაბელი (აიაქსი), კლაას იან ჰუნტელაარი (აიაქსი), დირკ კუიტი (ლივერპული), არიენ რობენი (ჩელსი), იან ვენეგოორ ოფ ჰესელინკი (სელტიკი).



მარკო ვან ბასტენი

## ფერნანდესის მოთხოვნა შესრულებულია

"ბეტისმა" სლოვენიური NK-დან **ბრანკო ილიჩი** გადაიბირა. ბალკანელი ანდალუსიურ კლუბში ივნისამდე იჯარის წესით ითამაშებს. მისი გადაბირების იდეა **ლუის ფერნანდესს** ეკუთვნოდა. ფრანგი სპეციალისტი დარწმუნებულია, რომ სლოვენიელი მცველი უკანა ხაზში არსებულ პრობლემებს მნიშვნელოვნად შეამსუბუქებს.

## პარმას მყიდველი გამოუჩნდა

„პარმას" შეიძლება, ახალი მეპატრონე გამოუჩნდეს. 2004 წელს კომპანია „პარმალატის" გაკოტრების შემდეგ, კლუბი მესაკუთრის გარეშეა დარჩენილი და სახელმწიფოს მიერ დანიშნული დროებითი კომისარი მართავს. ბოლო წლებში მისი ყიდვა არაერთმა ბიზნეს-ჯგუფმა სცადა (მათ შორის იყო „რეალის" ექს-პრეზიდენტი **ლორენსო სანსი**), მაგრამ გარიგების მიღწევა მაინც არ ხერხდებოდა. ორი დღის წინათ ბიზნესმენმა **ტომაზო გირარდიმ** განაცხადა, რომ ძალიან ახლოსაა „პარმის" შეძენასთან. *„ძალიან ახლოს ვართ და იმედი მაქვს, რომ მოლაპარაკება წარმატებით დასრულდება,"* – თქვა 31 წლის გირარდიმ, რომელიც სერია C2-ში მოთამაშე „კარპენედოლოს" პრეზიდენტიცაა. იტალიური მედიის ცნობებით, გირარდი მზადაა, გაჭირვებაში მყოფი „პარმა" 5 მილიონ ევროდ გამოისყიდოს და კლუბში დაგროვილი 20-მილიონიანი ვალი დაფაროს. გარდა ამისა, გირარდი ვალდებულებას იღებს, რომ ფულს ტრანსფერებშიც დააბანდებს და გუნდს ახალი ფეხბურთელებით გააძლიერებს.

## სალვა ლევანტეში?

გასაჭირში ჩავარდნილმა "ლევანტემ" შემადგენლობის გაძლიერების მიზნით **სალვა ბალესტას** გადაბირება გადაწყვიტა. ვალენსიელები საიჯარო ხელშეკრულებაზე მუშაობენ. "მალაგას" საწინააღმდეგო არაფერი აქვს. სეგუნდადივიზიონელები 100 ათასი ევროს სანაცვლოდ ფორვარდს სიამოვნებით გაანათხოვრებენ. შეგახსენებთ, სალვა სხვადასხვა წელს "სევილიის", "რასინგის", "ვალენსიისა" და "ატლეტიკოს" ღირსებას იცავდა. მისი უცხოური კარიერა კი "ბოლტონში" ასპარეზობას მოიცავს.

## ტოტენჰემი პორტუგალიელით გაძლიერდა

"ტოტენჰემმა" "ბენფიკის" მცველი **რიკარდო როჩა** შეიძინა. 28 წლის ფეხბურთელი ლონდონში ჩავიდა და სამედიცინო შემოწმება გაიარა. **მარტინ იოლი** იმედოვნებს, რომ როჩა საგრძნობლად გააძლიერებს ტრავმების შესუსტებულ უკანა ხაზს. რიკარდო "მამლების" კაპიტან ლედლი კინგს შეცვლის, რომელიც ტრავმის გამო სამი კვირაა, ვერ თამაშობს. რიკარდო როჩა პორტუგალიის ნაკრების წევრია. ის "ბენფიკაში" 2002 წლის ზაფხულში "ბრაგიდან" გადავიდა. ლონდონური ტრანსფერის ფინანსური დეტალები უცნობია.

## გივენი ისვენებს

**შეი გივენი** ერთი თვე ვერ ითამაშებს. "ვესტ ჰემთან" ბოლო ტურის მატჩში მან საზარდულის ტრავმა მიიღო და შესაცვლელი შეიქნა. გივენს **სტივ ჰარპერი** შეცვლის. ერთთვიან შვებულებაში იმყოფება ახალგაზრდა მცველი პიტერ რემიჯიც. შედარებით მსუბუქად არიან დაშავებულნი **ტიტუს ბრემბლი, სელესტინ ბაბაიარო, დემიენ დაფი და ემრე**, მაგრამ მწვრთნელები იმედოვნებენ, რომ "ასტონ ვილასთან" ოთხშაბათის მატჩისთვის მწყობრში იქნებიან. ამ უქმეებზე ჯორდები არ ითამაშებენ. ინგლისში ასოციაციის თასის მეოთხე რაუნდის მატჩები იმართება, "ნიუკასლი" კი "ბირმინგემმა" გააგდო.

## ახლა უკვე ბექჰემიც

მართალია, **დევიდ ბექჰემი** ჯერ ისევ მადრიდშია, მაგრამ მის სახელს უკვე ლოს ანჯელესის რეკლამირებისთვის იყენებენ. ამერიკას 2016 წლის ოლიმპიადის მასპინძლობა სურს. კანდიდატი ჩიკაგო ან ლოს ანჯელესი იქნება. კალიფორნიულმა გაზეთებმა ლოს ანჯელესის მერის **ანტონიო ვილიარაიგოსას** განცხადება გამოაქვეყნეს: *"ჩვენ ერთი გუნდი ვართ - ქალაქი, სოფელი და შტატი. ჩვენ გვაქვს პლაჟები, თვალისმომჭრელი სინათლე, ფუფუნება და ახლა უკვე დევიდ ბექჰემიც ჩვენთანაა."*

## დააბრუნეთ მოპარული ნოუთბუქი

ორი დღის წინათ "ვალენსიის" მეკარეების მწვრთნელს, **ემილიო ალვარესს** დაუდგენელმა პირებმა მანქანიდან პორტატული კომპიუტერი მოპარეს. თითქოს ერთი ჩვეულებრივი ქურდობაა, მაგრამ გაირკვა, რომ ამ კომპიუტერს სენიორ ალვარესისთვის საბაზრო ღირებულებაზე შეუდარებლად დიდი ფასი აქვს. "ღამურების" მეკარეების დამრიგებელს წლების განმავლობაში შესრულებული სამუშაოს მონაცემები, სტატისტიკური მასალა, სამომავლო სამოქმედო გეგმა და რაც მთავარია, უნიკალური საწვრთნელი მეთოდები სწორედ მოპარული კომპიუტერის მეხსიერებაში ჰქონდა შენახული.

საბრალო ალვარესი სასოწარკვეთილებაში ჩავარდა და იმაზე უკეთესი ვერაფერი მოიფიქრა, რომ ქურდებთან მოლაპარაკებაზე წასულიყო. მწვრთნელი მზადაა, ბოროტმოქმედებს პოლიციაში არ უჩივლოს და ყველასგან ფარულად საკუთარი კომპიუტერი გამოისყიდოს. ალვარესი იმდენ ფულს გადაიხდის, რამდენიც სამი სრულიად ახალი ნოუთბუქის შეძენისთვის იქნება საკმარისი.

ტრანსფერები

# ტომასონის ნაცვლად ლაუთი

## დანიელი თავდამსხმელი ელ მადრიგალზე წავიდა, შვაბებმა მის ნაცვლად ლაუთი აიყვანეს...

დიახ, "ვილიარეალმა" ხანგრძლივი და რთული მოლაპარაკებები წარმატებით დაასრულა. გუშინ ესპანური კლუბის პრეზიდენტმა, **ფრანსისკო როიგმა** გულშემატკივრებს "შტუტგარტიდან" **იონ დალ ტომასონის** გადაბარების ფაქტი ახარა. დანიელი ფორვარდი "ვილიარეალში" სეზონის ბოლომდე იჯარის წესით ითამაშებს. მან ტრავმირებული **ნიჰათი** უნდა შეცვალოს.

ტომასონი პრიმერა დივიზიონში თამაშის პერსპექტივით ალფრთოვანებული დარჩა და სენიორ როიგის წინადადებას უსიტყვოდ დათანხმდა: *"ბედნიერი ვარ, რომ ისეთი დიდი გუნდების წინააღმდეგ მომიწევს ასპარეზობა, როგორებიც "ბარსელონა" და "რეალი" არიან. ახალ კლუბს მთელ ცოდნასა და გამოცდილებას მოვახმარ. იმედია, აქ კარგი თამაშით გავითქვამ სახელს."*

*„იანმა თვითონ გვთხოვა, გამიშვითო. ჩვენც გავანათხოვრეთ, რათა სათამაშო პრაქტიკა არ მოაკლდეს და სეზონის დასრულების შემდეგ საუკეთესო ფორმაში მყოფი დაგვიბრუნდეს,"* – განაცხადა "შტუტგარტის" მენეჯერმა, **ჰორსტ ჰელდტმა**.

ამასობაში, შვაბებმა ჰამბურგელი **ბენიამინ ლაუთი** ითხოვეს. ასევე სეზონის ბოლომდე. HSV-ს მთავარ მწვრთნელ **თომას დოლს** ეს ფორვადი არაფერში სჭირდებოდა და შესაბამისად, ჰამბურგელებმა ლაუთს კალთები არ ჩამოახიეს. დოლის ხელში 26 წლის ფორვარდს, რომელიც ერთ დროს გერმანული ფეხბურთის ამომავალ ვარსკვლავად ითვლებოდა, თამაში არ ეწერა, „შტუტგარტში" კი, წესით, უფრო ხშირად უნდა მიეცეს თავის გამოჩენის შანსი. რაკი შვაბებმა ლაუთი წაიყვანეს, ე.ი. სჭირდებათ კიდეც. შეგახსენებთ, რომ პირველ წრეში ბენიმ მხოლოდ 6 მატჩის ჩაატარა, გოლი კი არ გაუტანია...

# საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი წარმოგიდგენთ

საქართველო
ეროვნული ბიბლიოთეკა
GEORGIA



რუბრიკას უძღვება მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი თავისუფალ ჭიდაობაში, სპორტის დამსახურებული ოსტატი **გურამ სალარაძე**

ჭიდაობა

# მოჭიდავეები სამეგრელოდან

ქრისტეშობის წინა დღეებში "ლელოს" რედაქციაში ერთ ახალგაზრდა კაცს, **მერაბ ჯიქიას** შევხვდი, პროფესიით ფილოლოგს, ყოფილ ძიუდოისტს, სპორტის ოსტატს. მომხიბლა მისმა თავაზიანმა და დინჯმა საუბარმა. ზუგდიდში ძიუდოს ერთ-ერთი დამამკვიდრებელი ყოფილა, საქართველოს ჩემპოინატებსა და საერთაშორისო ტურნირებში ჩემპიონებისა და პრიზიორების აღმზრდელი, მათ შორის ერთ-ერთი - **ოთარ ახალაია** (სამბო) ევროპის ჩემპიონატის მესამე პრიზიორია. მერაბმა საუბარში აღნიშნა, რომ სიამოვნებით კითხულობს და ადევნებს თვალყურს ჩვენს რუბრიკას.

გამოგიტყდებით, რომ "მემკვიდრეობაში" ძირითადად შუქდება წერილები ბერძნულ-რომაულ და თავისუფალ მოჭიდავეებზე. ამ ახალგაზრდა მწვრთნელისა და ამავე დროს ჟურნალისტის მიმართ სიმპათიით განვეწყვე. იგი უზომოდაა შეყვარებული თავის კუთხეზე და საქართველოზე, გამოუცია ორი პოეტური კრებული, მოთხრობების წიგნი - "ბიძაჩემი". მისი ისტორიული შინაარსის პუბლიკაციები სისტემატიურად იბეჭდება ჟურნალ "ცისკარში", "რინაში", "ლიტერატურულ საქართველოსა" და ადგილობრივ პრესაში. გამოსაცემად გამზადებული აქვს წიგნი "ფიქრები ძიუდოზე და ძიუდოისტებზე". ამავე დროს არის სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარეში ძიუდოს უფროსი მწვრთნელი. ჭიდაობის დიდი ოჯახის სახელით მადლობას ვუხდით ამ შესანიშნავ, პატრიოტ ახალგაზრდას კეთილი საქმისთვის.

მოვიტან მცირე ამონარიდს მისი ერთი წერილიდან: "სამეგრელო "სქან სანთელოთი" იწყება. ამ სიტყვას "სანთელივით შემოგევლე" ესადაგება და უზარმაზარ სიყვარულს იტევს თავის თავში, ერთგულებასა და ულრმეს პატივისცემას, ამავე დროს იგი თითქოს უფლის ბაგითაა წარმოთქმული. სანთელი ხომ ქართველი კაცისთვის სიწმინდის სიმბოლოა, სიყვარულია უცილობლად ამ უკიდეგანო ცისქვეშეთში." ახლა მე ვიცი, რომ როდესაც მეგრელი მოგმართავს "სქან სანთელოთი", უწინარეს ყოვლისა, იგი თავის ქრისტიანობასა და ულალატობას უსვამს ხაზს და ქრისტეს ათივე მცნებით იტვირთება - ეს სიტყვა. მისი უგულებელყოფა და ზურგის შექცევა უდიდესი ცოდვაა, შერცხვენასა და სულიერ კვდომას ნიშნავს.

სამეგრელო თავისი ისტორიული წარსულით, თავისებური ყოფაცხოვრებითა და კულტურით მეტად საინტერესო კუთხეა, ისევე როგორც ტაოკლარჯეთი, ქართლი, კახეთი, მესხეთი, ჰერეთი, ჯავახეთი, იმერეთი, აჭარა, გურია, აფხაზეთი, სამაჩაბლო, სვანეთი, რაჭა, მთიულეთი... საქართველოს შემადგენელი, მისი ისტორიული ერთიანი სხეულის ნაწილია. სამეგრელოს, კოლხ ხალხს ზემოჩამოთვლილ კუთხის ხალხებთან ერთად განსაკუთრებული ადგილი უჭირავს საქართველოს ისტორიაში. სამეგრელოს ყველა პერიოდებში ჰყავდა უდიდესი პიროვნებები, მათ შორის სპორტსმენები.

ტრადიციას არ ვულალატებ და თხრობას გავაგრძელებ მეგრელ სახელოვან მოჭიდავეებზე, რომელთაც სათავეში ჩავუყენებ ერთ-ერთ უძლიერეს ქართველ ფალავანს, **ნესტორ ესებუას**. ნესტორი დაიბადა 1864 წელს - სოფ. სორტაში (სენაკი). ეს ფალავანი განსაკუთრებით საინტერესო იყო იმით, რომ გამოირჩეოდა ჭიდაობისთვის უჩვეულო აღნაგობით (ამის გამო მრავალი მისი მეტოქე შეცდომაში შედიოდა - მამაჩემის, რეზო სალარაძის მონაყოლი - ნესტორთან მოასწრო მეგობრობა), ჰქონდა საოცარი სისწრაფე, ღონე და მოქნილობა, ქართული ჭიდაობის ილეთებს ასრულებდა ვირტუოზულად. იყო მამაცი და შეუდრეკელი. ზნეობით წესიერ ფალავანს, თუ ვინმე აუხირდებოდა, ჩემს და თქვენს მტერს, - მოხვდებოდა მისი გრძელმკლავიანი ზორბა მუშტი და ნებისმიერი გონდაკარგული ვარდებოდა მიწაზე (ესეც გადმოცემით ვიცი). სხვადასხვა დროს დამარცხებული ჰყავდა ქართველი და უცხოელი არაერთი სახელოვანი მოჭიდავე, მათ შორის - **კულა გლდანელი, კლემენს ბული, გეორგ ლურიხი, ივან პოდდუბნი, სარი სულეიმანი, ყაზბეგ გარა, ემილ ფორი** და სხვები. წარმატებით გამოდიოდა პეტერბურგის, თეირანის, სტამბოლისა და ბრიუსელის დიდ ტურნირებში. პერსონალურად იყო მიწვეული პარიზის საერთაშორისო გამოფენის გახსნასთან დაკავშირებით გამართულ ტურნირზე, რომელშიც მსოფლიოს საუკეთესო სამასამდე მოჭიდავე მონაწილეობდა. დაამარცხა 10 მეტოქე, რისთვისაც გადასცეს ათასი ფრანკი და ოქროს ჟეტონი.

ქართული ჭიდაობის ყურადღების ცენტრში მუდმივად იყო ნესტორისა და უძლეველი ფალავნის, კულა გლდანელის მეტოქეობა. ეს მოჭიდავეები მრავალჯერ შეერკინენ ერთმანეთს. 1886 წელს თბილისში "იტალიელების ბაღში" გამართულ ორთაბრძოლას **აკაკი წერეთელმა** მესტვირული ლექსი "ჭიდაობა" უძღვნა. გაზეთი "დროება" კი წერდა: *"ჩაჰკიდეს ხელი ერთმანეთს მოწინაალმდეგეებმა, შეტაკებაში პირველმა გლდანელმა წააქცია ესებუა, მან ისე რიხიანად დაატრიალა ის, რომ ყველას ეგონა, მიწიდან მოსწვეტს და ჰაერში აისვრისო, მაგრამ ახალგაზრდა მოჭიდავე გამაგრდა და საპასუხოდ დასცა მოწინაალმდეგე პირქვე, მაგრამ კულა მალე წამოხტა ფეხზე, მივარდა ესებუას გამხეცებული და კისრულით დასცა მიწაზე, მხოლოდ ერთი მხარით. ესებუას დამარცხება ვერც ამჯერად შეძლო გლდანელმა, ისინი ორივენი წამოდგნენ ფეხზე და განაგრძეს ჭიდაობა. კულამ მეორედ გადმოიტანა კისრულზე ნესტორი უფრო უკეთესად, ვიდრე პირველად, მაგრამ მაინც ვერ შეძლო მისი საბოლოოოდ დამარცხება. ისინი ხელმეორედ წამოდგნენ ორივენი ფეხზე და მესამედ შეეჯახნენ ერთმანეთს. ახლა კი გაცეცხლებული მეგრელი ვეფხვივით მივარდა კულას და დასცა ბეჭებზე, რითაც მოიპოვა საბოლოო გამარჯვება."*

სიცოცხლეშივე ლეგენდად იქცა უდიდეს მოჭიდავეთა შორის უდიდესი - **გივი კარტოზია**. მისი წინაპრები ნოქალაქევიდან არიან (სენაკის რაიონი) დაიბადა ბათუმში, მაგრამ ყოველთვის ამბობდა - მე ძირძველი თბილისელი ვარო. უზომოდ შეყვარებული იყო თბილისსა და საქართველოზე. მისი ფიქრი ყოველთვის იყო სამშობლო და მისი გადარჩენა. ქვეყნის ძნელბედობის დროს არაერთხელ დაამტკიცა ერთგულება და სიყვარული ქართველი ხალხის წინაშე. ბუნებრივია, მინახავს ცნობილი მოჭიდავეების უამრავი ასპარეზობა, მაგრამ იყვნენ და არიან მოჭიდავეები, რომელთა ცქერას არაფერი სჯობდა. ასეთი ყოფილა თავის დროზე გივი კარტოზია.

მე გივის ჭიდაობა კარგად არ მახსოვს, **რომან რურუას** ორთაბრძოლებმა კი ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. ეს მუხურჩელი (მარტვილის რაიონი) ფენომენი ანტიკური ჭიდაობის ისტორიაში ოქროს ასოებით ჩაიწერა.

სამეგრელოს მოჭიდავეების სია გადმომცა საქართველოს დამსახურებულმა მწვრთნელმა, საქართველოს სპორტის დამსახურებულმა მუშაკმა, **ბიჭიკო შელიამ**. ეს ის ყოფილი ხობელი ბიჭიკო შელიაა, რომელსაც ერთი წუთითაც არ დაუტოვებია თავისი ძვირფასი უფროსი მეგობარი გივი კარტოზია გაჭირვების ჟამს, სიცოცხლის ბოლო წლებში.

ყველამ კარგად იცის, თუ ვინ იყო **დავით (ამურ) ციმაკურიძე**, ფოთის საპატიო მოქალაქე. იქვე, ფოთშია დაბადებული, თუმცა მთელი თავისი სიცოცხლე თბილისში გაატარა. ციმაკურიძეების გვარს იმერეთსა და რაჭაშიც შეხვდებით. იგი იყო ჭიდაობის განუმეორებელი დიდოსტატი.



ნესტორ ესებუა

ყველა ჩვენთაგანისთვის დაუვიწყარია სენაკელი მწვრთნელი და შესანიშნავი პედაგოგი **კარლო ჯოჯუა**, რომელმაც თავის დროზე სახელოვან სპორტსმენთა თაობები აღუზარდა ქვეყანას, თუნდაც რად ღირს მძიმეწონოსანი **შოთა მორჩილაძე**, რომელსაც ბავშვობა სენაკში გაუტარებია (მისი მამა აქ მოღვაწეობდა სამეურნეო დარგში). მისი პირველი ჭკუისდამრიგებელი ბატონი კარლო ყოფილა. შოთა გახლდათ მსოფლიოს ერთ-ერთი უძლიერესი მძიმეწონოსანი, საინტერესო და ფაქიზი სულის კაცი, მსოფლიო ჩემპიონატების მრავალგზის პრიზიორი, ევროპის ჩემპიონი, სსრკ-ს აბსოლუტური ჩემპიონი, სსრკ-ს თასის მფლობელი.

სენაკელი იყო საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი და პრიზიორი **მურმან კილასონია**. ამ ქალაქიდან არიან ძმები **ვალოდია და ბათუ კანკავები**, ვალოდია ერთ-ერთ უძლიერეს მოჭიდავედ ითვლებოდა - სპორტის დიდი მოამაგე და ქომაგი. დღეს საქართველოში ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში ერთ-ერთ საუკეთესო მწვრთნელად **დამერლანდ (დავით) დავითაია** ითვლება (სენაკიდანაა წარმოშობით), დღესაც ეწევა ნაყოფიერ შრომას და სამშობლოს მრავალ ნიჭიერ, პერსპექტიულ ახალგაზრდა მოჭიდავეს უზრდის, საქართველოს მრავალგზის ჩემპიონია სენაკელი **დათო ლატარია**, ამჟამად თბილისში სამწვრთნელო მოღვაწეობას ეწევა. დასაფასებელია ცხაკაიელი **ალეკო მურღულიას** დაუღალავი შრომა - შესანიშნავი პედაგოგი და აღმზრდელი. მის შეგირდთაგან თავი განსაკუთრებით გამოიჩინა აწ გარდაცვლილმა **გიორგი მაკალათიამ** - ევროპის ჩემპიონია ახალგაზრდებში. ჩემი მახსოვრობიდან არ ამოვა ინტელიგენტი თბილისელი - **ლევან შენგელია** - ექიმი, აგრეთვე ჭიდაობის უბადლო ოსტატი "ნახალოვკელი" **ჯემალ (კიკა) შენგელია**.

შთამბეჭდავია წარმოშობით ზუგდიდელი - ევროპის ჩემპიონის (2002) და მესამე პრიზიორის (2005), მსოფლიო ჩემპიონატის მეორე პრიზიორის (2002), მსოფლიო თასის მფლობელის (2004) **ბადრი ხასაიას** ლამაზი ჭიდაობა. ჩემი აზრით, მას აქვს შანსი მსოფლიოში ყველაზე მაღალი რანგის ასპარეზობების კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე დაიკავოს ადგილი. წინ პეკინის ოლიმპიადაა, ვუსურვოთ წარმატებები.

წარმოშობით ფოთელი (სოფ. ჭალადიდიდან) ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონატების მრავალგზის პრიზიორი, მსოფლიო თასის მფლობელი **ირაკლი ჭოჭუა** არის საოცარი ტექნიკისა და ძალის მოჭიდავე. მას შეუძლია დაამარცხოს დედამიწის ზურგზე ნებისმიერი მეტოქე თუ დახვენს ტაქტიკას და ფორტუნაც მის მხარეზე იქნება.

დასანანია, რომ უკვე რამდენიმე წელია, საქართველოს სახელს ვერ იცავს მსოფლიოს ერთ-ერთი უძლიერესი მძიმეწონოსანი ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში, ნალენჯიხელი **გიორგი წურწუმია**. ის ყაზახეთის სახელით გამოდის ჩემპიონატებში. პატივისცემით აღვნიშნავთ სენაკელი **კობა ოჩიგავას, გურამ შონიას, ემზარ მორგოშიას, ანდრო კანკავას, დამირ კირცხალიას**, ხობელების **ალუდა ხუნჭუას, მანუჩარ ცხადაიას, ჟიული პაჭკორიას, მამუკა ყორშიას**, და სხვა ანტიკური სტილით მოჭიდავეთა წარმომადგენლების (ყველა ვერ დავასახელეთ) გაწეული შრომის ფასს სამწვრთნელო მოღვაწეობასა და თაობების აღზრდის საქმეში.

სამეგრელოში "კლასიკოსები", რა თქმა უნდა, ჭარბობენ თავისუფალ მოჭიდავეებს, მაგრამ აქაც არიან ცნობილი სახეები. ძველი თაობიდან გამოირჩეოდა სსრ კავშირის პრიზიორი (1945), ესებუების შთამომავალი **შოთა ესებუა**, დღეს კეთილ და კარგ საქმეს აკეთებს ძირძველი მარტვილელი, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი **ლერი ძაგანია**, ლამაზი და ეფექტური ჭიდაობით გამოირჩეოდნენ ახალგაზრდობაში ძმები **რაინგოლ და რობერტ შენგელიები**, ძმები **ამირან და ლომკაცა კუჭუხიძეები** - აბაშელები; სენაკელები **ამირან ქვილითაია**, - თბილისელები **ნოდარ კუჭავა, ოთარ (წკივა) დანელია, ელგუჯა რევია, დათო მორგოშია, ტარიელ ხორავა** და სხვები.

**P.S. "სქან სანთელი" არ მოგშლოდეთ ჩვენო ძვირფასო მოჭიდავეებო სამეგრელოდან.**



გივი კარტოზია



რომან რურუა

ეროვნული ბიბლიოთეკა

კრივი

# შედეგები მოიწონეს, თუმცა, ნაკრების მწვრთნელი შეიცვალა

## ავთანდილ შოშიაშვილი მსოფლიო დონის ნაკრებს გვპირდება

ალექსანდრე კორძაშვილის ფოტო



კრივის ფედერაციის პრეზიდენტი პეტრე ცისკარიშვილი

**საქართველოს სამოყვარულო კრივის ფედერაციამ გუშინ გამგეობის სხდომა ჩაატარა. სხდომა ორნაწილიანი იყო - ღია და დახურული. პირველ ნაწილზე, სადაც კრივის ფედერაციამ შარშანდელ შედეგებსა და წლევანდელ გეგმებზე ისაუბრა, ჟურნალისტებსაც მოგვცეს დასწრების საშუალება.**

თავდაპირველად, სიტყვით გამოვიდა ფედერაციის პრეზიდენტი **პეტრე ცისკარიშვილი**. მან შარშანდელი სეზონი წარმატებულად შეაფასა. მოგეხსენებათ, ცისკარიშვილი და მისი გუნდი 2006 წლის გაზაფხულზე მოვიდნენ ფედერაციაში და ბატონი პეტრეს თქმით, ასეთი მოკლე დროის მიუხედავად, საკმაოდ მაღალი წარმატებების მიღწევა შეძლეს. პრეზიდენტმა წლევანდელ გეგმებზეც ისაუბრა, მან ხაზი გაუსვა იმას, რომ 2007 წელი წინასაოლიმპიადო სეზონია და სექტემბერში მსოფლიო ჩემპიონატზე პეკინის ოლიმპიური თამაშების პირველი ლიცენზიები გათამაშდება. წლეულს, ძირითადი აქცენტი გაკეთდება სწორედ ამ შეჯიბრებისთვის მაქსიმალურად კარგად მომზადებასა და ლიცენზიებისთვის ბრძოლაზე. შესაბამისად, კრივის ფედერაციის წლევანდელი ბიუჯეტი, შარშანდელზე სამჯერ მეტი იქნება.

ამის შემდეგ სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტის თავმჯდომარის, **დავით ნამგალაურის** ჯერი დადგა. შარშანდელი შედეგები ნამგალაურმაც მოიწონა და თავის მხრივ, სახელმწიფოსგანაც დაჰპირდა კრივის ფედერაციას წლევანდელი ბიუჯეტის გასამმაგებასა და მაქსიმალურ თანადგომას. კრივის ფედერაცია დაახლოებით 2-3 ოლიმპიურ ლიცენზიას გეგმავს და ნამგალაურმა იმედი გამოთქვა, რომ ამ მიზანს წლეულსვე მივაღწევთ.

იქვე, ნამგალაურმა ერთი სასიამოვნო სიახლეც გააცნო კრივის ფედერაციას. თუკი აქამდე ეროვნულ ნაკრებს სისტემატურად ჰქონდა ისეთი ბაზის პრობლემა, სადაც ნებისმიერ დროს ივარჯიშებდა, ამიერიდან, პრობლემა მოიხსნება. სპორტის დეპარტამენტმა თავის შენობაში, ტანმოვარჯიშეთა და მთამსვლელთა სამეცადინო არენების შუაში გამოყო ადგილი, რომელიც მთლიანად ეროვნულ ნაკრებს დაეთმობა. გუნდს იქ ნებისმიერ დროს შეეძლება ვარჯიში. უკვე დაიდგა ერთი რინგი, მალე კი მეორეც დაიდგმება, ხოლო ოდნავ მოგვიანებით გათბობის სისტემაც დამონტაჟდება.

ბოლოს სიტყვა გადაეცა კრივის ფედერაციის გენერალურ მდივან **ვლადიმერ ახალკაცს**, რომელმაც დეტალურად განიხილა შარშანდელი შედეგები. ახალკაცმა ხაზი გაუსვა უფროსთა ევროპის ჩემპიონატზე **კახა ჟვანიას** შესანიშნავ გამოსვლას - აშკარად ოქროს მედალს იმსახურებდა, მაგრამ არაობიექტური მსაჯობის გამო, მხოლოდ ბრინჯაოს დასჯერდაო.

ახალკაცმა ასევე აღნიშნა კადეტთა ნაკრების მიერ მსოფლიო ჩემპიონატზე მოპოვებული ვერცხლის მედალი (**ზაალ კვაჭატაძე**), სადაც ასევე არაობიექტური მსაჯობის გამო, კიდევ დაგვიკარგავს მედლები. შარშანდელი წლის გვირგვინი კი მოსწავლეთა ევროპის ჩემპიონატი იყო, სადაც **ჯაბა ხოსიტაშვილი** ჩემპიონი გახდა, მისმა ორმა თანაგუნდელმა კი ბრინჯაოს მედალი მოიპოვა. ახალკაცის თქმით, ესოდენ მოკლე დროში ამხელა შედეგები მწვრთნელთა მუხლჩაუხრელმა შრომამ მოიტანა და მათ საჯაროდ მოუხადა მადლობა. შარშან მხოლოდ ახალგაზრდული ნაკრები დარჩენიათ ცოტა უყურადღებოდ, მაგრამ წლეულს კადეტებთან ერთად, ახალგაზრდებიც აუცილებლად იასპარეზებენ ევროპის ჩემპიონატზე.

გენერალური მდივანი ბაზების საკითხსაც შეეხო. მან მადლობა გადაუხადა სპორტის დეპარტამენტსა და კრივის ფედერაციის პრეზიდენტს იმისთვის, რასაც ამ ბოლო ხანს ქართული კრივის წინსვლისთვის აკეთებენ. მათი მონდომების შედეგად, უკვე გვაქვს ახალი კრივის დარბაზები გურჯაანსა და გარდაბანში, ხოლო უახლოეს წლებში მაქსიმალურად ბევრ რეგიონს მოვიცავთო.

რაც შეეხება პეკინის ოლიმპიადისთვის სამზადისს, საქართველოს ეროვნული ნაკრები წლეულს იასპარეზებს ყველა საჭირო შეჯიბრებაზე და არც შეკრებები მოაკლდება. უკვე მიღწეულია შეთანხმება იტალიასთან, აზერბაიჯანსა და ყაზახეთთან, რომლებთანაც ჩვენი გუნდი ერთობლივ შეკრებას გაივლის. ამას გარდა, მსოფლიო ჩემპიონატზე ათი დღით ადრე ჩავალთ მოსკოვში და რუსეთის ნაკრებთან ერთად დავასრულებთ მსოფლიო ჩემპიონატისთვის სამზადისს.

პეკინის ოლიმპიურ თამაშებზე, ევროპელ მოკრივეებს კვოტა ჰქონიათ დაწესებული - სულ 91 ადგილი. აქედან, 47 ლიცენზია გათამაშდება მოსკოვში, სადაც სალიცენზიოდ მეოთხედფინალში უნდა გახვიდე. გაისად კი დანარჩენი ლიცენზიები საერთაშორისო ტურნირებზე გადანაწილდება და პეკინის საგზურებს მხოლოდ ფინალისტები მოიპოვებენ. სხვათა შორის, წინადადება, მსოფლიო ჩემპიონატზე თითოეულ წონაში 8 ლიცენზიის გათამაშების შესახებ, საქართველოს კრივის ფედერაციას წამოუყენებია საერთაშორისო ფედერაციის კონგრესზე...

**ამის შემდეგ, სხდომა დახურულ რეჟიმზე გადავიდა და ჟურნალისტებს დარბაზის დატოვება მოგვიხდა. სხდომის დასრულების შემდეგ კი გავიგეთ, რომ მიუხედავად დამაკმაყოფილებელი შედეგისა, ეროვნული ნაკრების თავკაცი დავით ცერცვაძე გაუთავისუფლებიათ. მისი ადგილი დაიკავა ცნობილმა სპეციალისტმა, მსოფლიო ჩემპიონ გიორგი კანდელაკის აღმზრდელმა ავთანდილ შოშიაშვილმა.**

ბუნებრივია, ცერვაძის გათავისუფლების მოტივით დავინტერესდით. როგორც ვალერი ახალკაცმა და ნაკრები გუნდების უფროსმა **თამაზ ქართველიშვილმა** აღნიშნეს, არაფერი განსაკუთრებული არ მომხდარა. უბრალოდ, ფედერაციამ გადაწყვიტა, რომ რაკილა წლეულს საკმაოდ მნიშვნელოვანი სეზონია, ეროვნული ნაკრები უფრო ძლიერ და ავტორიტეტულ სპეციალისტს ჩააბარონ. დავით ცერცვაძის საწინააღმდეგო კი არაფერი გვაქვს და იგი ნაკრების სამწვრთნელო შტაბში დარჩებაო.

რაც შეეხება სხვა ასაკობრივ ნაკრებ გუნდებს, იქ არაფერი შეიცვლება. ახალგაზრდულ ნაკრებს ისევ **ბეჟან ჭიჭინავა** გაწვრთნის, კადეტებში **ტარიელ ვერულაშვილი** რჩება, მოსწავლეთა ნაკრებს კი კვლავ **რამაზ ნიკოლაძე** უთავკაცებს.

დასასრულ, ეროვნული ნაკრების ახალ მწვრთნელს, **ავთანდილ შოშიაშვილს** მოვუსმინოთ: *- ვერ ვიტყვი, რომ ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელობა ჩემთვის მოულოდნელი იყო. ამაზე საუბარი ერთი თვის წინ, დაიწყო. ათი დღეა, რაც დაიწერა ბრძანება ჩემი მთავარ მწვრთნელად დანიშვნის შესახებ, დღეს კი ეს ოფიციალურად გაფორმდა.*

*როდესაც ასეთ თანამდებობაზე ინიშნები, ეს საკმაოდ დიდი პასუხისმგებლობაა და ამისთვის მზად ვარ. ჩემი და საერთოდ, კრივის ფედერაციის მიზანია, რომ კვლავ ჩამოვაყალიბოთ ისეთი უმაღლესი, მსოფლიო კლასის გუნდი, როგორიც გვყავდა 90-იან წლებში. ბოლო 6 წელია, ცოტა გაგვიჭირდა და აუცილებლად უნდა დავიბრუნოთ წამყვანი პოზიციები - კვლავ უნდა გვყავდეს ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონები და ოლიმპიურ ოქროზეც უნდა ვიფიქროთ. ქართულ კრივს ნამდვილად აქვს ამის პოტენციალი. ამისათვის ახლავე უნდა დავიწყოთ მუშაობა და წლეულსვე უნდა ჩამოვაყალიბოთ ის ბირთვი, რომელიც მსოფლიო ჩემპიონატზე ღირსეულად იასპარეზებს. პეკინის ოლიმპიადისთვის 2-3 ლიცენზიის მოპოვებას ვგეგმავთ.*

*რაც შეეხება ჩემს წინამორბედს, დავით ცერცვაძე საკმაოდ მაღალი დონის მწვრთნელია - კარგი იქნება, თუკი ასეთი სპეციალისტი გვერდში ამოგვიდგება და ნაკრების მწვრთნელთა საბჭოში მუშაობაზე დაგვთანხმდება.*

**კობა ხატისაშვილი**

ალექსანდრე კორძაშვილის ფოტო



ნოკაუტი. მარცხნივ ლევან შონია, მარჯვნივ ვეფხია ჭილაია

# ნოკაუტი მერვე რაუნდში

## ლევან შონია ინგლისში მიდის

კინოთეატრ "რუსთაველში" გუშინ გაიმართა პროფესიონალ მოკრივეთა ორთაბრძოლა. UBO-ს ქამრის საპრეტენდენტო ორთაბრძოლაში ერთმანეთს დაუპირისპირდნენ ქართველი მოკრივეები - **ლევან შონია** და **ვეფხია ჭილაია**. მათ შორის გამარჯვებულს შანსი ეძლეოდა, გაზაფხულზე ლონდონში წასულიყო და UBO-ს (ევროპის უნივერსალური ორგანიზაცია, იგივე ევროპის კლუბების გაერთიანება) ქამრისთვის ებრძოლა.

ბრძოლა ათრაუნდიანი იყო, "რუსთაველში" კი საკმაოდ ბევრმა გულშემატკივარმა მოიყარა თავი. თუკი მაყურებელთა ოვაციების მიხედვით ვიმსჯელებთ, შონიას მეტოქეზე უფრო მეტი ქომაგი ჰყავდა. შეხვედრის წამყვანი იყო ცნობილი მსახიობი **გივი სიხარულიძე**, რეფერი კი ტრადიციულად, **კოტე ბერძენიშვილი** გახლდათ.

ბრძოლა საკმაოდ დაძაბულად და საინტერესოდ წარიმართა. საწყისი დაზვერვის შემდეგ, მეტოქეებმა უკანმოუხედავად შეუტიეს ერთმანეთს და თვალსასეირო ჩხუბი გააჩაღეს. მართალია, ოდნავ უპირატესობას შონია ფლობდა, მაგრამ საქმე იქითკენ მიდიოდა, რომ გამარჯვებული ქულათა რაოდენობას უნდა გამოერკვია. თუმცა, მერვე რაუნდში, შონიამ მთელი ენერგია მოიკრიბა, ჭილაია კუთხესთან მიიმწყვდია და მძლავრი დარტყმების სერიით დაანოკაუტა. შესაბამისად, ბრძოლა შეწყდა, ლევან შონიამ UBO-ს ქამრისთვის ბრძოლის უფლება დამსახურებულად მოიპოვა.

შეხვედრის დასრულების შემდეგ, საქართველოს პროფესიული კრივის ფედერაციის გენერალურ მდივანს **ზურაბ კიკნაველიძეს** გავესაუბრეთ.

- დამეთანხმებით, საკმაოდ დაძაბული და ლამაზი ბრძოლა გამოდგა. ჩვენ სწრაფი ნაბიჯებით მივიწევთ წინ და არაერთი ნიჭიერი ახალგაზრდა გვყავს. რამდენიმე მოკრივეს უკვე რეალურად შეუძლია საერთაშორისო ასპარეზზე დიდი მიზნებისთვის ბრძოლა. მათი ერთადერთი ნაკლი გამოუცდელობაა, მაგრამ ნელ-ნელა ესეც მოვა.

ლევან შონიამ დღევანდელი მოგებით გაინაღდა UBO-ს ქამრისთვის ბრძოლის უფლება. იგი ამ ტიტულისთვის მარტის დასაწყისში იჩხუბებს ლონდონში. მალე მისი მეტოქის ვინაობას და ორთაბრძოლის ზუსტ თარიღს გვეტყვიან.

აქვე იმასაც გეტყვით, რომ თებერვლის მეორე ნახევრიდან, ვერის ბაღის კალათბურთის სასახლეში ორთაბრძოლებს განვაახლებთ და დავიწყებთ საქართველოს ქამრების გათამაშებას. სულ შვიდი წონითი კატეგორიაა და, შესაბამისად, შვიდი კვირის განმავლობაში, ყოველ ხუთშაბათს, ერთ ქამარს გავათამაშებთ. საქართველოს ქამრების მფლობელებს საშუალება ექნებათ, სერიოზული საერთაშორისო ტიტულებისთვის იბრძოლონ.

**კობა ხატისაშვილი**



# სპორტის სასახლეს ინვესტორი გამოუჩნდება

როდის დაადგება საშველი თბილისის სპორტის სასახლეს? ეს კითხვა დიდი ხანია დგას დღის წესრიგში და მეტის დახანება აღარ შეიძლება. დედაქალაქის მერიამ გადაწყვიტა, სასწრაფოდ გამონახოს ინვესტორი, რათა აღდგეს და ქვეყნის მთავარმა ჭერქვეშა სარბიელმა ნორმალურად იფუნქციონიროს.

სპორტის სასახლის გადაცემის მოთხოვნით არაერთხელ გამოვიდა საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტისა და ოლიმპიური ფონდის პრეზიდენტი, ბიზნესმენი **ბადრი პატარკაციშვილი**. ინვესტიციის ჩადების სურვილი, როგორც ამბობენ, გამოუთქვამს ბიზნესმენ **ბიძინა ივანიშვილსაც**.

ეროვნული სტადიონის რეკონსტრუქციის მაგალითმა ყველას თვალნათლივ დაანახვა თუ რა სიკეთის მოტანა შეუძლია კერძო დაინტერესებას. მოთხოვნა აქაც პრინციპულია - სპორტის სასახლეს უნდა შეუნარჩუნდეს ძირითადი ფუნქცია.

*"საჭიროა კაპიტალური რემონტი იატაკიდან დაწყებული თაღით დამთავრებული, ყველაფერი მოსაწესრიგებელი და გასაახლებელია. შესაცვლელია კომუნიკაციური ქსელები, დასამონტაჟებელია კონდიცირებისა და გათბობის სისტემები, დასამატებელია გასახდელები. მოკლედ, ყველაფერი მოძველებული კი არა, მწყობრიდანაა გამოსული."*, - აცხადებს სპორტის სასახლის დირექტორი, ვეტერანი კალათბურთელი **ვალერი ლომაძე**.

თბილისის მერია ინვესტორს რამდენიმე დღეში დაასახელებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა



კალათბურთი. საქართველოს თასი

# აზოტი სეზონის მესამე თასს უმიზნებს

**საქართველოს თასი**

**პარასკევი**
14:00 თსუ–დინამო
16:00 ავიამშენი–მაკაბი

**შაბათი**
14:00 ავიამშენი–სტუ
16:00 თსუ–აზოტი

**კვირა**
14:00 აზოტი–დინამო
16:00 სტუ–მაკაბი

**ორშაბათი. 16:00 ფინალი**

დღეს ვერის ბაღის სკალათბურთო დარბაზში საქართველოს თასის მე-5 გათამაშება დაიწყება. ტურნირში მონაწილე ექვსი გუნდი (თსუ, "აზოტი", "დინამო", "ავიამშენი", "მაკაბი" და სტუ) ორ ჯგუფად გაიყო, გამარჯვებულები კი ორშაბათს ფინალში ითამაშებენ. მოკლედ, ტურნირის ფორმატი ისეთივეა, როგორიც ქორქია-საკანდელიძის მემორიალისა.

შეგახსენებთ, რომ 2003 წლის იანვარში საქართველოს თასის პირველი გათამაშებაც იმავე ფორმატით გაიმართა, ფინალში "აზოტი" და "ბასკო" გავიდნენ და გამარჯვება ბათუმელებს დარჩათ - 85:77. "ბასკო" თასზე მწვრთნელის **ნუგზარ კანდელაკის, გიორგი ცინცაძისა** და **ზვიად ბაბიაშვილის** გარეშე თამაშობდა - ისინი იტალიურ ტრევიზოში იმყოფებოდნენ "ბენეტონის" მიწვევით.

2004 წელს საქართველოს თასი მოიგო **დრაჟენ ბრაიკოვიჩის** "დინამომ", რომელმაც ფინალში სტუ 75:72 სძლია. მატჩი საინტერესოდ დასრულდა - ბოლო წამებზე ანგარიშის გასათანაბრებლად სტუ-ს საკმარისი დრო ჰქონდა, მაგრამ **არმენ ოგანესიანმა** პარტნიორის სამქულიანის სასროლ პოზიციაზე გაყვანის ნაცვლად ფარქვეშ შეჭრა გადაწყვიტა. 2004 წლის გათამაშება სამ ეტაპად ჩატარდა - პირველს რუსთავმა უმასპინძლა, მეორეს - ბათუმმა, მესამე (ფინალურ ოთხეულს) - თბილისმა.

თასის მატჩები მესამედაც რუსთავში გაიმართა. ნახევარფინალში მასპინძლები "თბილავიამშენთან" დამარცხდნენ, ხოლო ავიატორებმა ფინალში სტუს ვერაფერი დაუპირისპირეს - 84:90.

წინა შეჯიბრებებისგან განსხვავებით, 2006 წელს ჯგუფური ტურნირი არ გამართულა. ოთხი გუნდი ბრძოლაში პირდაპირ ნახევარფინალიდან ჩაერთო. ფინალში **დავით უსტიაშვილის** თსუ და "ავიამშენი" გავიდნენ. გამარჯვება უნივერსიტეტელებს დარჩათ, ოღონდ ამისთვის ოვერტაიმი გახდა საჭირო.

2007 წელს "ავიამშენი" ზედიზედ მესამე ფინალს ითამაშებს! ამის წინასწარმეტყველება იოლია, რადგან ჯგუფში "მაკაბისა" და სტუ-სთან მოხვდა. მეორე ჯგუფი შეადგინეს "აზოტმა", "დინამომ" და თსუ-ს. აქ გადამწყვეტი შაბათს, რუსთაველებისა და სტუდენტების დაპირისპირება უნდა გამოდგეს.

თასის მე-5 გათამაშების მონაწილეთა მზადყოფნაზე გუშინ მწვრთნელებმა და მოთამაშეებმა პრესკონფერენციაზე ისაუბრეს.

კაფე "მსოფლიო სპორტში" არ გამოცხადდა 3 მატჩით დისკვალიფიცირებული სტუ-ს თავკაცი **ნიკო ჩერქეზიშვილი**. მის ნაცვლად ტექნიკოსთან შესახებ სნაიპერმა **ნოდარ ბერაიამ** ისაუბრა: - „ფინალში გასვლის სურვილი გვაქვს, მაგრამ სიტუაციას რეალურად რომ შევხედოთ, ჩვენი ჯგუფის ფავორიტი "ავიამშენია". ვეცდებით, ღირსეული წინაალმდეგობა გავუწიოთ, თუმცა სამი წამყვანი მოთამაშე დაშავებული გვყავს: გიორგი ბარბაქაძეს საზარდული აწუხებს, გულივერ ახალკაცსა და შალვა კოხრეიძეს - ფეხი".

"მაქაბის" მწვრთნელმა, **ჯამლეტ ხუხაშვილმა** სასიამოვნო ამბავი გვამცნო: „პრესკონფერენციაზე წამოსვლამდე ნახევარი საათით ადრე სპორტული სააგენტო WMG-სგან ოფიციალური წერილი მივიღეთ, რომლის მიხედვით მე და გიორგი შერმადინი ლას ვეგასში NBA-ს ვარსკვლავთა მატჩზე ვართ მიწვეულნი. 14-18 თებერვალს, გიორგი ამერიკელთა მეთვალყურეობის ქვეშ ივარჯიშებს. ახლა, რაც შეეხება საქართველოს თასს. "მაქაბის" ამოცანა აქაც ახალგაზრდა მოთამაშეების სათანადოდ გამოწვრთნაა. ამიტომ ტურნირის მოგებას მიზნად არ ვისახავთ. თუმცა რუსთავში თსუ-ს თანაბრად ვეთამაშეთ და სენსაციასთანაც ახლოს ვიყავით"..."

**გიორგი შერმადინი:** ("მაკაბის" ცენტრი): „ჯგუფის ბოლო მატჩში სტუ-ს ვხვდებით და ვეცდებით მეორე ადგილი არ დავუთმოთ. "ავიამშენსაც" ბრძოლას ვპირდებით".

ავიატორთა მეორე მწვრთნელის, **ვაჟა მხეიძის** თქმით, მისი გუნდი თასის მატჩებისთვის კარგადაა მომზადებული და მესამე ცდაზე თასის მოგებას გეგმავს: - მინდა, ყურადღება გავამახვილო ერთ ფაქტზე - სეზონის დაწყების შემდეგ "ავიამშენი" მინიმუმ ერთი ტრავმირებული მაინც იყო, ახლა, საბედნიეროდ ყველა ჯანმრთელადაა.

**ზვიად ბაბიაშვილი** ("ავიამშენის" ფორვარდი): „რუსთავში ქორქია-საკანდელიძის მემორიალზე ფინალში ვერგასვლის გამო ჩვენი ქომაგების წინაშე რეაბილიტაციას თასის მოგებით შევეცდებით. ამისთვის ყველა მზად ვართ".

B ჯგუფელთა შანსებზე "დინამოს" მწვრთნელმა **ზაზა ცაგარეიშვილმა** ილაპარაკა: „ჯგუფის ფავორიტებად თსუ და "აზოტი" მიიჩნევიან, მაგრამ მინდა გავაფრთხილო, რომ არც ჩვენთან ელით იოლი გასეირნება. ისევ როგორც წინა ტურნირზე, ახლაც ახალგაზრდებს მივცემთ თავის გამოჩენის შანსს და განაცხადში მყოფ ყველა კალათბურთელს გამოვცდით".

**ზურაბ ბადრიძე** ("დინამოს" გამთამაშებელი): „ძლიერი მოწინაალმდეგეების წინაალმდეგ თამაში ყოველთვის საინტერესოა. იმედი მაქვს, მთლიანად ტურნირიც საინტერესოდ ჩაივლის".

თსუ-ს მეორე მწვრთნელმა **გია ჯავახიშვილმა** აღნიშნა, რომ მისი გუნდი თასის მატჩებისთვისაც ისეთივე მონდომებით ემზადება, როორც რუსთავში გამართული მემორიალისთვის: „ტვინის მსუბუქი შერყევის გამო დაგვაკლდება შიო ხეცურიანი, თუმცა მის გარეშეც ვეცდებით მაქსიმალური შედეგის ჩვენებას".

**ბესიკ ლეჟავა** (თსუ-ს მსროლელი): „ქორქია-საკანდელიძის მემორიალი დაძაბულ ბრძოლაში წავაგეთ. იმ მატჩში მოგება ნამდვილად შეგვეძლო და რეაბილიტაციას საქართველოს თასის გათამაშებაში ვგეგმავთ".

"აზოტის" თავკაცმა **დავით უსტიაშვილმა** მემორიალი გაიხსენა: „ტურნირი კარგად იყო ორგანიზებული და საინტერესოდ ჩაიარა. ჩვენს გამარჯვებაში დიდი წვლილი ქომაგებს მიუძღვით. დადიანისა და ქორქია-საკანდელიძის თასების მოგების შემდეგ გვინდა საქართველოს თასიც ავიღოთ. რა გამოგვივა, მალე გამოჩნდება".

**ვაჟა სიმონიშვილი**
ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტოები

**A ჯგუფი: დინამო, თსუ, აზოტი**


ზურაბ ბადრიძე, დინამო


გელა ჯავახიშვილი, თსუ


დავით უსტიაშვილი, აზოტი

**B ჯგუფი: თბილავიამშენი, მაკაბი, სტუ**


ზვიად ბაბიაშვილი, ავია


გიორგი შერმადინი, მაკაბი


ნოდარ ბერაია, სტუ

ჭადრაკი

საქართველოს ჩემპიონატი. პირველი ლიგა

# ჭადრაკი და მკლავჭიდი

მეექვსე ტურის შემდეგ ისევ ორი ლიდერი გვყავს, მაგრამ გუშინ **ინგა ჭარხალაშვილი ბელა ხოტენაშვილმა** ჩაანაცვლა. ესენი გუშინ ერთმანეთს ხვდებოდნენ. თეთრებით ჭარხალაშვილი იყო, მაგრამ ბელამ შეძლო უკეთესი პოზიციის მიღება და გამარჯვება. ხოტენაშვილმა 5 ქულა დააგროვა, ჭარხალაშვილს გაუსწრო და **სოფიკო ხუხაშვილს** დაეწია - სოფიკომ შავებით **ნათია ჯანჯღავას** გაუყო ქულა. ჯანჯღავასა და ჭარხალაშვილს 4.5 ქულა აქვთ და ლიდერებს კვალში უდგანან.

ჯანჯღავას კარგა ხანია, სერიოზული ჭადრაკი არ უთამაშია. რამდენიმე წლის წინ ოჯახი შექმნა, შემდეგ დედაც გახდა და მხოლოდ ბლიცით თუ შეიქცევდა ხოლმე თავს. მისი დაბრუნება ქალთა ჭადრაკს უთუოდ მეტ ინტრიგას შესძენს. მართალია, გაცდენილმა დრომ გარკვეული დაღი დაასვა მის თამაშს, მაგრამ დიდი არაფერი. ნათიას დღეს ხოტენაშვილთან შავებით მოუწევს თავის დაცვა და თუ წარმატებით ჩააბარა მცირე გამოცდა, ალბათ ექვსეულში მოხვედრა არ გაუჭირდება.

ექვსეულისკენ სერიოზული ნაბიჯი გადადგა **მაკა ფურცელაძემ**, რომელმაც შავებით რეიტინგით პირველ ნომერს, **თამარ წერეთელს** აჯობა. მაკასაც 4.5 ქულა აქვს და დღეს შავებით ითამაშებს ხუხაშვილთან.

თამარ წერეთლის სუსტი თამაში მოულოდნელი კი არის, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ თამარი საქართველოს მკლავჭიდელ ქალთა ლიდერიც გახლავთ და ბოლო დროს ამ საქმეს უთმობდა დიდ ყურადღებას, შედეგი ლოგიკურად მოგეჩვენებათ. იმედია, თამარი ორივე ფრონტზე შეძლებს მაღალი შედეგის ჩვენებას.

ცუდი სტარტი გამოაკეთა **სოფიკო ნიკოლაძემ**. მეექვსე ტურში **რუსუდან ჭკუასელი** დაამარცხა, 4 ქულა გაუხდა და ექვსეულში მოხვედრის შანსიც გაუჩნდა.

მეშვიდე ტური ალბათ უკვე გამოკვეთს დაახლოებით ათკაციან ჯგუფს, რომელიც საგზურისთვის ბრძოლას გააგრძელებს. სულ 9 ტურია სათამაშო.

დღეს: **ხუხაშვილი (5)-ფურცელაძე (4.5); ხოტენაშვილი (5)-ჯანჯღავა (4.5); ჭარხალაშვილი (4.5)-ბაციაშვილი (4); მიქაძე (4)-ნიკოლაძე (4); ბუცხრიკიძე (3.5)-წერეთელი (3.5); ყორყოლიანი (3.5)-გურამიშვილი (3.5); ზარქუა (3.5)-ვახანია (3.5); წანალაშვილი (3)-ხაჟომია (3.5); ტერელაძე (3)-ჯალაბაძე (3).**


თამარ წერეთელი

**ზვიად შათირიშვილი**

ანტიკური ჭიდაობა

# კრეტეისაკენ

ამ დილით საქართველოს ნაკრები საფრანგეთში გაფრინდა - 27-28 იანვარს, კრეტეის საერთაშორისო ტურნირზე საჭიდაოდ. ესაა ტრადიციული შეჯიბრება, რომელში გამოსვლაც ჩვენებმა ბოლო წლებში ტრადიციად აქციეს.

ვინაიდან ფრანგული შეჯიბრება ევროპის ჩემპიონატისთვის მზადების პირველი ეტაპია, ნაკრების თავკაცმა **ბეგი დარჩიამ** უძლიერეს შემადგენლობას უხმო, თუმცა რამდენიმე ლიდერი მაინც დააკლდა. დარჩიას კრებული ასეთია: **ლაშა გოგიტაძე** (55), **დავით ბედინაძე და რევაზ ლაშხი** (60), **ილია გულბათაშვილი** (66), **მანუჩარ კვირკველია და გენადი გოგიშვილი** (74), **ბადრი ხასაია** (84), **რამაზ ნოზაძე** (96) და **რევაზ ჭელიძე** (120).

საქართველოს ახალ ჩემპიონთაგან ამ შემადგენლობას **ირაკლი ჭოჭუა** (55), **ელიზბარ მაჭუტაძე** (66) და **შმაგი სახლთხუციშვილი** აკლია. პირველ ორს მწვრთნელი ასვენებს - ქვეყნის პირველობა ახლახანს ჩატარდა, მათ კი ზედმეტი წონა აწუხებთ და ამ ეტაპზე არ აკლებინებენ. სახლთხუციშვილის წაყვანა კი სურდათ, მაგრამ საბუთების გაფორმება დაგვიანდა.

ევროპის პირველობა 17-22 აპრილს სოფიაში ჩატარდება. იქ წასვლამდე ჩვენები კიდევ ორ ტურნირში გამოვლენ - 24-25 თებერვალს ანთალიაში მსოფლიო თასზე იჭიდავებენ, 1-4 მარტს კი ტაშკენტში „ოქროს დიდ პრიზზე" გამოვლენ.

თავდაპირველად ანთალიის ნაცვლად ზუსტად იმავე დღეებში საბერძნეთში გამოსვლა იგეგმებოდა, მაგრამ საბოლოოდ მაინც მსოფლიო თასზე ჭიდაობა ამჯობინეს. არჩევანი მარტო ტურნირის რანგმა არ განაპირობა - კრეტეიში გუნდური ტურნირი ეწყობა და ყოველ მოჭიდავეს ოთხი ბრძოლის გამართვა აუცილებლად მოუწევს, პირად ტურნირზე კი შეიძლება, გამოსვლა პირველივე შეხვედრით დაამთავროს.

**ირაკლი თავაძე**

# ვიცე-პრეზიდენტმა მოიგო

საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის ახალმა ხელმძღვანელობამ ნოვაცია დანერგა: ჭადრაკის სასახლეში ყოველ ხუთშაბათს ბლიც-ტურნირებს ჩაატარებს. საპრიზო ფონდი მონაწილეთა მიერ შეტანილი თანხებით შეიქმნება. თანხა დიდი არაა - 5 ლარი, საპრიზო ფონდს კი შენატანის 75% მოხმარდება.

თითქოს განსაკუთრებული არაფერია, მაგრამ ინტერესი მაინც დიდი გამოიწვია და გუშინ, პირველ ტურნირში, ლამის ყველა უძლიერესმა დიდოსტატმა თუ საერთაშორისო ოსტატმა მიიღო მონაწილეობა. უძლიერესებთან დამწყებმა მოჭადრაკეებმაც მოსინჯეს ძალა.

ტურნირი 9 ტურად ჩატარდა. პირველი ადგილი 7 ქულით ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა, დიდოსტატმა **ვალერიან გაფრინდაშვილმა** დაიკავა. 7 ქულა დააგროვა **ლევან ფანცულაიამაც**, მაგრამ მას კოეფიციენტი აღმოაჩნდა უარესი. მესამე ადგილი **მალხაზ სულაშვილს** ერგო - 6.5 ქულა. საპრიზო ფონდი ამ სამეულზე გადანაწილდა. ჯილდო ბევრი არ გამოვიდა, მაგრამ იმედია, მომავალ ტურნირებში მონაწილეთა რაოდენობა მოიმატებს. გუშინ კი 34-მა მსურველმა მოიყარა თავი.

# ბავშვთა სპორტზე იმსჯელებენ

ახლა ბევრს ლაპარაკობენ, სხვათა შორის, შეშფოთებითაც, რომ ბავშვთა სპორტსკოლების გადართვა თვითდაფინანსებაზე კარგს არაფერს მოიტანს და შეიძლება, გამოუსწორებლად ავნოს ქართული სპორტის ინტერესებს. ამ საკითხში თავისი პოზიცია დააფიქსირა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ და წერილობით აცნობა კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს. "ლელომ" პრობლემასთან დაკავშირებით თავისი დამოკიდებულება ერთხელ უკვე გაამხილა. გუშინ რედაქციაში გვაცნობეს, რომ ორშაბათს, 29 იანვარს, 12 საათზე, სპორტის დეპარტამენტში, განათლების მუშაკებთან ერთად, რომელთა შორის ბავშვთა და მოზარდთა სპორტსკოლების დირექტორებიც იქნებიან, დაწვრილებით იმსჯელებენ აქტუალური პრობლემის მოგვარების გზებზე. ივარაუდება განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს კონცეფციის განხილვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## კალათბურთი

**ბოსტონი–ატლანტა 76:82**

28:10, 16:19, 18:27, 14:26

**ბოსტონი:** დელონტე უესტი (18 ქ. 6 პ. 4 მ), პერკინსი (15 ქ. 12 მ), ჯ. გრინი (13 ქ. 8 მ. 3 პ), ელ ჯეფერსონი (11 ქ. 10 მ. 4 დ).

**ატლანტა:** ჯოშ სმიტი (21 ქ. 11 მ. 3 დ. 2 ჩ), ჯო ჯონსონი (21 ქ. 7 მ. 4 პ), ჩილდრესი (14 ქ. 6 მ), **ზაზა ფაჩულია (27 წთ. 10 ქ. 9 მ. 1 პ. 1 ჩ).**

| | |
|---|---|
| **I მეოთხედი** | |
| 07:39 | ფაჩულიამ ლ. რაიტი შეცვალა |
| 06:47 | ორქულიანი ტყორცნა: 2 ქ (3:10) |
| 05:21 | მოხსნა: 1 (შეტ: 1, დაც: 0) |
| 05:20 | ორქულიანი: პერკინსმა დაუფარა |
| 05:19 | მოხსნა: 2 (შეტ: 2, დაც: 0) |
| 02:06 | ფაჩულიაზე გომესი დაჯარიმდა |
| 02:06 | საჯარიმოები: 2/0 |
| 01:26 | ორქულიანი ტყორცნა: 4 ქ (8:21) |
| **II მეოთხედი** | |
| 08:29 | ფოლი: 1 |
| 08:29 | ფაჩულია ჯოშ სმიტმა შეცვალა |
| **III მეოთხედი** | |
| 06:24 | ფაჩულიამ ლ. რაიტი შეცვალა |
| 05:10 | მოხსნა: 3 (შეტ: 2, დაც: 1) |
| 04:36 | ორქულიანი: ჯეფერსონმა დაუფარა) |
| 04:11 | ორქულიანი ტყორცნა: 6 ქ (53:57) |
| 02:02 | მოხსნა: 4 (შეტ: 2, დაც: 2) |
| 01:48 | ფოლი: 2 (შეტევაში) |
| 01:48 | შეცდომა: 1 (შეტევაში) |
| 01:34 | მოხსნა: 5 (შეტ: 2, დაც: 3) |
| 00:53 | ორქულიანი ტყორცნა: არაზუსტი |
| 00:02 | მოხსნა: 6 (შეტ: 3, დაც: 3) |
| **IV მეოთხედი** | |
| 10:15 | ორქულიანი: პოუმ დაუფარა |
| 09:40 | მოხსნა: 7 (შეტ: 3, დაც: 4) |
| 08:07 | ფაჩულიაზე პერკინსი დაჯარიმდა |
| 08:07 | საჯარიმოები: 2/2 (8 ქ. 64:62) |
| 06:50 | ფოლი: 3 (რონდოზე დაჯარიმდა) |
| 05:52 | შეცდომა: 2 (ბურთი გადაუშვა) |
| 05:25 | ფოლი: 4 (შეტევაში) |
| 05:25 | შეცდომა: 3 (ფოლი შეტევაში) |
| 05:15 | ჩაჭრა: 1 (გრინს ჩაუჭრა) |
| 04:15 | მოხსნა: 8 (შეტ: 4, დაც: 4) |
| 03:35 | მოხსნა: 9 (შეტ: 4, დაც: 5) |
| 03:13 | ორქულიანი ტყორცნა: 10 ქ (72:66) |
| 02:35 | პასი: 1 (ჯოშ სმიტი, 2 ქ. 74:66) |
| 01:38 | ფაჩულია ლიუმ შეცვალა |
| 00:43 | ფაჩულიამ ს. სტაუდმაიერი შეცვალა |
| 00:43 | აივიმ ფაჩულია შეცვალა |

**ზაზა ფაჩულია:** 36 მატჩი, 28.4 წუთი, 12.0 ქულა, 6.7 მოხსნა, 1.7 პასი, 1.1 ჩაჭრა, 0.5 დაფარება, 2.3 შეცდომა, 3.5 ფოლი.

**ატლანტა ჰოქსი:** 40 მატჩი, 14 მოგება, 26 წაგება, მეოთხე ადგილი სამხრეთ-აღმოსავლეთის დივიზიონში, მე-12 ადგილი აღმოსავლეთის კონფერენციაში.

**მომდევნო მატჩი:** ორლანდო-ატლანტა (26 იანვარი).

ქართველები NBA-ში

# რა ბერდი, რის უილკინსი?!

"ატლანტას" გაუმართლა, რომ დღესდღეობით "ბოსტონ სელტიქსს" თითქმის არცერთი ძლიერი მოთამაშე არ შერჩა, ხოლო დღევანდელი შემადგენლობით ლიგის ყველაზე ტიტულოვანი გუნდი თითქმის ყველასთვის იოლი დასამარცხებელია.

**ზაზა ფაჩულია** ამჯერადაც რეზერვში იყო, თუმცა მისთვის გამოყოფილი სათამაშო დრო კვლავ ნაყოფიერად გამოიყენა და ძალიან ბევრის გაკეთებაც მოასწრო. ცუდია, რომ ჩვენს ზაზას ამჯერადაც ბლომად დაუფარეს, თავად ზაზამ კი წინა მატჩისგან განსხვავებით, ერთხელაც ვერ დააფარა.

"ბოსტონმა" შეხვედრა ძალიან კარგად დაიწყო და 5 წუთის გასვლის მერე მასპინძლები 7:0 იგებდნენ. "ატლანტის" პირველი ქულა საჯარიმოთი **ჯოშ ჩილდრესმა** აიღო, რომელმაც მანამდე ორი ფოლით შემკობილი **ჯო ჯონსონი** შეცვალა. "სელტიქსს" ტემპი არც ამის შემდეგ დაუგდია და შუალედში ფაჩულიას მიერ საშუალო მანძილიდან ზუსტ სროლას მასპინძლებმა კიდევ 8 ქულით უპასუხეს და პირველი მეოთხედის მე-7 წუთზე "ბოსტონი" წინ 15:3 გაიჭრა.

ანგარიში იზრდებოდა ჯერ 19:4, მერე 26:10, ბოლოს კი **დელონტე უესტის** ორი ზუსტი საჯარიმოთი "ბოსტონმა" პირველი მეოთხედი 28:10 მოიგო.

ფაჩულია მეორე მეოთხედს მოედანზე იწყებს, თუმცა როგორც კი ქართველი პირველ პერსონალურ შენიშვნას იღებს, მაიკ ვუდსონს მის ნაცვლად მოედანზე **ჯოშ სმიტი** შეყავს. ფაჩულიას მოედნიდან გაყვანას ბევრი არაფერი შეუცვლია და "ატლანტამ" ისღა მოახერხა, რომ იმავე ჩილდრესის აქტიურობით (პირველ ნახევარში 7 ქულა) დიდი შესვენებისთვის ჩამორჩენა სამი ქულით (29:44) შეამცირა.

აი, ამის მერე კი "სელტიქსი" გაიყინა, "ატლანტის" რიგებში კი გამოფხიზლდნენ სმიტი და **ჯო ჯონსონი**. პირველმა მესამე 12-წუთეულის სტარტზე ზედიზედ 6 ქულა დააგროვა, სულ კი მეოთხედი 13 ქულით დასრულა. უკანასკნელი მეოთხედის დაწყებამდე "სელტიქსი" მხოლოდ 6 ქულას იგებდა.

ფაჩულიასთვის ყველაზე უხვმოვლენიანი სწორედ მეოთხე მეოთხედი იქცა. ზაზამ დროის ამ მონაკვეთში 3 მოხსნა და 4 ქულა დააგროვა და ძირითადის დასრულებამდე ორწუთნახევარი რომ იყო დარჩენილი, მისი ბრწყინვალე პასის შემდეგ სმიტმა კონტრშეტევა ეფექტური სროლით დაასრულა და "ატლანტა" 74:66 გავიდა წინ.

"ბოსტონი" ამის მერე გატყდა და მაქსიმუმი, რისი გაკეთებაც მასპინძლებმა მოახერხეს, **სებასტიან ტელფეირის** ზუსტი სროლით ჩამორჩენა ხუთ ქულამდე (71:76) დაიყვანეს. "ატლანტამ" დამაჯერებლად მიიყვანა მატჩი გამარჯვებამდე და ამ მოგებით სამმატჩიანი წარუმატებელი სერია დაასრულა.

"ბოსტონს" მესამე მეოთხედიდან მოყოლებული უკანასკნელი პერიოდის მე-6 წუთამდე, 8 წუთის განმავლობაში ერთი ქულაც არ გაეკეთებინა, რაც მიმდინარე რეგულარულში ამ გუნდის ანტირეკორდი გახლავთ.

მატჩის შემდეგ ჯონსონი ორი მიზეზის გამო მასმედიელთა გარემოცვაში მოექცა. ჯოს ჯერ ის ჰკითხეს, **ბერდისა** და **უილკინსის** დაპირისპირებაზე გაზრდილ კაცს, "ატლანტისა" და "ბოსტონის" აუტსაიდერობაზე რა აზრი გაქვსო.

*"ბერდისა და დომინიკის ეპოქა საბოლოოდ ჩაბარდა წარსულს. ეს კალათბურთის ისტორიაში ყველაზე დიდი პერიოდი იყო. ახლა კი სხვა თაობაა, რომელიც უფრო ძალისმიერ და ნაკლებად სანახაობრივ კალათბურთს თამაშობს"*, - განაცხადა ჯომ.

მეორე კითხვა და შესაბამისად, პასუხი კი მის "ფინიქსში" შესაძლო დაბრუნებას ეხებოდა.

*"თუ ჩემი დატოვება უნდოდათ, რალატომ მიშვებდნენ? გავიგე, რომ "ფინიქსი" "ატლანტაში" ჩემ ნაცვლად ლეანდრო ბარბოსას უშვებს, მაგრამ არა მგონია, ეს ტრანსფერი წელს განხორციელდეს"*. - დაასრულა საუბარი ჯონსონმა.




ფაჩულია ორი ბოსტონელის გარემოცვაში

**ზურაბ თალაკვაძე**

# ხუთეულში თუ სკამზე?

## ლორენცენ რაიტი ფაჩულიას დაცვაში თამაშით სჯობს

უკვე რამდენიმე თამაშია, **ზაზა ფაჩულიამ** "ატლანტის" ძირითად ხუთეულში ადგილი დაკარგა.

"ბოსტონ სელტიქსთან" 15 იანვარს მოგებული მატჩი **ზაზამ** სათადარიგოთა სკამზე დაიწყო, თუმცა, 12 ქულა მაინც მოაგროვა, ხოლო მის ნაცვლად ძირითადში მყოფი, 32 წლის **ლორენცენ რაიტის** ანგარიშზე 20 წუთში მხოლოდ 5 ქულა და 6 მოხსნა იყო. ფაჩულიამ რაიტზე მეტად იაქტიურა და სულ რაღაც 18 წუთში 10-დან 10 საჯარიმო გამოიყენა მაშინ, როდესაც ლორენცენმა მხოლოდ 2 ერთქულიანი სროლა შეასრულა.

მომდევნო თამაში "ატლანტამ" ასევე სტუმრად, "მინესოტასთან" მოიგო". "ჰოქსმა" **კევინ გარნეტის** გუნდი 105:88 დაამარცხა და რაიტის მონაგარი ამჯერადაც მოკრძალებული იყო. 26 წუთში ლორენცენმა 6 ქულა და ამდენივე მოხსნა დააგროვა, მაშინ, როდესაც ზაზას ანგარიშზე ნაკლებ დროში (19 წუთში) 12 ქულა და 4 შედეგიანი გადაცემა მოვიდა.

"შარლოტთან" ორი დღის განმავლობაში ამდენჯერვე უიმედოდ წაგებულ მატჩებში ორივე ჩრდილში იყო. რაიტმა პირველ მატჩში 2 ქულა და 2 მოხსნა გააკეთა, მეორედ კი მის ანგარიშზე 14 წუთში 6 ქულა და 2 მოხსნა იყო. რაც შეეხება ზაზას, მისი ჯამური ორმატჩიანი მონაგარიც 8 ქულას გაუტოლდა.

მაშ, რით აიხსნება "ატლანტის" მთავარი მწვრთნელის, **მაიკ ვუდსონის** მოულოდნელი გადაწყვეტილება? ჩვენი ამერიკელი კოლეგა **სტივენ მედსენი** ამას ასე ხსნის:

"ატლანტა ჰოქსი" ხუთეულში ფაჩულიათი და მის გარეშე ორი სხვადასხვა გუნდია.

ზაზა ლორენცენ რაიტზე გაცილებით სწრაფია და ძალიან ნაყოფიერია პირველ შეტევაში, რაიტი კი და პოზიციური შეტევისას უფრო კარგად გრძნობს თავს. მთავარი მიზეზი, რის გამოც ვუდსონი ზაზას რაიტს ამჯობინებს, "ჰოქსის" ქართველის არასტაბილური თამაშია დაცვაში.

ზაზა ხშირად აგვიანებს დაზღვევაზე და არცთუ იშვიათად მაშინ გარბის შეტევაში, როდესაც მეტოქის იერიში დასრულებული არ არის და საკუთარ სამწამიანში მოხსნაზე ბრძოლაა საჭირო.

რაიტი ამ მხრივ მეტად ყურადღებიანია, რასაც, პრინციპში, ისიც განაპირობებს, რომ ლორენცენი "ატლანტის" შეტევაში ერთ-ერთ ვარიანტად თითქმის არ მოიაზრება. რაიტი ძირითადად მაშინ აგროვებს ქულებს, როდესაც მისი ოპონენტი სამწამიანში პოზიციურ ბრძოლას აგებს და ლორენცენს ორი ქულის გასაკეთებლად ბურთზე თითის მირტყმაღა სჭირდება. თუ "მემფისში" ყოფნისას რაიტი ერთ მატჩში საშუალოდ თითქმის ორმაგ დუბლს აგროვებდა (2001-02 წლების რეგულარულში მისი საშუალო სტატისტიკა 12.0 ქულა და 9.0 მოხსნა იყო), "ატლანტაში" ტრავმებით დატანჯული და ამის გამო სისწრაფედაკარგული რაიტი ძირითადად პარტნიორებზე ზრუნავს და მთელ ენერგიას დაცვაში თამაშს ახმარს.

ფაჩულიას კი ერთი სული აქვს წინ გაიქცეს. ლაპარაკი არ უნდა იმას, რომ ზაზა დღესდღეობით "ატლანტისთვის" ბევრად სარგებლიანია, ვიდრე ლორენცენი, მაგრამ შეხვედრის დებიუტში ძლიერი მძიმე ფორვარდის ან ცენტრის გამოსაფიტად "ჰოქსს" უფრო რაიტი აწყობს.

ფაჩულია თავის წუთებს მაინც მიიღებს, რადგან ადრე თუ გვიან ლორენცენი გადაიღლება და ვუდსონს მისი დაშავებულთა სიაში იძულებით შეყვანა მოუწევს. ამ შემთხვევაში, ზაზას **ჯოშ სმიტთან** და **ჯოშ ჩილდრესთან** ერთად გაცილებით სწრაფი, მობილური, მაგრამ ავანტიურული შემტევი სამეულის დაკომპლექტება მოუწევს. იმ სამეულისა, რომელსაც სისწრაფეში მხოლოდ "ფინიქსისა" და "ვაშინგტონის" მაღლები თუ აჯობებენ, მაგრამ ისიც ვთქვათ, რომ ეს სამეული (ჯოშ სმიტის ნაწილობრივი გამოკლებით) ვერც პოზიციურ და ვერც ინდივიდუალურ დაცვაში ვერ ივარგებს.

საბოლოოდ იმის თქმა შეგვიძლია, რომ "ატლანტის" დღევანდელი სასტარტო ხუთეული ლორენცენ რაიტთან ერთად გაცილებით სარგებლიანია, ვიდრე ხუთეული, სადაც ცენტრად ზაზა დგას".

## ჩოგბურთი




მაკა ჩახნაშვილი

### მეოთხედფინალში უბრძოლველად

საქართველოს პირველი ჩოგანი **მაკა ჩახნაშვილი** (140) იტალიურ კაპრიოლოში (25 ათასი, ხალიჩა) ისე გავიდა მეოთხედფინალში ოფლისღვრა არ დასჭირვებია. ტრავმის გამო, ტურნირიდან მოიხსნა მისი მეტოქე, გერმანელი **ამანდა კინი** (234). ტურნირის მეოთხედფინალში მაკას მეტოქე იქნება 20 წლის იტალიელი **ჯულია გაბა** (266), რომელმაც აქამდე საკვალიფიკაციო ტურნირიდან გამოაღწია. მაკა ჩახნაშვილი გერმანელ **ტატიანა მალეკთან** (135) ერთად წარმატებით ასპარეზობს წყვილთა თანრიგშიც. კაპრიოლოში ქართულ-გერმანული დუეტი მე-3 ნომრად არის განთესილი. ნახევარფინალში მაკა და ტატიანა პირველ ნომრად განთესილებს, **დარია კუსტავასა** (348) და **მარია კორიტცევას** (337) შეხვდებიან.

### ჩიხლაძემ იტალიელი დაამარცხა

ავსტრიის ქალაქ ზალცბურგთან, ბერგჰაიმის საერთაშორისო ტურნირზე (10 ათასი დოლარი, ხალიჩა) წარმატებით ასპარეზობს საქართველოს მეორე ჩოგანი **ლადო ჩიხლაძე** (545). ლადო მერვედფინალში ტურნირზე მე-4 ნომრად განთესილ 23 წლის იტალიელ **მარკო პედრინის** (433) ხვდებოდა და პირველ სეტში მარცხის მიუხედავად შეძლო გამარჯვება - 4:6, 6:4, 6:3. ლადო ტურნირის მეოთხედფინალში ჩეხ **იაკუბ ჰაშეკსა** და ავსტრიელ **მარტინ ფიშერს** შორის გასამართი ბრძოლის გამარჯვებულს შეხვდება. ჩიხლაძე ამ ტურნირზე წყვილთა თანრიგში არ მონაწილეობს.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ავსტრალიის ღია პირველობა

# ზეჩოგბურთელი როჯერი

ავსტრალიის ღია პირველობაზე ფინალისტები გამოვლინდნენ. ქალების ბადეში ჩემპიონობისთვის იბრძოლებენ ამერიკელი **სერენა უილიამსი** და რუსი **მარია შარაპოვა**, კაცებში კი **როჯერ ფედერერი** შარშან მოპოვებული ტიტულის დასაცავად, ჩილელ **ფერნანდო გონსალესსა** და გერმანელ **ტომი ჰაასს** შორის მოგებულს შეხვდება.

ნახევარფინალში ფედერერის მეტოქე ამერიკელი **ენდი როდიკი** იყო, ვისთანაც შვეიცარიელმა მაესტრომ ამ სეზონში უკვე მოასწრო წაგება (კოოიონგის საჩვენებელი ტურნირის ფინალში), თუმცა გუშინ კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ თანამედროვე ჩოგბურთში ის ცალკე ლიგაშია, დანარჩენები კი უფრო დაბალ ლიგაში.

როდიკმა ეს სეზონი შესანიშნავად დაიწყო. გუშინდლამდე მას თამაში არ ჰქონდა წაგებული და რაც ყველაზე მთავარია, კარგ ფორმაში იმყოფება, რასაც თითქმის ყველა ერთხმად აღნიშნავს. ასე განსაჯეთ, თურმე კორტზე გასვლამდე ფედერერსაც კი ზედმეტად უნერვიულია (თავად აღიარა) - ენდი შესანიშნავ ფორმაშია, რაც კოოინგის ფინალში დამიმტკიცაო.

ასე იყო თუ ისე, ფედერერმა მთელი შეხვედრა უაღრესად მობილიზებულმა ჩაატარა და შავი დღე აყარა ამერიკელს, ვინც ვერაფრით აამოქმედა თავისი "ეისების მანქანა" - სამ სეტში მხოლოდ 4 აუღებელი მოწოდების შესრულება შეძლო. სამაგიეროდ, ფედერერს ყველაფერი გამოსდიოდა - ნებისმიერი პოზიციიდან ახერხებდა ქულების აღებას. შედეგად, დიდი სლემის ზედიზედ მეშვიდე ტურნირის ფინალში გავიდა.

*"ეს ის შემთხვევაა, როცა ყველაფერი გამოგდის. არც კი ვიცი, რით ავხსნა ყოველივე. ეს დაუჯერებელია და გარწმუნებთ, თავადაც გაოცებული ვარ იმით, რომ ასე კარგად ვითამაშე"*, - ნამატჩევს განაცხადა ფედერერმა.

შვეიცარიელმა როდიკის პირველივე სერვის-გეიმი მოიგო, თუმცა მეოთხე გეიმში ამერიკელმა ანგარიშის გათანაბრება შეძლო. იმ მომენტში ვერავინ წარმოიდგენდა, თუ ჩემპიონი შეხვედრას ასე იოლად მოიგებდა. მაგრამ მეცხრე გეიმში როდიკმა უხეირო თამაშით, მეტოქეს კიდევ ერთი ბრეიკის შანსი მისცა და ფედერერმაც ის შესანიშნავად გამოიყენა. მომდევნო სეტში კი, სეტს მორიგი (მეექვსე - სულ შეხვედრაში ათი ჰქონდა) ეისით დაუსვა წერტილი.

აქედან მოყოლებული, კორტზე მხოლოდ ფედერერილა თამაშობდა, ვისაც რეალური წინააღმდეგობა აღარც შეხვედრია. მეორე სეტი ფედერერმა მშრალად, 22 წუთში მოიგო. უფრო მეტიც, მესამე სეტიც ბრეიკით დაიწყო. ზედიზედ 11 გეიმის წაგების შემდეგ, როდიკმა თავის სერვისზე მესამე სეტის მესამე გეიმი მოიგო, რის შემდეგაც მეტოქის სერვისზეც გაიბრძოლა, მაგრამ მიზანს ვერ მიაღწია. თავად რომ შანსი ვერ გამოიყენა, მომდევნო გეიმშივე ფედერერმა დასაჯა - შვეიცარიელმა კიდევ ერთი ბრეიკი აიღო და ამით პრაქტიკულად, გადაწყვიტა კიდეც შეხვედრის ბედი.

ამ შეხვედრის "ცალმხრივობაზე" სტატისტიკური მონაცემებიც მეტყველებს. ის სულ 83 წუთი გაგრძელდა. ფედერერი პრაქტიკულად, წუთში ერთხელ ახერხებდა ქულის აღებას (სულ 83 ქულა), როცა როდიკმა სულ 45 ქულის აღება შესძლო. შვეიცარიელს გაცილებით მეტი უპირატესობა ჰქონდა თამაშიდან აღებულ ქულებში - 45:11-ზე.

ზედიზედ რომ დიდი სლემის მეშვიდე ფინალში გავიდა, ფედერერმა ამით ავსტრალიელი **ჯეკ კროუფორდის** რეკორდი გაიმეორა. ცნობისთვის, კროუფორდმა ზედიზედ მეშვიდე სასლემო ტურნირის ფინალში 1934 წლის უიმბლდონზე ითამაშა.

შარაპოვამ ნახევარფინალში "ოზი კიმის" (ავსტრალიელი კიმი) მეტსახელით ცნობილი **კიმ კლაისტერსი** დაამარცხა. თანაც ისე იოლად, გეგონებოდათ, მის წინააღმდეგ ახალბედა ჩოგბურთელი თამაშობსო. ამ სეზონის შემდეგ კიმი სპორტიდან მიდის და ამდენად, ორმაგად მონდომებული იყო, რათა მელბურნიდან სანუკვარი თასით გაბრუნებულიყო შინ. მაგრამ ხელმოცარული დარჩა.

შარაპოვა კი პირველი რუსი ქალი ჩოგბურთელია, ვინც ავსტრალიის ღიას ფინალში ითამაშებს. მოგების მიუხედავად, მან ამჯერადაც უამრავი შეცდომა (33, ათით მეტი, ვიდრე კლაისტერსმა) დაუშვა. სამაგიეროდ, თამაშიდან გაცილებით მეტ ქულას მოუყარა თავი. რაც მთავარია, გადამწყვეტ მომენტებში გაცილებით ეფექტურად თამაშობდა. მაგალითად, რვიდან ხუთი ბრეიკ პოინტი გამოიყენა, როცა ამ კუთხით კლაისტერსს საშინელი სტატისტიკა (12-ში ორი) ჰქონდა.

რაც შეეხება ფინალში მის მეტოქეს, შარაპოვა ხაზს უსვამს, რომ ტურნირის წინ სერენა მიზნად ჩემპიონობას არ ისახავდა. ამდენად, არც რაიმე აქვს დასაკარგი, რის გამოც ის ლაღად ითამაშებს და კიდევ უფრო სახიფათო იქნებაო.



როჯერ ფედერერი

*"დიდი სლემის ტურნირის ფინალი იოლი არასოდეს ყოფილა. მთავარია, ჩემი თამაში ვითამაშო, დანარჩენს კი ნაკლებ მნიშვნელობას ვანიჭებ. ვიცი, რომ თუ თამაში წამივა, მოგების დიდი შანსი მექნება. ახლა გაცილებით უკეთ ვთამაშობ, ვიდრე ტურნირის დასაწყისში"*, - განაცხადა შარაპოვამ, ვისაც სერენა 2004 წლის უიმბლდონის ფინალში ჰყავს დამარცხებული.

ფინალში დასაკარგი რომ არაფერი ექნება, ამას ხაზს სერენაც უსვამს. ამ სეზონის დასაწყისში ჩემთვის სარეიტინგო პოზიციის გაუმჯობესება იქნებაო - არაერთხელ უთქვამს. **ნიკოლ ვაიდიშოვას**, ვისი კერპიც თავადაა, საათსა და 46 წუთში მოუგო და ძალიან კმაყოფილი დარჩა თავისი თამაშით. თავის მეტოქეზე თქვა, კარიერას რომ ვიწყებდი, ზუსტად ისე თამაშობსო.

მათი შეხვედრა იმით დაიწყო, რომ ჩეხმა ჩოგბურთელმა სერენას სერვის-გეიმი მოიგო და მომდევნო გეიმის შემდეგ 2:0 დაწინაურდა. მაგრამ ამით ამერიკელი გამოაღვიძა. სერენამ მალე ანგარიში გაათანაბრა (3:3). გავიდა ცოტა ხანი და ვაიდიშოვამ კიდევ ერთ ბრეიკს მიაღწია (5:4), რის შემდეგაც თავის მოწოდებაზე სეტ პოინტი მიიღო, მაგრამ მისი გამოყენება ვერ მოახერხა - ბურთი ბადეს მოახვედრა.

ამ საჩუქრის არგამოყენება უილიამსს არ შეეძლო და მან ის დიდსულოვნად მიიღო - ანგარიში გაათანაბრა. ტაიბრეიკზე ამერიკელი დაწინაურდა (4:1, 5:2), მაგრამ შემდეგ ზედიზედ ორი ორმაგი შეცდომა დაუშვა, რითაც ჩეხს ანგარიშის გათანაბრების შანსი მისცა. თუმცა ამან ეს შანსი ვერ გამოიყენა.

მეორე სეტის დასაწყისი ამერიკელისა იყო - 5:1. აქ ჩეხი გამოცოცხლდა, რომელმაც ზედიზედ ორი გეიმი მოიგო. მეცხრე გეიმში, საკუთარ სერვისზე, მან ოთხი მატჩ პოინტი მოიგერია, მაგრამ ზედიზედ მეორე ბრეიკი აღარ გამოუვიდა. სერენამ რომ მეხუთე მატჩ პოინტზე ქულა აიღო, ის ქულა ჩეხმა "ქორის თვალის" დახმარებით დაიბრუნა, მაგრამ მომდევნო მატჩ პოინტის გათამაშებაზე უხეიროდ შესრულებული ფორჰენდით, თამაში წააგო.

**მერაბ ლორთქიფანიძე**

**კაცები. 1/4 ფინალი**

**როჯერ ფედერერი** (1) - ენდი როდიკი (6) 6:4, 6:0, 6:2

**ქალები. 1/4 ფინალი**

**მარია შარაპოვა** (1) - კიმ კლაისტერსი (4) 6:4, 6:2

**სერენა უილიამსი** - ნიკოლ ვაიდიშოვა (10) 7:6(5), 6:4

## ველოსპორტი

### დოპინგ-სკანდალი

# პაუნდი ლენდისის საქმის გადადებას მოითხოვს

მსოფლიოს დოპინგსაწინააღმდეგო სააგენტოს (WADA) შეფმა, **დიკ პაუნდმა** საფრანგეთის დოპინგსაწინააღმდეგო სააგენტოს (AFLD) სპეციალური მიმართვა გაუგზავნა, რომელშიც ტურ დე ფრანსის ამერიკელ ჩემპიონ **ფლოიდ ლენდისის** საქმის განხილვის გადადებას მოითხოვს.

პაუნდი ითხოვს, რომ ფრანგებმა ლენდისის საქმე მანამ არ განიხილონ, სანამ აშშ-ის დოპინგსაწინააღმდეგო სააგენტო (USADA) ამ საქმესთან დაკავშირებით ჩასატარებელ პროცედურებს დაასრულებენ. პაუნდს ფრანგებისგან თანხმობის წერილი მიუღია, თუმცა ამის მიუხედავად, AFLD მაინც განიხილავს ლენდისის საქმეს. ოღონდ, გადაწყვეტილების მიღებას გადადებს.

ფრანგები ამ საქმის განხილვას თებერვალში აპირებენ, ამერიკელებს კი იმავე საქმის განხილვა მარტისთვის აქვთ დაგეგმილი. თუ USADA ლენდისს გაამართლებს და მის გადაწყვეტილებას WADA-ც დაადასტურებს, მაშინ ფრანგებს შეუძლიათ, ლენდისი მაინც დასაჯონ. ოღონდ, მათი სანქცია ამ შემთხვევაში, მხოლოდ საფრანგეთის ფარგლებში იმოქმედებს. ეს იმას ნიშნავს, რომ ამ შემთხვევაში, ლენდისი ტურის ჩემპიონის წოდებას დაკარგავს. ამასთან, მას არც ტურზე ასპარეზობის უფლებას მისცემენ. თუმცა, საფრანგეთის გარეთ ასპარეზობის უფლება მიეცემა. შესაძლოა, ამ შემთხვევაში, ლენდისმა ჯიროზე გამოსვლა ინებოს. არადა, მას არაერთხელ უთქვამს, რომ დიდი სურვილი აქვს, კიდევ ერთხელ სცადოს ტურის მოგება.

**ჭადრაკი**

**ვეიკ-ან-ზეე (ჰოლანდია)**
**X ტური**

**კარიაკინი** (უკრაინა)-**ანანდი** (ინდოეთი) 0:1; **ტოპალოვი** (ბულგარეთი)-**კარლსენი** (ნორვეგია) 1:0; **მოტილიოვი** (რუსეთი)-**კრამნიკი** (რუსეთი) 0.5:0.5; **რაჯაბოვი** (აზერბაიჯანი)-**სვიდლერი** (რუსეთი) 0.5:0.5; **ვან ველი** (ჰოლანდია)-**არონიანი** (სომხეთი)- 0.5:0.5; **ტივიაკოვი** (ჰოლანდია)- **ნავარა** (ჩეხეთი) 0.5:0.5; **პონომარიოვი** (უკრაინა)-**შიროვი** (ესპანეთი) 0.5:0.5.

მდგომარეობა ათი ტურის შემდეგ: 1. **ტოპალოვი** - 7.5 ქულა; 2. **რაჯაბოვი** - 6.5; 3-6. **ანანდი, კრამნიკი, სვიდლერი, არონიანი** - 6; 7-8. **კარიაკინი, პონომარიოვი** - 5; 9. **ნავარა** - 4.5; 10-11. **მოტილიოვი, ტივიაკოვი** - 4; 12. **ვან ველი** - 3.5; 13-14. **შიროვი, კარლსენი** - 3.

**ფიგურული ციგურაობა**

## პირველი ოქრო გერმანიას

ვარშავაში მიმდინარე ევროპის ჩემპიონატზე მედლების პირველი კომპლექტი გათამაშდა. სპორტულ წყვილებში კონტინენტის ჩემპიონები გერმანელი მოციგურავეები - **ალიონა სავჩენკო** და **რობინ შოლკოვი** გახდნენ. მათ ჯამში 199.39 ქულა დააგროვეს და მნიშვნელოვანად ჩამოიტოვეს რუსული წყვილი **მარია პეტროვასა** და **ალექსეი ტიხონოვის** შემადგენლობით. მესამე ადგილი წილად ხვდა პოლონურ დუეტს. ევროპის ჩემპიონატის პრიზიორები გახდნენ **დოროთა** და **მარიუშ სიუდეკები**.

**ჰოკეი**

## კვებეკს ულტიმატუმი წაუყენეს

2008 წლის მსოფლიო ჩემპიონატი შესაძლოა კვებეკ-სიტიდან კანადის რომელიმე სხვა ქალაქში გადაიტანონ. როგორც სააგენტო "როიტერი" იტყობინება, კანადის ჰოკეის ასოციაციამ კვებეკის დედაქალაქს, წარმოქმნილ ორგანიზაციულ პრობლემებში გასარკვევად ერთკვირიანი ვადა მისცა. თუ ამ ვადის გასვლის შემდეგ, კვებეკ-სიტი 2008 წლის მსოფლიო პირველობის ჩატარების გარანტიებს ვერ წარმოადგენს, მაშინ ის ჩემპიონატის მასპინძლობის უფლებას დაკარგავს.

ასოციაციის თავმჯდომარის - **ბობ ნიკოლსონის** მიერ წარმოდგენილი ულტიმატუმის მიზეზი კვებეკის რამდენიმე ბიზნესმენის უარი გახდა, რომლებმაც ადრე ფინანსური დახმარება აღუთქვეს კვებეკ-სიტის მთავრობას, მაგრამ ახლა უკან დაიხიეს. გარდა ამისა, ქალაქს არ აქვს შემუშავებული ტურნირის ორგანიზების ზუსტი სქემა. კერძოდ, პრობლემები შეეხება მოხალისეთა მოზიდვის საკითხსა და ბილეთებზე ფასის პოლიტიკას.

## პინგვინები პიტსბურგში რჩებიან?

ჰოკეის ეროვნული ლიგის კლუბ "პიტსბურგ პინგვინზს" თავის ქალაქში დარჩენის შანსი გაუჩნდა. სააგენტო AP-ის ინფორმაციით, პენსილვანიის შტატის გუბერნატორი **ედ რენდელი** კლუბის თანამფლობელ **რონ ბარკლს** შეხვდა და მასთან ის აუცილებელი პირობები განიხილა, რომლის მეშვეობითაც ქალაქი პიტსბურგი ჰოკეის კლუბს შეინარჩუნებს. გუბერნატორი ამ პირობების შესრულებას დათანხმდა.

*"ძალიან გვინდა, რომ ამ მოლაპარაკებებზე კონსენსუსს მივაღწიოთ და ისე ჩანს, მალე ყველაფერი სასიკეთოდ დასრულდება"*, - განაცხადა ედ რენდელმა.

## რეინჯერსმა კასპარაიტისი მოიშორა

"ნიუ იორკ რეინჯერსის" ხელმძღვანელობამ ტრანსფერზე დააყენა რუსი მცველი **დარიუს კასპარაიტისი**. ცნობილმა ჰოკეისტმა ამ სეზონში 24-ჯერ ითამაშა "რეინჯერსის" შემადგენლობაში, ორი გოლი გაიტანა და ამდენივე შედეგიანი გადაცემა შეასრულა.

თუ კასპარაიტისის შეძენა NHL-ის არცერთმა კლუბმა არ ისურვა, მაშინ რუს მცველს ამ სეზონში მეორედ მოუწევს ამერიკის ჰოკეის ლიგაში (AHL) დაქვეითება და იქ "რეინჯერსის" ფარმ-კლუბში თამაში.

**ფორმულა 1**

## ინდოეთში ფორმულას ნახავენ

ინდური პრესის ინფორმაციით, ამ ქვეყნის დედაქალაქ ნიუ-დელიში ფორმულა 1-ის ტრასა აშენდება, რომელიც უკვე 2009 წელს უმასპინძლებს ინდოეთის გრან-პრის. ამ საკითხთან დაკავშირებით ოფიციალური განცხადება მარტში გაკეთდება.

პროექტის მთავარი ინვესტორი **ვიჯაი მალია** გახლავთ, რომელიც ავიაკომპანია Kingfisher Airlines-ის პრეზიდენტია. ამ ცოტა ხნის წინათ, ეს კომპანია ფორმულა 1-ის გუნდ "ტოიოტას" სპონსორი გახდა.

**ხელბურთი**

## დომინიკოვიჩი გაამართლეს

გერმანიაში მიმდინარე მსოფლიო ჩემპიონატზე, მოქმედი ოლიმპიური ჩემპიონი ხორვატიის ნაკრები თავისი ერთ-ერთი ლიდერის - **დავორ დომინიკოვიჩის** გარეშე ასპარეზობს. ეს ხელბურთელი ჩემპიონატის წინ, დოპინგის მიღებაში ამხილეს და გერმანიაში წასვლა აუკრძალეს.

მაგრამ, განმეორებით ჩატარებულმა ტესტმა აჩვენა, რომ დომინიკოვიჩს დოპინგი არ მიუღია, რაც იმას ნიშნავს, რომ დავორს შეუძლია სასწრაფოდ გაემგზავროს მუნდიალზე და ხორვატიის ნაკრებს დარჩენილ თამაშებში დაეხმაროს.

**ჩოგბურთი**

## რიოსი არ ბრუნდება

როგორც ადრე ვიტყობინებოდით, მსოფლიოს ყოფილმა პირველმა ჩოგანმა, ჩილელმა **მარსელო რიოსმა** ვინია-დელ-მარის ტურნირის უაილდ-ქარდი მიიღო და დიდ ჩოგბურთში დაბრუნებას სწორედ ამ შეჯიბრზე გეგმავდა, მაგრამ ტურნირის ორგანიზატორთა ცნობით, რიოსმა თამაში გადაიფიქრა. მიზეზი მხარის ტრავმა გახლავთ.

შეგახსენებთ, რომ 2004 წელს, ჩილელმა ჩოგბურთელმა კარიერა სწორედ მხარის დაზიანების გამო დაასრულა და 2006 წლიდან მოყოლებული, მხოლოდ ვეტერანთა ტურნირებში თამაშობს.

## ანენ-არდენი თავისუფალია

ბელგიელმა ჩოგბურთელმა **ჟუსტინ ანენ-არდენმა** თავის ოფიციალურ ვებ-გვერდზე გულშემატკივრებისადმი მიმართვა გამოაქვეყნა, სადაც ის ოფიციალურად ადასტურებს თავის მეუღლესთან - **პიერ-ივ არდენთან** გაყრას.

WTA-ს კლასიფიკაციის პირველმა ნომერმა ჟურნალისტებსა და ფანებს სთხოვა, ნუ იჩქარებენ და ნუ შეაწუხებენ მას ამ გადაწყვეტილების მიზეზების შესახებ შეკითხვებით.

გარდა ამისა, ცნობილი გახდა, რომ ანენმა უკვე განაახლა ვარჯიშები და ამ სეზონში მისი პირველი ტურნირი Gaz de France იქნება, რომელიც თებერვლის დასაწყისში პარიზში გაიმართება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ჰოკეი

ყველა ვარსკვლავის მატჩი

# შერცხვენილი ვუნდერკინდები

## ზეზერმა საკიკმა მარკ მესიეს რეკორდი დაამხო



1 გოლისა და 4 პასის სანაცვლოდ, ბრიერმა ჯიპი მიიღო

**დასავლეთი-აღმოსავლეთი 12:9**

3:3, 6:3, 3:3

გოლები: 0:1 ბრიერი (ჰიტლი, მარიან ჰოსა), 1:1 პერო (როლსტონი, გერინი), 1:2 სელიანე, 2:2 სენტ ლუისი (ლეკავალიე, რაფალსკი), 2:3 ე. სტაალი (ჯასტინ უილიამსი, ჯ. ბლეიკი), 3:3 ვიშნოვსკი (საკიკი, ნეში), 4:3 მარლო (ჩიჩუ, ლიდსტრიომი), 4:4 ჯასტინ უილიამსი (ჯ. ბლეიკი), 4:5 ხარა (ბრიერი, რაფალსკი), 5:5 როსლტონი, 6:5 ნეში (საკიკი, ფანოფი), 7:5 ჰავლატი (საკიკი, ნეში), 8:5 პერო (გერინი, როლსტონი), 8:6 ოვეჩკინი (ბრიერი, სურეი), 9:6 როსლტონი (ჟოვანოვსკი), 9:7 ჰიტლი (ბრიერი, მარიან ჰოსა), 10:7 ნეში (საკიკი, ჰავლატი), 10:8 ხარა (მარიან ჰოსა, ბრიერი), 11:8 ჰავლატი (რ. სმიტი, ჟოვანოვსკი), 11:9 სურეი (მარიან ჰოსა, ჰიტლი), 12:9 ფანოფი (ვიშნოვსკი).

2007 წლის "ყველა ვარსკვლავის მატჩი", კანადური ჰოკეის ახალ მესიად შერაცხული **სიდნი კროსბის** სრული ფიასკოთი დასრულდა. შეხვედრაში, რომელშიც 21 გოლი გავიდა, წლევანდელი რეგულარული ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირმა ერთი საგოლე პასის შესრულებაც ვერ შეძლო.

ბევრს ელოდნენ "ვაშინგტონის" რუსი ვუნდერკინდისგან - **ალექსანდრ ოვეჩკინისგან,** მაგრამ გასული სეზონის საუკეთესო დებიუტანტმა მხოლოდ ერთი გოლით გამოიჩინა თავი.

კროსბი და ოვეჩკინი აღმოსავლეთის ნაკრების სასტარტო ხუთეულში თამაშობდნენ. შეტევაში მათი პარტნიორი "ბაფალო სეიბრზის" ფორვარდი **დანიელ ბრიერი** იყო, რომელმაც საბოლოოდ, მატჩის ყველაზე სასარგებლო მოთამაშის (MVP) პრიზი მიიღო. ბრიერმა ერთი გოლი გაიტანა და ოთხი შედეგიანი პასი შეასრულა.

წელს, ბრიერი "ბაფალოს" საუკეთესო ბომბარდირია - მის ანგარიშზე 57 ქულაა (18 გოლი+39 პასი). სხვათა შორის, ზედიზედ მეორედ მოხდა, როცა MVP წაგებული გუნდის შემადგენლობიდან აირჩიეს. 2004 წელს, საუკეთესო მოთამაშის ტიტული **ჯო საკიკმა** მიიღო. მართალია, მისმა დასავლეთმა 4:6 წააგო აღმოსავლეთთან, მაგრამ თავად ჰოკეისტმა ჰეთ-თრიკის შესრულება შეძლო.

ბრიერის გარდა, MVP-ის მოპოვების შანსი დასავლეთის ნაკრების რამდენიმე ჰოკეისტს ჰქონდა. "კოლამბუსის" ფორვარდმა **რიკ ნეშმა** ორი გოლი და ორი პასი ჩაიწერა აქტივში, ჩიკაგოელმა **მარტინ ჰავლატმა** - ორი გოლი და ერთი პასი. "ფინიქსის" წევრმა **იანიკ პერომ** დუბლი შეასრულა, ხოლო იმავე საკიკმა, ოთხი საგოლე პასი მიითვალა.

იმის გამო, რომ 2005 და 2006 წლებში All Star-ის მატჩი არ გამართულა, წლევანდელ შეხვედრაში 20 დებიუტანტი თამაშობდა, მაგრამ დალასში, პირველ პლანზე მაინც ვეტერანი ჰოკეისტები იყვნენ. უპირველეს ყოვლისა, ეს "კოლორადოს" ვარსკვლავ **ჯო საკიკზე** ითქმის.

საკიკი მეთორმეტედ თამაშობდა "ყველა ვარსკვლავის მატჩში" და გუშინ, მან ერთი რეკორდის დამყარება შეძლო. ჯომ ოთხი საგოლე პასი შეასრულა და ახლა, All Star-ის მატჩებში ყველაზე მეტი - 16 შედეგიანი გადაცემის ავტორია. წინა რეკორდსმენი ლეგენდარული **მარკ მესიე** იყო, რომელსაც 14 პასი ჰქონდა აქტივში.

გარდა ამისა, კოლორადოს" ფორვარდი All Star-ის ყველა დროის ბომბარდირთა სიაში მესამე ადგილზე გადავიდა. მის წინ მხოლოდ **უეინ გრეტცკი** (25 ქულა) და **მარიო ლემიე** (23) არიან. თავად საკიკს, 22 ქულა აქვს დაგროვილი.

გუშინდელი მატჩის ბედი მეორე პერიოდში გადაწყდა, როცა აღმოსავლეთის კარს, წლევანდელი რეგულარულის საუკეთესო მეკარე **მარტინ ბროდო** იცავდა. "ნიუ ჯერსის" კარის დარაჯმა ოთხწუთნახევრიან ინტერვალში ოთხი შაიბა გაუშვა, 16-დან 10 დარტყმა მოიგერია, დასავლეთმა კი, პერიოდი 6:3 მოიგო და მეტოქემ ამ გუნდის დაწევა ველარ შეძლო.

**All Stars-ის ყველა მატჩი**

| წელი | | MVP |
|---|---|---|
| 2007 | დასავლეთი-აღმოსავლეთი 12:9 | ბრიერი (ბაფ) |
| 2004 | აღმოსავლეთი-დასავლეთი 6:4 | საკიკი (კოლ) |
| 2003 | დასავლეთი-აღმოსავლეთი 6:5 | ჰიტლი (ატლ) |
| 2002 | მსოფლიო-ჩრ. ამერიკა 8:5 | დეიზი (ჩიკ) |
| 2001 | ჩრ. ამერიკა-მსოფლიო 14:12 | გერინი (ბოს) |
| 2000 | მსოფლიო-ჩრ. ამერიკა 9:4 | პ. ბურე (ფლო) |
| 1999 | ჩრ. ამერიკა-მსოფლიო 8:6 | გრეტცკი (რეინ) |
| 1998 | ჩრ. ამერიკა-მსოფლიო 8:7 | სელიანე (ანა) |
| 1997 | აღმოსავლეთი-დასავლეთი 11:7 | რეკი (მონ) |
| 1996 | აღმოსავლეთი-დასავლეთი 5:4 | რ. ბურკი (ბოს) |
| 1994 | აღმოსავლეთი-დასავლეთი 9:8 | რიხტერი (რეინ) |
| 1993 | უელსი-კემპბელი 16:6 | გარტნერი (რეინ) |
| 1992 | კემპბელი-უელსი 10:6 | ბრეტ ჰალი (ს-ლუი) |
| 1991 | კემპბელი-უელსი 11:5 | დამფუსი (ტორ) |
| 1990 | უელსი-კემპბელი 12:7 | ლემიე (პიტ) |
| 1989 | კემპბელი-უელსი 9:5 | გრეტცკი (ლ-ანჯ) |
| 1988 | უელსი-კემპბელი 6:5 (ო) | ლემიე (პიტ) |
| 1986 | უელსი-კემპბელი 4:3 (ო) | ფიური (ედმ) |
| 1985 | უელსი-კემპბელი 6:4 | ლემიე (პიტ) |
| 1984 | უელსი-კემპბელი 7:6 | მელონი (რეინ) |
| 1983 | კემპბელი-უელსი 9:3 | გრეტცკი (ედმ) |
| 1982 | უელსი-კემპბელი 4:2 | ბოსი (აილ) |
| 1981 | კემპბელი-უელსი 4:1 | ლიუიტი (ს-ლუი) |
| 1980 | უელსი-კემპბელი 6:3 | რ. ლიჩი (ფილ) |
| 1978 | უელსი-კემპბელი 3:2 (ო) | ბ. სმითი (აილ) |
| 1977 | უელსი-კემპბელი 4:3 | რ. მარტინი (ბაფ) |
| 1976 | უელსი-კემპბელი 7:5 | პ. მაჰოვლიჩი (მონ) |
| 1975 | უელსი-კემპბელი 7:1 | ეპსი (პიტ) |
| 1974 | უელსი-კემპბელი 6:4 | ანგერი (ს-ლუი) |
| 1973 | აღმოსავლეთი-დასავლეთი 5:4 | პოლისი (პიტ) |
| 1972 | აღმოსავლეთი-დასავლეთი 3:2 | ორი (ბოს) |
| 1971 | დასავლეთი-აღმოსავლეთი 2:1 | ბობი ჰალი (ჩიკ) |
| 1970 | აღმოსავლეთი-დასავლეთი 4:1 | ბობი ჰალი (ჩიკ) |
| 1969 | აღმოსავლეთი-დასავლეთი 3:3 | ფ. მაჰოვლიჩი (მონ) |
| 1968 | ტორონტო-All Stars 4:3 | გემბლი (ტორ) |
| 1967 | მონრეალი-All Stars 3:0 | ა. რიშარი (მონ) |
| 1965 | All Stars-მონრეალი 5:2 | ჰოუ (დეტ) |
| 1964 | All Stars-ტორონტო 3:2 | ბელივო (მონ) |
| 1963 | All Stars-ტორონტო 3:3 | ფ. მაჰოვლიჩი (მონ) |
| 1962 | ტორონტო-All Stars 4:1 | შეკი (ტორ) |
| 1961 | All Stars-ჩიკაგო 3:1 | |
| 1960 | All Stars-მონრეალი 2:1 | |
| 1959 | მონრეალი-All Stars 6:1 | |
| 1958 | მონრეალი-All Stars 6:3 | |
| 1957 | All Stars-მონრეალი 5:3 | |
| 1956 | All Stars-მონრეალი 1:1 | |
| 1955 | დეტროიტი-All Stars 3:1 | |
| 1954 | All Stars-დეტროიტი 2:2 | |
| 1953 | All Stars-მონრეალი 3:1 | |
| 1952 | 1-ლი გუნდი-მე-2 გუნდი 1:1 | |
| 1951 | 1-ლი გუნდი-მე-2 გუნდი 2:2 | |
| 1950 | დეტროიტი-All Stars 7:1 | |
| 1949 | All Stars-ტორონტო 3:1 | |
| 1948 | All Stars-ტორონტო 3:1 | |
| 1947 | All Stars-ტორონტო 4:3 | |

## სხვადასხვა

**ჩოგბურთი**

### შარაპოვა მამის გამო დასაჯეს

ავსტრალიის ღია პირველობის სადისციპლინო კომიტეტმა რუსი **მარია შარაპოვა** 2550 დოლარით დააჯარიმა. როგორც გაირკვა, **ანა ჩაკვეტაძის** წინააღმდეგ გამართულ ნახევარფინალში, ჩოგბურთელის მამა - **იური შარაპოვი** ტრიბუნიდან ხშირად აძლევდა რჩევებს თავის ქალიშვილს, ეს კი წესებით აკრძალულია.

იმ შეხვედრის მთავარმა მსაჯმა, პორტუგალიელმა **მარიანა ალვეშმა** მეორე სეტში შარაპოვას ოფიციალური გაფრთხილება მისცა იმის გამო, რომ იური შარაპოვი მას რაღაცას ანიშნებდა. ეს მოხდა იმ მომენტში, როცა ანგარიში იყო 3:3 და 0:30 მარიას მოწოდებაზე. თავად ჩოგბურთელმა მატჩის შემდეგ განაცხადა, რომ ის ტრიბუნებისკენ საერთოდ არ იხედებოდა, ხოლო მამის საქციელს აბსოლუტურად გასაგები უნოდა, რადგან ის არა უცხო ადამიანს, არამედ საკუთარ შვილს გულშემატკივრობდა.

**ხელბურთი**

გერმანია 2007. მსოფლიო ჩემპიონატი. მამაკაცები

**II ჯგუფური ტურნირი**

| I ჯგუფი | |
|---|---|
| სლოვენია-გერმანია | 29:35 |
| ტუნისი-ისლანდია | 30:36 |
| საფრანგეთი-პოლონეთი | 31:22 |

| II ჯგუფი | |
|---|---|
| ჩეხეთი-უნგრეთი | 25:28 |
| ესპანეთი-რუსეთი | 33:29 |
| დანია-ხორვატია | 26:28 |

| | მ | ფ | წ | ბ |
|---|---|---|---|---|
| 1. ისლანდია | 2 | 0 | 0 | 68-54 |
| 2. გერმანია | 1 | 0 | 1 | 60-56 |
| 3. სლოვენია | 1 | 0 | 1 | 63-62 |
| 4. საფრანგეთი | 1 | 0 | 1 | 55-54 |
| 5. პოლონეთი | 1 | 0 | 1 | 49-56 |
| 6. ტუნისი | 0 | 0 | 2 | 57-70 |

| | მ | ფ | წ | ბ |
|---|---|---|---|---|
| 1. ესპანეთი | 2 | 0 | 0 | 68-58 |
| 2. ხორვატია | 2 | 0 | 0 | 60-53 |
| 3. უნგრეთი | 2 | 0 | 0 | 58-54 |
| 4. დანია | 0 | 0 | 2 | 55-58 |
| 5. რუსეთი | 0 | 0 | 2 | 56-65 |
| 6. ჩეხეთი | 0 | 0 | 2 | 54-63 |

## TV სპორტი

**26 იანვარი. პარასკევი**

**SPORT 1 (უკრაინა)**

08:17 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ატლეტიკო-ოსასუნა.
10:00 სპორტინფორმი.
10:15 ჩოგბურთი. ATP-ის მიმოხილვა.
10:40 ფიტნესი.
11:05 სპორტინფორმი.
11:15 სპორტკლუბი.
11:20 ფეხბურთი. ინგლისის თასი. 1973 წელი. ფინალი. სანდერლენდი-ლიდსი.
13:05 ჰოკეი. ALL STAR-ის უიქ ენდი. ყველა ვარსკვლავის მატჩი.
15:25 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. ფინალი. ავსტრალია.
17:05 სპორტ-დოსიე
17:32 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ბარსელონა-ხიმნასტიკი.
19:19 კრივი. ნოკაუტების დრო.
20:08 სპორტკლუბი.
20:30 სპორტინფორმი.
20:45 ავტოსპორტი. A1 გრან-პრი. მიმოხილვა.
21:40 ჩოგბურთი. ATP-ის მიმოხილვა.
22:10 ფეხბურთი. პორტუგალიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
21:40 სპორტკლუბი.
21:45 სპორტინფორმი.
23:00 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ტურის წინ.
23:23 სპორტკლუბი.
23:30 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. დორტმუნდი-ბაიერნი (LIVE).
01:23 სპორტინფორმი.
01:35 კრივი. რინგ-საიდი.
02:35 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
03:32 სპორტ-დოსიე
04:00 ჰოკეი. NHL-ის რეგულარული ჩემპიონატი. კოლამბუსი-ბაფალო (LIVE).
06:35 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. ფინალი. ავსტრალია.

**EUROSPORT**

10:30 ჩოგბურთი. ავსტრალიის ღია პირველობა. მამაკაცები. 1/2 ფინალი.
11:30 ჩოგბურთი. ავსტრალიის ღია პირველობა. მამაკაცები. 1/2 ფინალი (LIVE).
14:15 ფიგურული სრიალი. ევროპის ჩემპიონატი. ქალები. მოკლე პროგრამა. ვარშავა. პოლონეთი (LIVE).
20:00 ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიო თასი. HS213. ობერსტდორფი. გერმანია.
21:00 ფიგურული სრიალი. ევროპის ჩემპიონატი. თავისუფალი ცეკვა. ვარშავა. პოლონეთი (LIVE).
00:30 საფეხბურთო პროგრამა. TOP 24.
01:00 ექსტრემალური სპორტი.
02:30 ბოულსი. მსოფლიო ჩემპიონატი. დიდი ბრიტანეთი.

**EUROSPORT-2**

08:30 ფეხბურთი. ოთხი ერის ტურნირი. ქალები. ჩინეთი-ინგლისი. გუანგჟოუ. ჩინეთი (LIVE).
10:30 ახალი ამბები.
11:00 ფეხბურთი. ოთხი ერის ტურნირი. ქალები. აშშ-გერმანია. გუანგჟოუ. ჩინეთი (LIVE).
13:00 ფეხბურთი. ოთხი ერის ტურნირი. ქალები. ჩინეთი-ინგლისი. გუანგჟოუ. ჩინეთი.
14:00 ახალი ამბები.
16:00 ფეხბურთი. ოთხი ერის ტურნირი. ქალები. ჩინეთი-ინგლისი. გუანგჟოუ. ჩინეთი.
17:00 ფეხბურთი. ოთხი ერის ტურნირი. ქალები. აშშ-გერმანია. გუანგჟოუ. ჩინეთი.
18:00 ზამთრის უნივერსიადა. ჰოკეი. ტურინი. იტალია (LIVE).
20:30 ექსტრემალური სპორტი.
21:00 ფრისტაილი. მსოფლიო თასი. მონტ გაბრიელი. კანადა.
21:30 ახალი ამბები.
22:00 კალათბურთი. ევროლიგა:
22:30 ზამთრის უნივერსიადა. ჰოკეი. 1/2 ფინალი. ტურინი. იტალია (LIVE).
01:00 ახალი ამბები.
01:15 კალათბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. მიმოხილვა.
01:45 კალათბურთი. ევროლიგა.
02:15 ახალი ამბები.

## ცხელი ხაზი

**ფეხბურთი**

**იტალიის თასი**

**1/2 ფინალი. I მატჩი**

| | |
|---|---|
| მილანი-რომა | 2:2 |

**საფრანგეთი**

| | |
|---|---|
| ნანსი-სტ. ეტიენი | 0:2 |

**ჰოლანდიის თასი**

**1/8 ფინალი**

| | |
|---|---|
| როდა-ალკმაარი A | 2:1 |
| ეინდჰოვენი-იგლზი | 3:2 |

**კალათბურთი**

**ევროლიგა**

| | |
|---|---|
| დინამო-ოლიმპიაკოსი | 84:69 |
| ფენერბაჰჩე-ნაპოლი | ო.ტ. 88:93 |
| ჟალგირისი-არისი | 77:66 |
| ლე მანი-კიოლნი | 69:60 |
| ბარსელონა-ცსკა | ო.ტ. 70:78 |
| ოლიმპია-მაკაბი | 77:75 |

**ხელბურთი**

**მსოფლიო ჩემპიონატი**

მამაკაცები

| | |
|---|---|
| რუსეთი-ჩეხეთი | 30:26 |
| გერმანია-ტუნისი | 35:28 |
| ხორვატია-უნგრეთი | 25:18 |
| პოლონეთი-ისლანდია | 35:33 |
| ბრაზილია-გრენლანდია | 33:30 |
| კატარი-მაროკო | 27:44 |

**ჰოკეი**

**რუსეთი**

| | |
|---|---|
| ლადა-აკ ბარსი | 0:3 |
| ლოკომოტივი-ავანგარდი | 4:3 |
| ვიტიაზი-მეტალურგი (ნ) | 5:0 |
| დინამო-ამური | 3:2 |
| ნეფტეხიმიკი-სიბირი | 3:0 |
| სევერსტალი-მეტალურგი (მ) | 2:1 |
| სკა-კრილია | 6:0 |
| მვდ-ხიმიკი | 3:2 |
| ცსკა-ს. იულაევი | 1:3 |

**გერმანია**

| | |
|---|---|
| შტრაუბინგი-აისბარენი | 3:3 ო.ტ. 4:3 |

**სლოვაკეთი**

| | |
|---|---|
| სკალიცა-ნიტრა | გადაიდო |

**ფინეთი**

| | |
|---|---|
| კერპეტი-იუვესკიულა | 2:2 ო.ტ. 3:2 |
| ტაპარა-ჰპკ | 3:3 ო.ტ. 3:4 |
| ჰიფკ-იოკერიტი | 2:2 ო.ტ. 3:2 |
| ესეტი-ტპს | 3:6 |

**შვედეთი**

| | |
|---|---|
| ლინჩეპინგი-ლულეა | 2:5 |
| ფრიოლუნდა-აიკ | 5:2 |
| ჰვ71-ფერიესტადი | 3:3 ო.ტ. 3:4 |

## კალათბურთი

### NBA. რეგულარული ჩემპიონატი

**ინდიანა-მაიამი 96:94 ო.ტ.**

21:26, 13:15, 23:29, 30:17, 9:7

**ინდიანა:** მერფი (17 ქ. 12 მ), გრეინჯერი (16 ქ. 5 მ), ტინსლი (14 ქ. 5 პ), მ. დენიელსი (11 ქ. 2 ჩ), ჯ. ონილი (10 ქ. 13 მ. 4 დ).

**მაიამი:** უეიდი (32 ქ. 8 პ. 5 მ. 5 ჩ. 3 დ), კაპონო (18 ქ), ჰასლემი (14 ქ. 15 მ), მურნინგი (14 ქ. 5 დ), შ. ონილი (5 ქ. 5 მ. 1 დ).

**ს. ანტონიო-ჰიუსტონი 85:90**

21:16, 16:20, 21:25, 27:29

**სან ანტონიო:** დანკანი (37 ქ. 10 მ. 4 პ), ჯინობილი (15 ქ. 4 მ. 4 პ), ტ. პარკერი (10 ქ. 6 პ).

**ჰიუსტონი:** მაკგრეიდი (37 ქ. 8 მ. 3 პ), ალსტონი (19 ქ. 7 პ. 3 ჩ), ჯუვან ჰოვარდი (11 ქ. 7 მ).

**ბოსტონი-ატლანტა 76:82**

28:10, 16:19, 18:27, 14:26

**ბოსტონი:** დელონტე უესტი (18 ქ. 6 პ. 4 მ), პერკინსი (15 ქ. 12 მ), ჯ. გრინი (13 ქ. 8 მ. 3 პ), ელ ჯეფერსონი (11 ქ. 10 მ. 4 დ).

**ატლანტა:** ჯოშ სმიტი (21 ქ. 11 მ. 3 დ. 2 ჩ), ჯო ჯონსონი (21 ქ. 7 მ. 4 პ), ჩილდრესი (14 ქ. 6 მ), **ზაზა ფაჩულია** (27 წთ. 10 ქ. 9 მ. 1 პ. 1 ჩ).

**კლივლენდი-ფილადელფია 115:118 (2 ო)**

18:18, 23:23, 25:22, 26:29, 8:8, 15:18

**კლივლენდი:** ლ. ჯეიმსი (39 ქ. 10 მ. 5 პ), ჰიუზი (26 ქ), ილგაუსკასი (23 ქ. 10 მ), პავლოვიჩი (12 ქ), ვარეჟაო (3 ქ. 10 მ. 5 პ).

**ფილადელფია:** იგუოდალა (34 ქ. 9 პ. 4 მ), დალემბერი (20 ქ. 10 მ), კარნი (18 ქ), ა. მილერი (16 ქ. 8 მ. 6 პ), კორვერი (13 ქ. 6 მ), ს. ჰანტერი (11 ქ. 9 მ).

**იუტა-მემფისი 130:132 (ო)**

28:24, 27:32, 33:31, 30:31, 12:14

**იუტა:** ბუზერი (39 ქ. 15 მ), ოქური (27 ქ. 11 მ. 2 დ), კირილენკო (18 ქ. 12 მ. 4 პ. 3 ჩ), ჰარპრინგი (12 ქ), ფიშერი (11 ქ. 6 პ), გირიჩეკი (10 ქ), დერონ უილიამსი (7 ქ. 21 პ).

**მემფისი:** ეტკინსი (29 ქ. 15 პ), მ. მილერი (21 ქ), ე. ჯოუნსი (19 ქ), გასოლი (17 ქ. 13 მ. 12 პ. 2 დ), უორიკი (14 ქ. 5 მ), ე. ჯონსონი (12 ქ. 3 ჩ. 3 დ).

**ნ. იორკი-ფინიქსი 107:112**

25:24, 21:25, 22:32, 39:31

**ნიუ იორკი:** ჯ. კროუფორდი (29 ქ. 11 პ. 6 მ), კარი (25 ქ. 4 მ), ლი (17 ქ. 14 მ), ნ. რობინსონი (17 ქ. 8 მ), ფრაი (11 ქ).

**ფინიქსი:** ა. სტაუდმაიერი (30 ქ. 11 მ), ნეში (22 ქ. 14 პ. 5 მ), მერიონი (20 ქ. 10 მ. 3 ჩ), ბარბოსა (15 ქ. 3 ჩ).

**შარლოტი-დეტროიტი 92:103**

23:20, 21:25, 21:26, 27:32

**შარლოტი:** ჯ. უოლასი (29 ქ. 11 მ), ოკაფორი (17 ქ. 16 მ), ფელტონი (17 ქ. 8 პ. 3 ჩ), მეი (14 ქ. 6 მ. 4 პ).

**დეტროიტი:** რ. ჰაილტონი (22 ქ), რ. უოლასი (20 ქ. 5 მ. 4 ჩ), უებერი (19 ქ. 6 მ. 3 პ), პრინსი (14 ქ), ბილაპსი (13 ქ. 6 პ. 4 ჩ).

**ტორონტო-ნ. ორლეანი 90:88**

22:31, 22:19, 20:19, 26:19

**ტორონტო:** ბოში (35 ქ. 7 მ. 4 პ), კალდერონი (14 ქ. 8 პ), ე. პარკერი (12 ქ. 9 მ).

**ნიუ ორლეანი:** რ. ბატლერი (19 ქ), ბ. ჯექსონი (17 ქ. 6 მ. 6 პ), დევინ ბრაუნი (15 ქ. 7 მ), მეისონი (11 ქ), დევიდ უესტი (9 ქ. 11 მ).

**პორტლენდი-მინესოტა 101:98 (ო)**

23:22, 23:24, 20:22, 21:19, 14:11

**პორტლენდი:** ზ. რენდოლფი (22 ქ. 15 მ), ს. როდრიგესი (18 ქ), როი (13 ქ. 7 მ. 3 პ), უებსტერი (13 ქ).

**მინესოტა:** გარნეტი (31 ქ. 8 მ. 3 პ), რ. დევისი (23 ქ), ჰასელი (10 ქ. 4 მ. 4 პ), მ. ბლაუნტი (10 ქ. 7 მ).

**საკრამენტო-მილუოკი 114:106**

37:27, 21:20, 23:24, 33:35

**საკრამენტო:** არტესტი (36 ქ. 5 მ. 3 პ. 3 ჩ), კევინ მარტინი (18 ქ), კენი ტომასი (14 ქ. 9 მ), ბ. მილერი (14 ქ. 8 პ. 7 მ), ბიბი (11 ქ. 8 პ).

**მილუოკი:** ბოიკინსი (36 ქ. 5 პ), პატერსონი (21 ქ. 12 მ. 3 პ), ჩ. ბელი (18 ქ. 5 პ), ილიასოვა (13 ქ. 5 მ).

**გ. სტეიტი-ნ. ჯერსი 110:109**

20:36, 32:22, 28:24, 30:27

**გოლდენ სტეიტი:** ელ ჰარინგტონი (29 ქ. 4 მ. 4 პ), მ. ელისი (20 ქ. 6 პ), ბ. დევისი (18 ქ. 10 პ. 4 მ), ბარნსი (14 ქ. 10 მ), ბიედრინსი (14 ქ. 9 მ. 3 დ).

**ნიუ ჯერსი:** კიდი (26 ქ. 10 მ. 7 პ), ვ. კარტერი (23 ქ. 13 პ), მ. უილიამსი (17 ქ. 7 პ. 4 მ), მური (16 ქ).

# შავ-თეთრი როდნინადან მშვენიერ ელენემდე

## გენიალურად ნაქსოვ ბოლეროზე გავლით

დავით ბუხრიკიძე

ჩემი პირველი შთაბეჭდილება ფიგურული სრიალის შესახებ, შავ-თეთრი ტელევიზორით გადმოცემულ ევროპის ჩემპიონატს უკავშირდება. 1969 წლის დეკემბერში მამაჩემმა როგორც იქნა "ბერიოზკა" იყიდა, უფრო მოახლოებული მექსიკური საფეხბურთო ჩემპიონატის ზრახვებით. სახლის სახურავზე დიდი ტანჯვის შემდეგ დაყენებული ანტენა და ზამთრისათვის ზედგამოჭრილი გვარის მქონე მოციგურავის გამოჩენა ერთი იყო - ავსტრიელი ბეატრის შუბა, განსაკუთრებით მოწესრიგებული, რკინის ნერვების მქონე და კლასიკურობამდე სრულყოფილი, 1972 წლის ზამთრის ოლიმპიადის ჩემპიონი. თუმცა უფრო ცხადად იმ დროიდან სონია მორგენშტერნი, ჟუჟა ალმაში, ონდრი ნეპალა, ემერიჰ დანცერი და პახომოვა-გორშკოვი დამამახსოვრდა.

ჩეხი ნეპალა 1972 წელს საპოროს ზამთრის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი გახდა. ლოგიკურია, რომ საბჭოთა მოციგურავეს სერგეი ჩეტვერუხინს მასთან არა მარტო სპორტული, არამედ იდეოლოგიურ დუელიც ჰქონდა გამართული (ამ ფონზე ალბათ, არც ჩეხოსლოვაკიისა და საბჭოთა ჰოკეისტთა ნაკრების ორთაბრძოლის დავიწყება შეიძლება, რომელიც 1968 წელს გრენობლის ზამთრის ოლიმპიადაზე პოლიტიკური სკანდალით დამთავრდა). სხვათა შორის, მაშინ საპოროს ოლიმპიადაზე ორი ქართველი გამოდიოდა - "მფრინავი მოთხილამურე" კობა ნაქაძე და მოსკოვში მცხოვრები მოციგურავე მარინა სანაია, რომელიც სტაბილურად ბოლო ხუთეულში ხვდებოდა. გასაგებია, რომ მაშინ ქალთა შორის ავსტრიელები და გერმანელები ყოჩაღობდნენ.

70-80 წლები, ანუ ბრეჟნევის ეპოქა სწორედ ფიგურული სრიალის ტოტალური იდეოლოგიით იყო დაღდასმული. მაშინ არ არსებობდა ლათინურ-ამერიკული სერიალები და არც ჩემპიონთა ლიგის თამაშებს გადმოსცემდნენ. სამაგიეროდ, არსებობდა ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატები ფიგურულ სრიალში, რომელსაც "ევროვიზია" პირდაპირი ეთერით აჩერებდა წარმატებების მომლოდინე საბჭოთა გულშემატკივარს. კომენტატორების გულისამრევი პატრიოტიზმი და ვთქვათ, ცნობილი მწვრთნელის სტანისლავ ჟუკის ქება-დიდება (რომელსაც მოგვიანებით პედოფილიაში დასდეს ბრალი) ისეთივე აუცილებელი იყო, როგორც საალერსო-პოზიტიური რეპორტაჟები კუბის შესახებ, ირანის საეთეროპოლიტიკური მხარდაჭერა, ან პალესტინის განმათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერის, იასირ არაფატის წაქეზება ისრაელის წინააღმდეგ.

ფიგურული სრიალი რეიტინგით "ვრემიას","ვ მირე ჟივოტნიხ" და "მუზიკალნი კიოსკს" ათი თავით აღემატებოდა, ოლიმპიურ ჩემპიონებს კი ლამის ნაციონალურ გმირებად წარმოსახავდნენ. გამონაკლისი მხოლოდ მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონების, ლუდმილა ბელოუსოვასა და ალექსეი პროტოპოპოვის ფაქტობრივი გაქცევა იყო შვეიცარიაში, რომელიც კაგებემ დიდი ხნის განმავლობაში ვერ მოინელა. სპორტულ კომენტატორებს მათ შესახებ საუბარი საერთოდ აუკრძალეს.

პახომოვა-გორშკოვისა და ლინიჩუკ-კარპანოსოვის ლიდერობის შემდეგ, ბრიტანული დუეტის - ჯეინ ტორვილისა და ქრისტოფერ დინის შემოჭრა საბჭოთა "სივრცეში", სპორტულ ცეკვებში, რუსებმა დღემდე ვერ მოინელეს. 1980 წლიდან მოყოლებული ამ გენიალური დუეტის ყოველი გამოსვლა სრულყოფილების ნიმუშად ითვლება, ხოლო მათი კომპოზიცია "ბოლერო" სარაევოს ოლიმპიადაზე, დღემდე მიუღწეველ მწვერვალად რჩება სპორტულ ცეკვებში. თუმცა 90-იან წლებში ლიდერობა ისევ რუსებმა იგდეს ხელთ.





გარკვეულ რევოლუციად შეიძლება მივიჩნიოთ კანადელი ფიგურისტის ტოლერ კრენსტონის დახვეწილი, არტისტული კომპოზიციები 70-იანი წლების ბოლოს და ასევე. კანადელ ბრაიან ბოიტანოს ასკეტური და ურთულესი პროგრამები 80-იან წლებში. და რა თქმა უნდა, ამერიკელ მოციგურავეთა ბრწყინვალე სპორტული დუეტი ტაი ბაბილონია და რენდი გარდნერი. ამ უკანასკნელებმა ლეიკ-პლესიდის 1980 წლის ზამთრის ოლიმპიადაზე ლამის ოქრო წაართვეს როდნინა-ზაიცევის დუეტს. მოკლე პროგრამის შემდეგ ლიდერობდნენ კიდეც, მაგრამ სრულიად მოულოდნელად ინდიელი ტაი ბაბილონია შეუძლოდ გახდა და თავისუფალი პროგრამა ამერიკელებმა არ შეასრულეს. არადა, იოლი შესაძლებელია, სენსაცია მომხდარიყო.

მაშინ აქ ყვითელი პრესა არ არსებობდა და არც არავინ იცოდა, მაგალითად, რატომ დაშორდა ირინა როდნინა ოლიპიურ ჩემპიონს, ალექსანდრე ულანოვს და რატომ დაუკავშირა კარიერა და ცხოვრება ალექსანდრე ზაიცევს. ან რატომ მეგობრობდა ინსბრუკის1976 წლის ოლიმპიური ჩემპიონი ჯონ კარი მხოლოდ ბიჭებთან. სხვათა შორის, ის შიდსით გარდაიცვალა.

ფიგურული სრიალის საყურებლად მეზობლები ერთად იკრიბებოდნენ და არა მარტო იმიტომ, რომ ტელევიზორი იშვიათობას წარმოადგენდა. დაწვრილებით არჩევდნენ, ვის რა ფერის კაბა და ნიფხავი ეცვა (ტელევიზორები ჯერ კიდევ შავ-თეთრი იყო), სირცხვილია თუ არა მოკლე კაბით გამოსვლა (ალბათ საინტერესოა მხოლოდ გრძელი კაბებით ფიგურული სრიალიც), ან წყვილთა შორის გამოსვლა ნიშნავდა თუ არა აუცილებელ ინტიმურობას. მოციგურავე-ვარსკვლავთა პოპულარობა იმ დროს გაცილებით დიდი იყო, ვიდრე ფეხბურთელების ან ჩოგბურთელების. თუმცა 90-იან წლებში, ელცინის დროის, რუსეთში ვარსკვლავებად უკვე ჩოგბურთელები იქცნენ. მაგრამ ეს სხვა ოპერის არიაა...

ქართველ მოციგურავეთა მოკრძალებული წარმატებები 70-80-იან წლებში რამდენიმე წინადადებით შეიძლება შემოიფარგლოს - მარინა გაბელაია და მარინა ცერცვაძე 70-იან წლებში და მოგვიანებით, გიზო ბლიაძე, ონისე რუხაძე და ანდრეი ტოროსიანი. ესენი წარმატებით გამოდიოდნენ საკავშირო ჩემპიონატებზე, განსაკუთრებით მოზარდთა და ახალგაზრდებს შორის. როცა ქვეყანაში ნორმალური საციგურაო მოედანი არ არსებობს, ეს მაინც რაღაცას ნიშნავს. ამ წარმატებას კონკრეტული ადრესატი ჰყავდა და ჰყავს - ფიგურული ციგურაობის ეროვნული ფედერაციის თავმჯდომარე ირაკლი ჯაფარიძე. ვახტანგ მურვანიძისა და განსაკუთრებით, ელენე გედევანიშვილის წარმატებები სწორედ მის სახელს უკავშირდება.

16 წლის ელენე გედევანიშვილის დიდი პოპულარობა საქართველოში ბოლო წლებში მისმა წარმატებებმა განაპირობა. მეხუთე ადგილი გასულ წელს, ლიონში ევროპის ჩემპიონატზე და მეათე ადგილი ტურინის ზამთრის ოლიმპიადაზე, ცხადია უდიდესი წარმატებაა. როგორც ჩანს, მისმა მწვრთნელმა და სეხნიამ, მსოფლიო ჩემპიონატების პრიზიორმა და ევროპის ჩემპიონმა ელენა ვოდორეზოვამ ტყუილად არ მოჰკიდა ხელი "მშვენიერი ელენეს" სპორტულ აღზრდას. და რომ არა ანტიქართული ისტერია მოსკოვში, ქართველი სპორტსმენის ოჯახის დეპორტაცია მოსკოვიდან, მას უთუოდ წელსვე ექნებოდა შანსი, ვარშავის ევროპის ჩემპიონატზე პრიზიორთა შორის მოხვედრილიყო.

ფაქტობრივად, ახალი სპორტული სეზონის გაცდენისა და ახალი მწვრთნელის ძიების შემდეგ, ქართველი სპორტსმენისათვის ათეულში მოხვედრაც შეიძლება წარმატებად ჩაითვალოს. თუმცა ბევრად უკეთესი იქნება თუ გედევანიშვილი ამ პესიმისტურ პროგნოზს შემართებით, მიზანდასახულობითა და რაც მთავარია, სპორტული შედეგით გააბათილებს. მითუმეტეს, რომ ვარშავაში მისი მეტოქეები გასული წლების ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონატის პრიზიორები: ელენე სოკოლოვა (რუსეთი), კაროლინა კოსტნერი (იტალია), სარა მაიერი (შვეიცარია) იქნებიან. დღეს, მოკლე პროგრამაში ელენე გედევანიშვილს ბევრი ურთულესი ელემენტის შესრულება მოუწევს - სავალდებული სამმაგი "ფლიპითა" და "რიტბერგერით" დაწყებული, სხვადასხვა ტემპო-რიტმით შესრულებული პირუეტებითა და ბრუნვით დამთავრებული...



ლელო
სპორტული გაზეთი

მთავარი რედაქტორი
თენგიზ გაჩეჩილაძე

დირექტორი
პაატა გელაშვილი

რედაქტორები
მამუკა ჩიხლაძე
გია თვალაბეიშვილი

ქართული სპორტი
ნიკოლოზ ნეფარიძე
პაატა თოთაძე
მერაბ მამულაშვილი
დავით ცაგაძე
ლევან ჯანეზაშვილი
გია ტუხაშვილი
ირაკლი თავაძე
ვაჟა სიმონიშვილი
ზვიად შათირიშვილი
კობა ხატისაშვილი
ბესიკ ჯანგავაძე

უცხოური სპორტი
შალვა ბიბილაშვილი
გოგა ახალაძე
გოტფრიდ ლენცი
ილია ნიკოლაიშვილი
მერაბ ლორთქიფანიძე
დავით ჩუბინიძე
ზურაბ თალაკვაძე

რეგიონული კორესპონდენტები:
დავით კოხრეიძე, ვასილ ბალახაძე, მერაბ გრძელიძე, მამუკა ძანთარია, ირაკლი დარცმელიძე, ნიკო ვაყელიშვილი

ფოტო
ალექსანდრე კოტორაშვილი
ნუგზარ სუარიძე

ტექნიკური რედაქტორი
მიხეილ ჯაში

ტექნიკური ჯგუფი:
მანანა აკიმოვა, მზია ელიზბარაშვილი, ხათუნა სამხარაძე, დავით გეგეჭკორი, დავით შალუტაშვილი, კობა გელაშვილი

კორექტურა
ლელა ხომასურიძე
ლევან ბიბილაშვილი

გავრცელების სამსახური და ფინანსური ჯგუფი:
დავით მაისურაძე (დირექტორის მოადგილე),
გივი ვეშაპიძე,
ქეთევან დიდებულიძე

მარკეტინგის სამსახური
თამარ ჯიშკარიანი (ტ: 46 34 48)
ბაქარ გაჩეჩილაძე (ტ: 899 91 87 17)
შალვა ებანოიძე

პირველი ნომერი გამოვიდა 1934 წლის 13 აპრილს თბილისში, სახელით "საქართველოს ფიზკულტურელი". 1936-39 წლებში ერქვა "ფიზკულტურელი", "ლელომდე" დაიბეჭდა 362 ნომერი. 1949 წლის 10 ივლისს გაზეთი აღადგინა მიხეილ კაკაბაძემ.

2006 წელს გაერთიანდა გაზეთ "სპორტთან".

სპორტი
გამოდიოდა 2002-06 წლებში.

ლელოს მთავარი რედაქტორები:
მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 64-76)
ერემო მახათაძე (1952-53)
ირაკლი უგულავა (1953-64)
ანზორ ბასილაია (1976-83)
არჩილ გოგელია (1984)
თენგიზ გაჩეჩილაძე (1984-დან)

დამფუძნებლები: შპს გაზეთი ლელო, შპს სპორტმედია

პარტნიორი:
საქართველოს ოლიმპიური ფონდი

მისამართები
მ. კოსტავას 14,
0108 თბილისი
ტელეფონი: 99 56 14, 46 30 98, 46 30 56, 46 32 62, 98 23 94, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი).
ახმეტელის 10ა,
0159 თბილისი
(დიღომი, აზ. კინოსტუდია, პირველი სართული);
ფაქსი: +995. 32 46 30 97
e-mail: sporti@sporti.ge;
gazeti_lelo@mail.ru
ინდექსი 66435 INDEX

გამოდის ყოველდღე, გარდა კვირისა

ეროვნული ბიბლიოთეკა